ანგელოზი

ლიტერატურული ჟურნალი
№3, 2015

„ეს ზღაპარი არაა, სინამდვილეა“

ირანელი კლასიკოსები

„მე დაგიცდიდე ჩემი სულიერი“

ზაურ
ბებრიშვილის
ნამუშევრები

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:
ცისანა ჯანაშვილი, ნათელა გოხელაშვილი,
თამარ გაბროშვილი, ივანე ჯაფარიძე, ჯუმბერ ჯიშკარიანი.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900



ანეული

№ 3. სექტემბერი. 2015 წელი

ლიტერატურული ჟურნალი

პოეზია
მანანა ჩიტიშვილი 3
ერთი მშვენიერი დღე
ლილი ჯაფარიძეშვილი დაუვიწყარი ავტოგრაფები 5
გივი ჭიჭინაძის მემორიალური დაფა გაიხსნა 6
პოეზია
ეროხილე სალღობანი 7
ლაშა ბიბიჩაძე 9
ლელა ახაბული 12
პროზა
ხობა სხალვაში სხვა საქართველო... (ამბავი) 13
პოეზია
მარიხა ოჩიჯონიხიძე 20
დემიუფი
ირინა ბავაშელის ლექსები 21
პოეზია ლიხა ჭელიძე 22
მამა ილია კარტოზიას საღამო „ერთსულოვნებაში“ 24
ივანე ჯაფარიძე სახსოვრად ლექსი 25
პროზა
თამარი ბაბალოშვილი ყვავილთა მეტყველება 27
პოეტური პროზა ზეინაბ მეტრეველი შორეთი 29
ერთი ლექსი სიმონ ჯაფარიძე ლხინი კახეთში 30
მარია სეხსვაძე „წახვედი ასე შხამიან და წამებულთ გზაზე“ 31
ერთი ლექსი
ვასილ ბოსტაშვილი ...ვაჟი ამაყად აბოლებს თრიაქს 34
მოგონებები
თამარი მიქაძე გია ფერაძე 35
მხატვრობა
ნოდარ ჰაჰეაშვილი დიდოსტატი 37
პოეზია
ბიოლბი ალმახაშვილი 38
ნათელა ბოხელაშვილი 39
პროზა
ლელა ქიტოშვილი-სახლთხესიშვილი ნეტავი,ვიყო ჩიტი!.. 42
ივანე ჯაფარიძე „ეს ზღაპარი არაა, სინამდვილეა“ 45
ერთი ლექსი
მარიამ ნიჟარაური ომი 49
ლიმიტი მეხაშვილი სადაც სიყვარულს კლავენ,იქ ბედნიერება ვერ დაივანებს 50
თარგმანი
ირანელი ჟანასიტოსები თარგმნა ნომადი ბართაიამ 53
ჟეიტ ტეხოლსჟი პროზა, გერმანულიდან თარგმნა დავით კირკიტაძემ 56
ძველი უმის წიგნაკიდან
ჯემბეი ჯიშჟარიანი სათქმელი უთქმელი არ მწამს 62
მცირე პროზა „ანეულის“ თეატლოგზე
ლილი ბლეიჯიძე ნიკო და ბერტი 65
ნათია ფაილოძე ადენოზინტრიფოსფორმჟავა 66
თამარი ბელაშვილი სიყვარული შენ და ობობა ქილაში, ანუ მამაჩემი ტერორისტია 68
ერთი ლექსი
ჯუბა ღუბელი ასე ტირიან... 72

ISSN 1987-9717

ჟურნალი-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალ „ანეულთან“ ახსებული
ლიტერატურული გაერთიანება:

თამარ მიქაძე
ლეილა ქიტოშვილი –
სახლთხუცესიშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
თამაზ ხმალაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ღებელი
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი რედაქტორი

თამარ შაიშმელაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი
სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოხბი ზურაბიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გოჩა სოზიაშვილი

გარეკანზე: ზაურ ბებრიშვილი – „ჩრდილოეთის პატარძლები“

რედაქციის ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

პოეზია

მანანა ჩიტიშვილი

სამადლობელი

რადა კრთი, სულო,
რად სხვაგვარი თრთოლვით მევსები,
გავშლი ფურცლებს და
კვლავ ჩემს გულთან ვმართავ მარულას,
ვერ ვიკეკლუცე ვერასოდეს
ჩემი ლექსებით,
ვერც სტრიქონებში გავეპრანჭე
ვინმეს ქალურად.

მოჩანდა მთვარე,
როგორც ჩემი ყოფნის წერტილი,
სუნთქვას მიკრავდა
ოშკის მოთქმა, გმინვა ხახულის,
სიტყვის ორბებით ნაკორტნი და
სისხლდაწრეტილი,
უჭირისუფლოდ
ამ ლექსებში ვარ დამარხული.

მაღალ პალატებს
საოსტიგნე მწირის ვარჩიე,
იცის კი ვინმემ,
რა უშქარი გზებით ვიარე...
გმადლობ, უფალო,
ლექსად ლოცვას რომ მიმაჩვიე
და საღვთო სუფრის
ტრაპეზი რომ გამიზიარე.

სიტყვის მთესავი

ცისფერ დროშებად განფენილან
მთებზე ნისლები,
ისე მივდივარ,
არ მინახავს ხანძთა, შატბერდი,
სულ რამდენიმე ლექსითა და
ქართულ ღირსებით,
ავად თუ კარგად
ამ საწუთროს შემოვაბერდი.

ვიდექი ხნულში
და ვიყავი სიტყვის მთესავი,
მახობელს ვთესდი,
თუმც შიგდაშიგ ღვარძლიც
მიყვავის,
არ მინატრია
სხვა სიმდიდრე და საესავი,
ლექსი მყავდა და
მე თვითონაც ლექსის ვიყავი.

შენ გამათენებ

ჩემს ლაშას

კარებთან მოდგა
ისევ მირკანი,
წვიმს და
დარდო, შენც თითქოს ათდები...
იქ გაიხსნება
ჩემთვის ცის კარი,
შენ საიდანაც
ამონათდები.

მზემ ზედ ჩემს გულზე
დასცა კარავი,
ვწევარ და
მტკივან ნაჭრევს ვამთელებ...
მადლობა უფალს,
რომ სხვა არავინ,
თუ დავღამდები,
შენ გამათენებ.

* * *

ვარ მოშიშარი
ქარის და სეტყვის,
აქამდე მხოლოდ
მათ მომაცილეს,
არის დარდი, რომ
ვერავის ეტყვი,
ბაგეებს რომ ვერ
ამოაცილებ.

ჩუმი შრიალი
მომყვება ხეთა,
შენსკენ მოვალ და
ქარი მაჩერებს...
არის ცრემლი, რომ
ქვეყანა ხედავს,
არის ცრემლი, რომ
ვერვის აჩვენებ.

წუთისოფელი –
ხან ეკლის ბარდი,
ხან – თქეში,
გზებს რომ აგიტალახებს,
ყველაზე მწარე
ცრემლი და დარდი
ის არის,
რასაც სხვას ვერ ანახვებ.

* * *

თუმცა დღეის დღე აღარ მიხარის,
სხვა დარდი ღელავს გულში ლელებად –
ცაო, მაღალო, ოღონდ მითხარი,
ხვალ მამულს ჩვენსას თუ ეშველება.

ხომ ვუძლებ მკერდში მოვარდნილ ალმურს,
ოღონდ სამზეოს ვიდრე მოვილევ,
წინაპრის ნაკვდავ-ნაფერებ მამულს
აკუწულს ნულარ დამატოვინებ.

ლალი ჯაფარაშვილი

დაუვიწყარი ავტოგრაფები...

გივი ჭიჭინაძეზე წარსულ დროში ლაპარაკი განსაკუთრებით ძნელია, ისე ავსებდა გარემომცველ სივრცეს, — ხალისით, იუმორით, სიკეთით...

ბოლომდე ებრძოდა ავადმყოფობას, თანდათან გაილია. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე თავისი ხელით ლამაზად გადაწერილი და აკინძული ლექსების წიგნი მიართვა საბავშვო ჟურნალ „დილის“ თანმშრომლებს. მაშინ ჩაიფიქრა ჟურნალის რედაქტორმა, ქალბატონმა დოდო წივწივაძემ პოეტისთვის ლამაზი სიურპრიზის მომზადება. ცოტა ხანში გივის ხელნაწერი ნაბეჭდ წიგნად გამოსცა, შემდეგ რამდენიმე ადამიანს გაგვიმხილა ამის შესახებ, რომ საზეიმო საღამო მოგვემზადებინა, გივი ჭიჭინაძის საღამოს, ხანგრძლივი მომზადება არ სჭირდებოდა, — საქართველოში ბავშვი არ მეგულება, მისი რამდენიმე ლექსი ზეპირად რომ არ იცოდეს.

ნოემბრის ბოლოს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გამართული ის საღამო, შეიძლება ითქვას, გივი ჭიჭინაძის იუბილედ იქცა, სწორედ იქ გადაეცა პოეტს ლექსების ახალი წიგნი, ის წელი განსაკუთრებული აღმოჩნდა. მაშინ პოეტი უკვე ავად იყო და თითქოს ეშურებოდნენ მის გვერდით ყოფნას ადამიანები, შეხვედრა შეხვედრაზე იმართებოდა სკოლებსა თუ საბავშვო ბაღებში, განსაკუთრებით დამამახსოვრდა

შეხვედრა გივი ჭიჭინაძესთან

ვარკეთილის მეურნეობის საჯარო სკოლაში შეხვედრა. გივის მეუღლესთან — ქალბატონ სვეტასთან ერთად ვახლდით შესანიშნავი მწერალი, გივის უახლოესი მეგობარი, გუგული ტოგონიძე და მე. მოსწავლეებს ახალი შეძენილი ჰქონდათ პოეტის ლექსების კრებული.

უნდა გენახათ, შეხვედრის შემდეგ როგორი გულმოდგინებით, რამდენ ხანს წერდა წიგნებზე ავტოგრაფებს, ლამის მთელ გვერდს ავსებდა წარწერებით... იმ წუთებში გივის აღარავინ არ ვახსოვდით იმ წიგნებისა და ბავშვების მეტი...

ასე დათუნია დრუნჩასავით უშურველად ჩამოარიგა პოეტმა ნიჭის გამონაშუქი, სიკეთე უმშვენიერესი ლექსებით, თეატრსა და კინოში შექმნილი სახეებით და კაცურკაცობით.

გივი ჭიჭინაძის მემორიალური დაფა გაიხსნა

ლუარსაბ ბოცვაძის №2-ში, „საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურისა და პრესის ასოციაციის“ ინიციატივით (თავმჯდომარე მაია კარსელი), კლასიკოსი საბავშვო მწერლისა და სახალხო არტისტის, გივი ჭიჭინაძის მემორიალური დაფა გაიხსნა.

მემორიალური დაფის გახსნას თბილისის მერის მოადგილე ნინა ხატისკაცი დაესწრო. თბილისის მერის მოადგილემ სტუმრებს სიტყვით მიმართა და გივი ჭიჭინაძის მოღვაწეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

გახსნის ცერემონიას საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი, მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა პაპუაშვილი, გივი ჭიჭინაძის ოჯახის წევრები, მეგობრები, ახლობლები, ასევე მწერლები: დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია, ემზარ კვიტაიშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, ლალი ჯაფარაშვილი, ნინო ქუთათელაძე... დაესწრნენ.

შემდეგ ცნობილი მწერლისა და მსახიობის გივი ჭიჭინაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ლექტორიუმში გაგრძელდა. აღსანიშნავია,რომ გივი ჭიჭინაძე სასახლის შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიის აღზრდილი იყო,ასევე,წლების მანძილზე მუშაობდა სასახლის მინიატურების თეატრის ხელმძღვანელად; მწერლის შემოქმედებაზე, ამ დღის მნიშვნელობაზე მისმა კოლეგებმა და მეგობრებმა, ახალგაზრდა მწერლებმა ისაუბრეს: მსახიობებმა ბერტა ხაფავამ, სოსო ხაინდრავამ, სასახლის თეატრალური სახელოსნოს ხელმძღვანელმა ზორაიდა გაბელაიამ, სასახლის სტუდია „პიონერფილმის“ ხელმძღვანელმა გრიგოლ ჩიგოგიძემ,მწერლებმა:დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორიამ, თინა ჭეჟიამ, თამრი ფხაკაძემ, ნინო ქუთათელაძემ და სხვ.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა სასახლის დირექტორმა ქეთევან ფეიქრიშვილმა, რომელმაც ისაუბრა პროექტ „წარმატებული სასახლელების ხეივნის“ შესახებ, სადაც სასახლის სხვა ცნობილ აღზრდილებთან ერთად,ბატონი გივის პორტრეტიც განთავსდება. სასახლის მოსწავლეებმა მწერლის ცნობილი საბავშვო ლექსები წაიკითხეს, რომლებზეც თაობები აღიზარდა.

ღონისძიების ინიციატორია „საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურისა და პრესის ასოციაციის” თავმჯდომარე მაია კარსელი და სასახლის ლიტერატურისა და ენის კაბინეტის შემოქმედებითი სექციის პედაგოგი ლალი ჯაფარაშვილი.

პოეტი და მსახიობი გივი ჭიჭინაძე 1934 წლის 12 აგვისტოს თბილისში დაიბადა. თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, გივი ჭიჭინაძემ მუშაობა დაიწყო სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრში,1960 წლიდან კი მოღვაწეობა თბილისში,რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში განაგრძო. გივი ჭიჭინაძემ მრავალი როლი შეასრულა რუსთაველისა და სოხუმის თეატრის სცენაზე დადგმულ სპექტაკლებში.

სამსახიობო მოღვაწეობის პარალელურად, გივი ჭიჭინაძე წერდა საბავშვო ლექსებს. პირველი კრებული მან 1955 წელს გამოსცა. მომდევნო წლებში მისი ლექსები ითარგმნა რუსულ,უკრაინულ, ესტონურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ქართველ ბავშვებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მისი პოემები და კრებულები: „წია-წია პაწია“, „წყაროსთვალი“, „დათუნია-დრუნჩა“, „ია, მზე და იამზე“, „თაგვმა კატა დაიჭირა“, „ვინ დახატავს ცხრათვალა მზეს“ და სხვა.

გივი ჭიჭინაძის პიესები წარმატებით იდგმებოდა თეატრის სცენაზე. პოეტი და მსახიობი გივი ჭიჭინაძე თბილისში 1999 წლის 13 ნოემბერს გარდაიცვალა.

დოდო ხიმშიაშვილი და მაია კარსელი გივი ჭიჭინაძის დაფის გახსნისას

ეროვნულ სალიანი

სვანური ნანა

ნანი, ნანი, ნანაილა,
დედის სიცოცხლე ჩემს პატარას,
მტრედის ღუღუნი ჩემს პატარას,
ბალახის სურნელი ჩემს პატარას,
ლამაზი სიზმარი ჩემს პატარას.
მზისა და მთვარის ალერსი ჩემს პატარას,
ყვავილების ღიმილი ჩემს პატარას,
სიკეთის ძალა ჩემს პატარას,
ო, გასაზრდელო და დასაბერებელო,
ო, ღვთის უღელ დასადგმელო,
ო, სიტკბოებაში გასალეველო,
ო, ჭირში ქედმოუდრეკელო,
შენ ჩვენი გესმის, ჩვენ შენი არ გვესმის,
შენს ძილს ვდარაჯობ და
შენს სუნთქვას ვესათუთები,
ცის ნათელი მფარველ კალთად გეფაროს,
დედის ლოცვა უფალმა შეიწყნაროს,
თემისა და ხატის სიქადული იყავ,
სიმართლის გზით იარე და სიმართლე დაგიცავს.
ნანა ნუმც გამოცუდდება,
დედათა შორის უბედნიერესი მყავი.
ნანი, ნანი, ნანაილა,
დედის სიცოცხლე ჩემს პატარას.

* * *

კვლავ ასაპყარებს უბირი სიტყვებს,
უცხოეთიდან ძაღლივით მიყეფს,
გაუწყვეტია მთლად შუბლის ძარღვი,
მასთან დავა და კამათი არ ღირს,
არღვევს ამ სოფლის მორალს და კრედოს.
აფსუს! – კაცი რომ მეგონა ერთ დროს,
შურსა და ბალღამს მაძღრისად ლოღნის,
და წუთისოფელს მიათრევს ბოღმით.
კვლავ ასაპყარებს უბირი სიტყვებს,
უცხოეთიდან ძაღლივით მიყეფს.

* * *

რა ფიქრი ტანჯავს იმ ცხენის პატრონს,
კოტორ გაჰყვება ვისაც ნისლისა,
მადლს და სიკეთეს ყასიდად არ მტრობს,
ბედი, ვით ტკიპას ვეღარ მისრისავს,
ის ახლაც მზეს და სიმშვიდეს ნატრობს,
სიტყვას, ვით ბოძალს, ისე ისვრისა,
რა ფიქრი ტანჯავს იმ ცხენის პატრონს,
კოტორ გაჰყვება ვისაც ნისლისა.

ექვთიმე თაყაიშვილს

ვილოცავ, განსჯა მომეცეს ბრძენთან,
მისატევებლად ცოდვათა ჩემთა,
ღვთისკაცო, სახმილ დაანთე ტაძრად,
წადილი ჩემი სიჩუმედ აღმარ.
სიკვდილის ცელი იმედს ვერ ცელავს,
საგანძურს ჩვენსას კვლავ ედექ მცველად,
იმოსავს საცმელს, ვითარცა ნათელს,
ის, ვინც ბნელ ღამეს კვლავ თეთრად ათევს.
ერის მძლე ძალას ვაი, რომ სძინავს,
ქარიშხალს იმკის, ქარ სთესა ვინაც.
სიცოცხლე – ლოდინ სულეთის კართან,
სიცოცხლე – მწარე განსახდელ კართან,
სიცოცხლე – მწარე განსახდელ ზართა.
მთვარე შენს სულში უხმოდ რომ ჩავა,
სატევარივით ცას ამკობს კვლავაც.
ცხოვრება შენი ვით მოჰგავს ჯვარცმას,
ვით შესძელ, ცოდვა რომ არ ჰყავ კაცმა.
პირსა მიწისა ეყრები, ავახ,
სულს შეეთვისე, ვით ნამე ბალახს.
უწყის მარტოდენ მაღალმა ზენამ,
ვით განადიდებს კაცს ჭირთა თმენა.
სულის დვრინიდან სხეულის წვამდე,
ერთი გაფრენა გზა არის, გწამდეს,
გწამდეს, ქართველი წყალობას ელის,
ცისკენ აღპყრობილ მლოცველის ხელით.
ელის მზის სათნო ღიმილს და ტატნობს,
ღვთისკაცის სადარ სამშობლოს ნატრობს.
ვილოცავ, განცდა მომეცეს ბრძენთა,
მისატევებლად ცოდვათა ჩემთა.

* * *

დიადი მეუფე მოვიდა,
განწმენდად ბუნების წყალთასა,
ის სუფევს უხსოვარ დროიდან,
დიადი მეუფე მოვიდა.
კლარჯეთით, სვანეთით, ფხოვითა,
იბერტყავს მადლიან კალთასა,
დიადი მეუფე მოვიდა,
განწმენდად ბუნების წყალთასა.

* * *

შვავი აშრება შორეულ სივრცეს,
როცა ცრემლების კარიბჭეს ვხედავ,
მზად ვარ, რომ გული სიმღერას მივცე,
წუთისოფელში მით ვიყო მხნედა.
განზე ედება ბურძგლები ცირცელს,
თურმე დარდი ჭამს, დარდი ჭამს ხესაც,
შვავი აშრება შორეულ სივრცეს,
როცა ცრემლების კარიბჭეს ვხედავ.

* * *

შენ ჩემი თავი ისურვე შენად,
მე შენი თავი ვიგულვე ჩემად,
იოლ არს შუბის ხალთაში ჩენა,
შენ ჩემი თავი ისურვე შენად.
ორივეს გაგვყვა დარდი და წყენა,
დამწკრივდნენ წლები, ვით ირმის რემა,
შენ ჩემი თავი ისურვე შენად,
მე შენი თავი ვიგულვე ჩემად.

* * *

ჩოქზე ვდგავართ და შევბღავით ყველას,
საშველად ჩვენდა სუყველას ვუხმობთ,
ვაგლახ, რომ ჩვენთვის არავის სცხელა,
არვის ვადარდებთ მეტადრე, უფრო.
არსად იმედი, აღარსად შველა,
დაგვხედავს, ყველა გვშორდება უხმოდ,
ჩოქზე ვდგავართ და შევბღავით ყველას,
საშველად ჩვენდა სუყველას ვუხმობთ.

* * *

ეს გაუმარჯოს, ვინც დახედავს
ენგურის ტალღას,
შხარას მთებიდან ანაკლიამდე,
ვის სულშიც უკვე ტკივილები
თოვლივით გალღვა,
ცხოვრებას თვისას ვინც არ მიათრევს.
ვინც წუთისოფელს ერკინება, აწყდება ახლაც,
დადის ჩვენში და აფრქვევს სინათლეს,
ეს გაუმარჯოს,ვინც დახედავს ენგურის ტალღას,
შხარას მთებიდან ანაკლიამდე.

* * *

მზის გულზე წაქცეულს ცხელ ცრემლი მაწვიმე,
სულთამბრძოლს ჩამაცვი თორღვაის პერანგი,
რამდენჯერ გავყევი მთის წვერზე არწივებს,
იქიდან გზა აღარ შეგვშლია კერამდის.
ცა გვაწვდის მაცხოვრის უწმინდეს ნაწილებს,
მახსოვს კლდეს ნისლების ძაფით რომ კერავდი,
მზის გულზე წაქცეულს ცრემლი რომ მაწვიმე,
სულთამბრძოლს ჩამაცვი თორღვაის პერანგი.

ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნას

სიცოცხლე რა ღირს, ვიცოდეთ ნეტავ,
რა ღირს ცხოვრება? – ვიცოდეთ მაინც,
მზე შენი ლექსის ზანდუკში კეტავს,
მწვერვალებიდან წამომდგარ აისს.
კეტავს და ზრუნვას აბარებს კალამს,
აბარებს, შუქი გადმოგვცეს ვინძლო,
ვიგრძნოთ ტანჯული სინათლის ძალა,
აღთქმული მიწის ძახილი ვიგრძნოთ.
შუბლზე გამჩენის ამბორი გაზის,
ქვეყანამ გარჯა, გაწევა გიქოს,
შენი ნაფიქრი, შენი ღრმა აზრი,
არ დაელევა მადლიან სტრიქონს.
სიცოცხლე რა ღირს, ვიცოდე ნეტავ,
რა ღირს ცხოვრება? – ვიცოდე მაინც,
მზე შენი ლექსის ზანდუკში კეტავს,
მწვერვალებიდან წამომდგარ აისს.

* * *

კალმის წვერზე ქარი ცეკვავს,
ცეკვავს, წავა და გაქრება უკვალოდ,
რას დაეძებს ჩემთან ნეტავ?
რატომ მითვლის ქადილსა და მუქარას.
შემოდგება წყალსა ზედა,
ეძებს, ცდილობს ჰპოვოს სახლი უკარო,
კალმის წვერზე ქარი ცეკვავს,
ცეკვავს, წავა და გაქრება უკვალოდ.

მესტიას

შემკრა, შემბოჭა შენზე წუხილმა,
ვებრძვი, კვლავ ვებრძვი ხილვას უხილავს.
ჭალაშის ხევში მქროლი ნიავი,
ჩემს ფიქრს ეხება კვლავაც სიამით.
დავიწყებული ძველი შობს ახალს,
გნახავ და ვიცი, საკვირველს ვნახავ,
ვაღებ სვანირის დაგმანულ სარკმელს,
სულის და ხორცის ერთობას ვარკვევ.
შემკრა, შემბოჭა შენზე წუხილმა,
ვებრძვი, კვლავ ვებრძვი ხილვას უხილავს.

ლაშა ბიბიჩაძე

თბილისი-ბათუმი-ნიცა-პარიზი

სახლიდან წასვლა იმდენად ხშირად
გვინდა, ვერაფრით ვბრუნდებით კართან
და როგორც ძველი საქსოვი ჩხირი
გზა დაბრუნების ბილიკებს ხლართავს,
მივდივართ,
გვრჩება,
ნაშთი და სარჩო,
მივყვებით ურემს,
ავტობუსს,
გემსაც
და შენი გულის გარღვეულ სარჩულს
ჩემი ცისფერი ძარღვებით ვკემსავ.
თითქოს თბილისი,
მცირე და მიკრო,
გვემშვიდობება ფარისევლიან
თვალებით შენ კი გულიდან ფიქრობ,
რომ სიყვარული პარიზელია.
მივდივართ და ზღვა მიგვაქვს პეშვებით,
ხელისგულებზე ტალღა დედდება,
ჩვენ ბავშვობაში ვერ მოგვეშველა
თაობამ,
ძმებმა,
დებმა,
დედებმა.
ვტოვებთ წარსულსაც მომავლის გემით
და მზეა თითქოს ცხოვრების რუკა,
არ ჩაიხედო, ძვირფასო, ქვემოთ,
არ გაიხედო, ძვირფასო, უკან.
მოგვყვება ცაზე ღრუბლების ბენდი,
ჩვენ გავექეცით იღბლის ყიამეთს,
მხოლოდ ის მტკივა, უკუღმართ ბედთან
ყალბი ყაიმი ვერ დაგიამე.
გზადაგზა შენი ტუჩების კიჩო,
ჩემს ყელზე ლამაზ მომავალს ხაზავს
და პირველ ამბორს მეორე გიჯობს
რომ არასოდეს მოედოს ხავსი
ამ წუთებს,
ამ წლებს,
დღეებს უდიერს,
– შე, ირუჯება ჩიტი აფრაზე,
მე ისე მიყვარს შენში ბუტია
არაფერი და მაინც გაბრაზებ.
მივდივართ ბათუმს შორდება მზერა
მშფოთვარე ტალღებს ითვლი ნიცამდე,
რომ თითქოს ყველა მტკაველით ზვერავ
ამ გაქცევას და ვერც მოიცადე...
ნაპირი,
გემი,
საყვირი ბგერებს
ისვრის და გვართმევს ხელს კიპარისი,
თბილისი – მერე ბათუმი – მერე,
მერე ნიცა და ბოლოს პარიზი.

პირველი თოვლივით

მე მოვალ, როგორც პირველი თოვლი
გაყინულ შუბლზე დავტოვებ ბაგეს,
ჰო, მოვალ, როგორც პირველი თოვლი
იცოდე – განგებ.
მახსოვს შარშანაც ერთად ვუსმენდით,
ჩიტები როგორ კენკავდნენ ზამთარს
და შენი თმები – შავი ლურსმნები
თითებში დამრჩა.
ჯვრისწერა იყო, ჯვრისწერა ბედის
და ბედისწერა დაერქვა მალე,
როცა ვიდექით ღრუბლების გვერდით
და გულში გმალე.
შენი სუნის და ქარის ნაზავი
მაკანკალებდა სხეულის თრთოლვით,
და საიდუმლო სერობასავით
მოვიდა თოვლიც.
ის დებდა თითქოს ყველგან და არსად,
თითქოს არავის გააჩნდა რიდი,
მიყუდებული ვიყავით ქარს და
თვალებით მჭრიდი.
და მოვალ ისევ, როგორაც შარშან,
მე, ზამთარი და პირველი თოვა
და შენი თმები, ხელში რომ დამრჩა
სიყვარულს მთხოვენ...

პარალელები

პარალელები,
სარკეები,
მატერიები,
გავიმარტივე გამომწყვდევა საკუთარ თავში,
გახსოვს? ლექსებსაც უმიზეზოდ მაწერინებდი,
მერე ფურცელზე კი არა და ძარღვებში დავშრი.
მელანში დავშრი,
ჩემში დავშრი და მხოლოდ შარჟი
წამოვიკიდე ბოლო ტვირთად, ბოლო გოლგოთად,
აღარც ჯვარია, აღარც ღმერთი, რომელიც ქარში,
სიცხეში, თოვლში, სასთუმალთან შენთვის მომქონდა.
არტერიები,
სიგარეტი,
ბოლი,
ნაზავი,
ის ყველაფერი არაფერმა დაჩრდილა ბოლოს,
და დღეს კისერზე წვიმის წვეთის ჩავარდნასავით
მოულოდნელი ქაოსია ფიქრების რბოლა.
აქ ზღვა იწყება,
აქ სივრცეა,
გამოდი ტივთან,
არ ფასობს ნივთად,
არც სამყაროდ უკან ლენტა რომ
გადავახვიოთ და ბავშვობა ამოტივტივდეს,
კვლავ ძველ ზღაპრებში შეგვაცუროს უკომენტაროდ.
მოდი,
აქ შენი სახლი არის,
სახლი ბებერი,
ბოლო ნაჭერი სიყვარული სანამ დაობდა,
რომ ჩემი სუნთქვა ცივ მუცელზე გამოგებეროს
რომ აღარ მოვკვდეთ,
არ დავქვრივდეთ,
აღარ დავობლდეთ.
მოდი,
ამ სახლის მისამართი ის ვაგონია,
რომელსაც უკან ცხვირსახოცით არავინ მისდევს
და ლექსში მოხუც მემანქანედ ზის აგონია,
ვისაც რელსები ელანდება ცისკენ და მზისკენ.
მოდი,
სიკვდილი გადავიდა უკვე მოდიდან,
დაკაკუნებით სხვების კარზე ლურჯ და დაღლილ ხელს
ჩამოასვენებ, ატირდები...
ოღონდ მოდი და...
მოდი და კარებს კი არა და, კედელს გაგიღებ.
პარალელები,
ნოსტალგია,
მატერიები,
გავიმარტივე გამომწყვდევა საკუთარ თავში...
გახსოვს? ლექსებსაც უმიზეზოდ მაწერინებდი,
ახლა ფურცელზე კი არა და სარკესთან დავშრი.

ჩვენი საზიარო დედამიწა

ჩვენ ერთი, სევდიანი სივრცე გვაქვს
ბარდებით, ვიმეორებ ბარდებით,
აქ მხოლოდ ამინდები იცვლება,
ამინდსაც წარსულივით ვბარდებით,
ჩვენ დიდი სიყვარულით გავკოტრდით,
გაცივდა ოთახი და საწოლი,
მე რადგან აღარ მქვია საქმრო და
შენ რადგან აღარ გქვია საცოლე.
ჩვენ ერთი, უსინათლო მთვარე გვაქვს,
სიბნელეც გავიტეხეთ ორ ტოლად,
იმ ღამეს სულ პირველი არ ერქვა
და მაინც, პირველივით მოთოვა.
ჩვენ ერთი, საზიარო ჭიქა გვაქვს
ყავისთვის, არაფრისთვის, ჩაისთვის,
რეისი, ქუთაისი-ჩიკაგო,
მე მგონი იგვიანებ, ჩაიცვი,
ჩაიცვი ულექსებო გვერდები,
ლექსებიც პოეზიას მიწუნებს,
მემგონი შიგადაშიგ ვბერდები,
ვბერდები და ვერასდროს ვირწმუნე
უფალი, იშვიათად ვლოცულობ
და რწმენაც დაემსგავსა იშვიათს...
მე ვხვდები წასასვლელად მოსულხარ,
მე ვხვდები განშორების შიშია.
და მაინც, ერთნაირი ცრემლი გვდის,
ბოლოსკენ დაიმსხვრევა მითი რომ
პოეტი თუ მოკვდება, ელიტის
გარეშე, დამალულად მიტირო.
ჩვენ ერთი, საზიარო მიწა გვაქვს,
მე წავალ იქ შენზე ადრე,
ყოველგვარი
ლექსის,
პოეზიის,
ღმერთის გარეშე,
რომ თუკი ოდესმე ჩემთან მოსვლას დააპირებ,
მიწაც კი თბილი დაგახვედრო...

ხიდი კაზინოსთან

ეს ხიდი სიკვდილის ხიდია,
ყველაზე ახლოა კაზინოსთან,
ამ ხიდზე ყოველდღე მიდიან
კაცები, ვინც იღბალს დასცინოდა.
ჯერ უნდა ცხოვრება გაწირო,
ოჯახი, მანქანის გასაღები,
ზოგადად – (ბრჭყალებში) კაცი, რომ
აღმოჩნდე თვალებში ჩასახედად
მდინარის უნიათ ტალღებთან,
მდინარის სილიან დინებაში
ვერ შეძლებ ყველაფრის წაღებას,
რაც გსურდა, ცდილობდი, გენება შენ.
დღეს ალბათ უიღბლოდ ატუზეს,
მოეწყო ნამდვილი აფიორა,
დღეს ბავშვი არ მიგყავს ბატუტზე
სახტუნაოდ, შეხედე, მკაფიოდ რაც
ჩანს, ეს ტყე – მდინარის ნაპირას,
ხეები შვილმკვდარი მამებია,
შავი ცა – თავშალი ნაფერი,
მოაჯირს ეყრდნობი შრამებიან
ხელებით, შედიხარ ოლინ-ზე,
ცხოვრებას პოკერთან აიგივებ
და გრჩება წარსულის ორი მზე,
რომლებიც სულ მალე გაიგებენ,
რომ ერთი პატარას მამა და
რომ ცოლის მეორე ნახევარი,
შემდგარა რიკულზე თამამად
და გულის წამიერ გარხევაზე
ესმოდა კაკუნი კამათლის,
იმედის დაცინვა, გაცურება,
იმედიც, იმ ერთხელ ამართლებს
და ხტები სიკვდილში საცურაოდ...
ეს ხიდი ცხოვრების ხიდია,
ყველაზე ახლოა კაზინოსთან,
ამ ხიდზე, ვინც იღბალს დასცინოდა
მოდიან სიკვდილის იდეით.

სურვილივით

მინდა, რომ ჩემს წიგნს თვალები ჰქონდეს,
თვალები ჩუმი, თვალები ბასრი
და ლექსში სიტყვით ნახატ ჯოკონდებს
გამოეწოვოს მკითხველის აზრი.
მინდა, რომ ჩემს წიგნს მკლავები ებას,
გულს ამბოხება, კბილებსაც ეშვი
და თითო-თითო სათაურ-მცნება
ელოდებოდეს ჯვარცმას სარჩევში.
მინდა, რომ ჩემს წიგნს გააჩნდეს სმენა
მუსიკის, რიტმის, რითმის სქოლიო
და სადაც ყველა ლექსი ესვენა
ეს ნაცოდვარიც ჩავიყოლიო.
მინდა, რომ ჩემს წიგნს მკითხველი შერჩეს
საკმარისია ერთიც, რიცხობრივ,
რომელიც წიგნის თაროზე, ჭერში
ხანდახან მაინც ჩემთან იცხოვრებს.

ლელა ახაბული

* * *

მე ვაპირებ შენთან მოსვლას,
შენ თუ გინდა ესა?
თუ ჩემს ნახვას გირჩევნია,
წაიკითხო პრესა?
თუ არაბულს ამჯობინე გაზეთი და რადიო,
მაშინ, ჩემო მეგობარო, მშვიდობით და „ადიო“.

* * *

გაგიჟებულა ეს ჩემი ექსი,
დაუწერია ჩემსავით ლექსი.
აღარ მიხსენოთ მე ყოფილები,
სხვებთან ხდებიან სრულყოფილები.

* * *

მე დაგიტოვე ჩემი სურნელი, როგორც მძევალი
და გესტუმრება მალე ღამით შენი მხევალი.
გადაგიკოცნე ზურგის მალები,
ვეღარსად ვეღარ დამემალები.

* * *

ნუ ამიწიე, თუ ძმა ხარ, წარბი,
ნუ იჩხვლიტები, როგორც რომ ზღარბი.
ვიღაც დიაცში ვგრძნობ, რომ გამცვალე,
ალბათ, იქნება პომადით ბარბი.
თუ გაქრები, როგორც ვირთხა,
წადი შენი... რაღა გითხრა?!

* * *

მე ამდენ ტკივილს ვეღარ ავუდივარ,
პატარა „ჟიგული“ ვარ, განა „აუდი“ ვარ.
მინდა წინა პლანზე იყოს ჰარმონია,
მაგრამ გაიხედავ, მაინც ჰორმონია.

* * *

ჩემი წაწალი... მძულს ეგ დამპალი.
გადაეყარა ტყე-ღრეში ალი
და დაანახა ძუძუზე ხალი,
აღარც მომიკრავს მას მერე თვალი.
არა, ხომ ვიცი, ალი ალია...
რატომ გავუშვი? ჩემი ბრალია.

* * *

დავიბადე, მეტი რა?
მაინც ყოფა მეტირა,
ვიღაც გამომეტირა,
მეც დავღვარე ცრემლი,
ვერასოდეს გავხდები
მახვილი და გრდემლი.

* * *

რა შემპარავად, ნაზად ბინდდება
და მეც ნელ-ნელა რა არ მინდება.
ბევრს დამცინიან მთვარე, ნაძვები,
რა შემაჩერებს, მაინც დავძვრები.
ამით სუნთქავს ჩემი ფილტვი,
რაღაცისკენ მუდამ ვილტვი.

* * *

ჩქარა გამხადე ლურჯი წინდები,
ნეტავ იცოდე, როგორ მინდები.
ვიცი, შენ ამას არ იმსახურებ,
რადგან მუდმივად ისე ახურებ...
ნუ შეჩერდები, მაინც გამხადე,
შეხების ღირსი უკვე გაგხადე.

* * *

მე დავტოვე ღია კარი,
მოდი, მაგრად ჩამიკარი.
რა გაშინებს, არ მაქვს მუნი,
კაცი ხარ, თუ მაიმუნი?!

* * *

რომ არ ჩამესმას ცუდი ამბები,
ყურში ფაფუკი, რბილი ბამბები,
თვალებზე შავი, სქელი ნაჭერი,
ჩემი კაბების ჩამონაჭერი.
თქვენ არ გეგონოთ ვიღაც თემიდა,
ნუ გადავუხვევთ, მოდით, თემიდან,
გარეთ შემოჰკრა მავანმა ტაში,
დამარცხებულთა იწყება მარში.

სხვა საქართველო...

(ა მ ბ ა ვ ი)

ერობა სხალვაია

არ მინდა ეს ამბავი, რომელიმე კონკრეტულ რეგიონს ეხებოდეს და შესაბამისად ზოგიერთი დასახლებული პუნქტის დასახელება შეცვლილია...

ამის გამო ამბავმა აბსურდის ელემენტები მოირგო და უფრო დაუახლოვდა ჩვენს მშობლიურ რეალობას!

...

ექსპრესი „თბილისი-შანხაი“,რომელიც თითქმის ყველა სასიცოცხლო და მნიშვნელოვან პუნქტთან ჩერდებოდა და შესაბამისად მთავარი გზით მოძრაობდა, გადიოდა ყოველ დღე, 13.00-საათზე...

თუმცა მიუხედავად რეკლამისა, სისწრაფისა და კომფორტულობისა, პარასკევობით ნახევრად ცარიელი იყო... თუმცა ოპტიმისტი იტყოდა – ნახევრად სავსე ბრძანდებოდაო...

მოკლედ...

ივნისის დამდეგს – არაჩვეულებრივი დღე იდგა, თუმცა დილიდან მოიღრუბლა, მაგრამ თორმეტი საათისთვის ქარმა სრულებით განდევნა ღრუბლები და ლაჟვარდოვან ცაზე, ადრე ზაფხულის ხალისიანი მზე აკაშკაშდა.

ჭუჭყიანი ქალაქიდან ახლად გამოსული ექსპრესი ლამაზად შემინულ შენობასთან გაჩერდა, ვიღაც ორივე ხელით ჩაეჭიდა ამოსასვლელი კიბის მოაჯირს და „პა-პაპა-პა-პააა“-ს ძახილით მიიპყრო ყველა მგზავრის ყურადღება.

ტრანსპორტის კიბეებზე ამომსვლელის სიტლანქე და სიმძიმე საგრძნობლად არყევდა ექსპრესის სალონს და მგზავრებში, დაბნეულობას და გაკვირვებულ ირონიას იწვევდა.

კიდევ ერთი „პა-პაპა-პა-პააა“-ს შეძახილი და კარში გამოჩნდა ხანშიშესული, კარგა გვარიანად ჩასუქებული ქალბატონი.

ქალის სიმსუქნე უფრო ავადმყოფურს ჰგავდა. სხეულის ნაკვთები, დიდ ნაოჭებად მოჩანდა გახუნებულ ფართხუნა კაბაში და მის მფლობელს მუხლუხოს ფორმას ანიჭებდა... ქალს სახეზე, გამხმარი ტყავისფერი დაჰკრავდა, თუმცა...

...

„აქ, კი მაპატიეთ!

კადნიერებასა და ზედმეტ თავხედობაში ნუ ჩამომართმევთ, რადგან გადავწყვიტე მთელი მოქმედების აწმყო დროში გადმოტანა, თითქოს ყველაფერი ახლა – ამ წუთას ხდება...

რათა ყოველი მკითხველი, ვინც პატივს დამდებს და „ჩაუჯდება“ ამ მონათხრობს, მოქმედების და ამბის მსვლელობის უშუალო თანამონაწილე – მოწმე-მოთვალთვალე გახდეს...“

...

სახეზე გამხმარი ტყავისფერი დაჰკრავს, თუმცა ლოყებზე დაძაბულობისაგან კიდევ ეტყობა სიწითლე. ოფლი ღვარივით მოსდის, რომელსაც ერთ დროს ყვავილებიანი თავსაფრით იწმენდს. მასთან ერთად ახალ, მდიდრულ და კეთილმოწყობილ სალონს ნაფტალინის, ოფლის მომწარო-მოტკბილო სუნი ავსებს... მაგრამ ეს დროებითია, რადგან მძლავრი კონდიციონერები სწრაფად და ეფექტურად მუშაობენ.

ქალს მარცხენა იღლიაში გვარიანად გაქუცული ქოლგა ამოუჩრია, ხოლო მეორე ხელით შეცბუნებულ ბიჭუნას მოათრევს, რომელიც ფრთხილი და უცნაურად მძიმე ნაბიჯით მოჰყვება.

როგორც კი კარი იკეტება, გაღიმებული მოხუცი ხმამაღალი ხვნეშის და ამასთანავე თვითკმაყოფილი იერით, თვალს ავლებს მგზავრებს, შემდეგ კი ბოხი, ხრინწიანი ხმით გაჰყვირის:

– ეს ტრანსპორტი „შანხაიში“ მიდის?

მგზავრებს თითქოს ძაბავს შეკითხვა, მაგრამ მცრედი პაუზისა და ფიქრის შემდეგ, ყველა ერთხმად უქნევს თავს.

დადებითი პასუხი, მეტ კმაყოფილებას ჰგვრის ქალბატონს და გამარჯვებული იერით, თვალს აყოლებს კონტროლიორს, რომელსაც მგზავრების ბილეთების შემოწმება უკვე დაესრულებინა და იქვე გაჩერებაზე დარჩენილიყო, როგორც ჩანს, მორიგი ექსპრესის მოლოდინში.

ექსპრესი ადგილიდან რბილად იძვრის, როგორც კი საბურავები ქვაღორღიანი გზიდან ავტოსტრადაზე გადაინაცვლეს და ტრანსპორტი სიჩქარეს უმატებს... ხოლო სალონის სუჩუმეს, ასაფრენად გამზადებული ლაინერის ძრავებივით ზუზუნი ცვლის. კონდიციონერისგან გაგრილებული და გამოცოცხლებული ქალი, კმაყოფილებით უჯიკებს ხელს ბიჭუნას:

– ხომ გეუბნებოდი ვეფხი, „შანხაიში“ მიდის მეთქი!

ვიღაცა ხმამაღლა აცემინებს. ქალი თავს აბრუნებს წინა სკამზე მჯდარი მგზავრისკენ და თვალებს ჭუტავს.

— იცოცხლე! ბევრი ფული და ბარაქა!

— გმა-ადლო-ოობთ! — უცნაურად წელავს სიტყვებს მგზავრი და ცხვირს ხმაურით იხოცავს. ის, ორმოცდაათს გადაცილებული გამხდარი, კაფანდარა კაცია. ყურებპარტყუნა, მსხვილი ხორციანი ცხვირით, რომელიც სახეს ზიზღნარევ გამომეტყველებას ანიჭებს.

— ყველაფერს, უცებ მივხვდი! — ატყობინებს მას გახარებული ქალი,— აბა, ეს ლამაზი ექსპრესი სად უნდა მიდიოდეს თუ არა „შანხაიში“?!

კმაყოფილი იმით, რომ დასაჯდომი ადგილისათვის ბრძოლა არ მოუწევს და ფეხზე არ იდგებიან მთელი გზა, ქალი „გაციებული“ მგზავრიდან მარჯვნივ განთავსებულ რიგში, ცარიელ სავარძელზე, ხალისით „შეაგდებს“ დარცხვენილ ბიჭუნას. თვითონ კი „პა-პაპა-პა-პაააა“-ს ძახილით, გვერდით უჯდება.

— ნახე, რა ლამაზი სალონია! თეთრი და წითელი ფერის ზოლები მიუყვება! როგორი რბილი სკამებია? გრილა! ფანჯრებიც რა სუფთაა! ადამიანი, ადამიანად იგრძნობ თავს! აბა, იმას კი არ ჰგავს დღეს, რომ ვიმგზავრეთ! — ფანჯარაზე მზერით „მიწებებულ“ ბიჭუნას აჩეჩილ თმებს ხელით უვარცხნის... და თან ეშმაკურად აცეცებს თვალებს, ხმამაღალი ლაპარაკით და ჟესტებით, ცდილობს მისი სიტყვები ყველას ესმოდეს და ხედავდეს,— აქ უკეთესია! დღეს ვიმგზავრეთ თბილისამდე და დავიტანჯეთ! იმდენი კონტროლიორი ამოვიდა, რომ... მათ, რომ არ შევხვედროდით, წინ წავედით! მაგრამ რად გინდა? იქიდან მეორე მოდის! მოკლედ ძალიან ვინერვიულეთ მე და ჩემმა ვეფხიამ! ეს ჩემი შვილიშვილია! შვილი არ გეგონოთ! ამ სიბერეში, აბა სად შემიძლია ბავშვის გაჩენა! შვილიშვილია! ესღაა, ჩემი იმედი და მომავალი!

ინტერესს მგზავრების მხრიდან არავინ გამოხატავს, მაგრამ ქალში ეს უხერხულობას არ იწვევს, პირიქით უფრო მეტი ენერგიით აგრძელებს ლაპარაკს. ყოველი წინადადების წარმოთქმის დროს, ხან ერთი მგზავრის კეფას აჩერდება, ხან მეორესი, ხან მესამესი... ალბათ ფიქრობს, რომ ამ ექსპრესში მყოფ ადამიანებს, თვალები სწორედ აქა აქვთ განლაგებული.

— ეეეჰ! ყველაფერი კარგი, მაგრამ ინვალიდია! არ გჯერათ? აი, აქ წერია! — ხელი იყოფს კაბის ჯიბეში და რაღაც ქაღალდს იღებს. საბუთს დახედავს, მერე შვილიშვილს სევდიანად გაუღიმებს, მერე კი ცოტა ხანს ჩუმდება...

უეცრად ჩამოვარდნილი სიჩუმე ადუნებს მგზავრებს და ისაა, ზოგიერთი მათგანი თვალებს მილულავს ჩასაძინებლად, რომ ქალი უფრო მეტი ენერგიითა და ხმაურით აგრძელებს:

— რაკი კონტროლიორებს ვეღარ გავექეცით! გაჩერებაზე ჩამოვხტით! ნავთლუღამდეა რაღაც გაჩერება! ჰოდა, იქ ჩამოვბობღდით! ჰა-ჰა-ჰა! — ხარხარებს ქალი, მისი გადამდები სიცილი უცებ აცოცხლებს სალონს და ზოგი, ინტერესითაც კი გახედავს ამ უცნაურ მოხუცს.

— მაგრები ვართ! ბოლო მომენტში ავძვერით იმ ვაგონში, სადაც უკვე კონტროლი დამთავრებული იყო... აქ როგორ ამოვედი, სამი საფეხურია და როგორ ვიწვალე... აბა, იმ უპლატფორმო სადგურიდან მატარებლის კიბეზე, რა ცქვიტად შევკუნტრუშდებოდი, ხომ წარმოგიდგენიათ?! ჰა-ჰა-ჰა! — კიდევ ერთხელ გადაიხარხარებს ქალი,— საშინელი ხალხია მატარებელში! სიტყვას არავინ გათქმევინებს! ყველა ხმამაღლა ლაპარაკობს, ზოგი ყვირის კიდეც! ჩვენს ვაგონში ერთი კაცი ისე დააყაჩაღეს, ვერავინ ვერაფერი გაიგო! ყველას ეგონა მამა და შვილები კამათობდნენ რაღაცაზეო! ატყდა ერთი ამბავი! ამ აყალ-მაყალში, კიდევ მოიპარეს რაღაც! ჰოდა, ვიღაც ისევ ყვირის, ვიღაც ყმუის... აბა, მოკლედ მატარებლით, კონკრეტულად „შანხაის ელექტრიჩკით“ თუ გინდა მგზავრობა, მგელი უნდა იყო! ნამდვილი მგელი, თორემ ვიღაცა რაღაცას აუცილებლად წაგგლეჯს! ჰოდა ვთქვი, უკან მატარებლით აღარ დავბრუნდები-მეთქი! დავიქანცეთ! უკვე ბებერი ვარ! ეს ბავშვი კი, ხომ ხვდებით — ავადაა! სად შეუძლია, ამდენი ძრომიალი! ვიფიქრე, ვინმე „შანხაელი“ შემხვდება და იმას გამოვყვები-მეთქი! ეგრე არ არის? ან ჩემიანი რომელიმე... უბნელებს ყველას ვიცნობ! მასწავლებელი ვიყავი! კარგი მასწავლებელი! ეგენი, ბავშვობიდან დაწყებული, სულ ჩემს თვალწინ დარბოდნენ! ბებრებზე, მათ მშობლებზე, რომ არაფერი ვთქვათ! ვინმე ნაცნობი, მაინც შემხვდება-მეთქი! ღმერთს ვთხოვდი, მატარებელში ნუღარ ამიყვან, ამ მგლების ხროვაში-მეთქი და რაც გინდა იმას გავყვები-მეთქი! და აი, ღვთისნიერმა ხალხმა მასწავლა, სად დავმდგარიყავი! მოვედით, თუმცა ზუსტად არ ვიცოდი, საით მიდიოდა ეს ექსპრესი, მაგრამ ამოვედით და აი, აქა ვართ!

ქალი ამას საკმაოდ ხმამაღლა ამბობს და თან გამუდმებით ყურებპარტყუნა მგზავრისკენ იხედება, რაღაც მომენტში ერთი სკამით წინ გადაჯდება და უფრო ახლოს მოხვდება ამ კაცთან.

— ათასი ჯურის ადამიანს ნახავ ქალაქში! ლაპარაკობენ — ვერ მიხვდები, რას და რა ენაზე ლაპარაკობენ! თითქოს ადამიანური დაავიწყდათ! აქ კი, ყველა „შანხაიში“ მივდივართ, ანუ ყველას გვესმის ერთმანეთის! ქალაქში — ყაისნაღი ვიყიდე და ძაფი! ქალაქში ახლობელი მყავს, იმან მირჩია, რაიმე მომექსოვა და ჩამებარებინა. კარგად ფასობსო ხელით ნამუშევარი! მე კი მაგრად ვქსოვდი და თუ არის საშუალება, რად არ უნდა გამოვიყენო? ძაფები აღარ მქონდა, არც ყაისნაღები... ჰოდა, ბაზარში ძაფების გამყიდველ კაცს ვკითხე, ყაისნაღი სად იყიდება-მეთქი და იმან, თოფებისა და დანების მაღაზიაში გამიშვა... ამ ხალხს სულ დაავიწყდა ქართული დასახელებები... მაგრამ მერე ყაისნაღის ძებნისას, საერთოდ აფთიაქში მოვხვდი! იქ, სადაც გიჟების წამლებს ყიდიან!..

მგზავრები ისმენენ ყაისნაღის ძებნის უცნაურ და სასაცილო ისტორიას, ზოგი ხმადაბლა იცინის,

ზოგი მხოლოდ იღიმება. ისინი ხვდებიან, რომ ახლად ამოსული ქალი ადამიანთა, ანუ „შემთხვევით შემხვედრთა“ იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებმაც მიუხედავად ასაკისა და არცთუ სახარბიელო ჯანმრთელობისა, თავისუფლად შეუძლიათ გაგახალისონ, გულიანადაც გაცინონ და ოპტიმიზმის მარცვალიც ჩაგინერგონ... და სერიოზულადაც დაგღალონ... ასევე, ძალიან ხმამაღლა და ხანგრძლივად შეუძლიათ ჭკვიანური ლაპარაკი ყველანაირ თემაზე... ანუ, ასეთი ქალები განეკუთვნებიან ადამიანთა განსაკუთრებულ კატეგორიას, დამღლელი ოპტიმიზმითა და ტვინისმბურღავი ენერგიით.

ათლეტური აღნაგობის, სპორტულად გამოწყობილი ტიპი, უკმაყოფილო სახით ბრუნდება ქალისკენ და დაძაბული უყურებს მას... ქალი „სპორტსმენს“ არანაირ ყურადღებას არ აქცევს და დიდი ენთუზიაზმით აგრძელებს მონოლოგს, ყაისნაღით ქსოვის სპეციფიურ საკითხებსა და თავის სამომავლო, გრანდიოზულ გეგმებზე.

— ცოტა ხმდაბლაა, რაა თუ შეიძლება! — ისტერიული ხმით აჟღერებს თავის პოზიციას „უყურადღებოდ“ დატოვებული „სპორტსმენი“, — დასვენება გვინდა! არავის გვაინტერესებს, თქვენი ყაისნაღური პრობლემები! ჩვენიც გვეყოფა!

— ყურები შენი გააქვს? ჰოდა, ნუ მისმენ! — გულნატკენი პასუხობს ქალი, და სანამ სიბრაზისგან გაწითლებული მგზავრი რაიმეს ეტყვის, შვილიშვილს იხუტებს და ხმადაბლა ეუბნება:

—კარგად ზიხარ? მოგწონს? ხედავ, რა ლამაზია ირგვლივ ყველაფერი? გინდა ვიმღეროთ?

ბიჭუნა თავს უქნევს და ორივე სასიამოვნოდ, მელოდიურად შეწყობილი ხმით მღერის:

„ქარი გიმღერის ნანასა, / ზღაპარს გიამბობს ჭადარი...

ძეწნამ ალერსით ამავსო, ეჭვებით ნაავადარი...“

ბებია-შვილიშვილი საოცრად კარგად მღერიან, ტრანსპორტში ყველა, სიამოვნებით უსმენს, ბავშვის წკრიალა და მოხუცის ხრინწიან ხმას და ზოგისთვის უკვე მოყირჭებულ, თუმცა სასიამოვნო პეიზაჟსაც კი, ახალი ინტერესითა და ხალისით უყურებს.

ბიჭუნასაც, მოხუც ქალსაც, ეს ჰანგები სინაზითა და სითბოთი ავსებს. რაღაც მომენტში ქალი თავს ანებებს სიმღერას და ყურფართხუნა მგზავრს მხარზე ხელს დაჰკრავს:

— შენ ქართველი ხარ?

მგზავრი საკმაოდ უკმაყოფილო ტონით პასუხობს:

— რა მნიშვნელობა ააქვს! მე საქართველოს მოქალაქე ვარ!

— მნიშვნელობა არა აქვს! — მხრებს იჩეჩავს ქალი, — მე ქართველი ვარ, თუმცა ისე იმერელი ვარ! ჩემი მეზობელი ოსია, მაგრამ ისიც ქართველია! საქართველოს მოქალაქე თუ ხარ, ქართველი ხარ აბა, რა ჯანდაბა ხარ! ეგრე, არ არის?

ქალის შეკითხვა ჰაერში ეკიდება, პასუხს არავინ სცემს და ახლა ის, მხოლოდ კაცის ყურებს მიმართავს, თუმცა მათი პატრონი საუბრის მიმართ არანაირ ინტერესს აღარ გამოხატავს.

— არაჩვეულებრივი დღეა, არა? — ქალი ფანჯარაში არც კი იხედება ისე კითხულობს, მაგრამ რაკი კვლავ არავითარი რეაქციაა არაა, ინტერესით იწყებს ტრანსპორტის სალონის დათვალიერებას, — აქ შიგნით სიმყუდროვეა, ყველაფერი სასიამოვნოა, კომფორტულია... ამ სკამზე, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს სამეფო სავარძელში ივჯდე... დილით წვიმას აპირებდა და ვთქვი: დიდი ამბავი, წვიმა მაინც ვერ შეგვაშინებს და ჩვენ მაინც წავალთ თბილისში, ფილარმონიაში გადაუდებელი საქმეები გვაქვს-მეთქი. ხვალ კი თუ უნდა ცა ჩამოიქცეს-მეთქი. წვიმამ კი შეგვაშინა, მაგრამ არ მოწვიმა! არაჩვეულებრივი დღეა! — ხმამაღლა ამოისუნთქებს, — მშრალი გზა როცაა, სასიამოვნოა მგზავრობა! ჰორიზონტს იქითაც კი ვიხედებით! რა კამკამა ცაა, არა? წვიმაში კი წყალია, არაფერი მოჩანს, ტალახია, ბორბლები სრიალებს! დედაა, ჩემი თვალით მაქვს ნანახი საშინელი ავარია...

ბიჭუნა ბებიას მაჯის ელექტრონულ საათზე ანიშნებს. ქალი ჯიბიდან წამლის პატარა ბოთლს იღებს. იქიდან, რამდენიმე ცალ ბურთულას ხელისგულზე იყრის და ყურებპარტყუნა მგზავრს ბედნიერი სახით ეუბნება:

— შეხედე, შეხედე! რა კარგი ბიჭუნაა! ჭკვიანი! იცის ბებო კარგად, რომ იყოს, ყოველ სამ საათში წამალი უნდა დალიოს! ბებოს ავიწყდება და ვინ ახსენებს? აბა, თუ მიხვდები ვინ ახსენებს?

— ნეტა ვინ ახსენებს? — ამოიოხრებს მგზავრი, — ხალხნო, აბა თუ მიხვდებით, ვინ ახსენებს? ჩვენ ვერავინ ვერ ვხვდებით, ვინ ახსენებს!

— ხუმრობაც სცოდნია! გამოცოცხლდა! გაცოცხლდა, ხალხნოო! — ქალი ხმამაღლა იცინის ყურპარტყუნას საქციელზე და წამალს რიგრიგობით ყლაპავს.

ექსპრესის სალონში ცოტა ხნით სიჩუმე ისადგურებს, რომელსაც გარედან შემოსული ზარების ხმა არღვევს. ქალი და ბიჭუნა ლამის ერთდროულად იწერენ პირჯვარს:

— თქვენ ნასადილევი ხართ? — ეკითხება მგზავრებს, მაგრამ პასუხის მაგივრად, მხოლოდ ხვნეშა, ან მთქნარების ხმა ესმის, — ჩვენ, არა! ნეტა, რომელი საათია? ორის ნახევარი იქნება, ალბათ! — პასუხობს თავის თავს და ფანჯარაში იხედება, — ჩვენ მშივრები ვართ, — განაგრძობ მშვიდად, წუწუნის გარეშე, თითქოს ვიღაც სხვაზე ლაპარაკობს, — ღვთის წყალობით, ეს ტრანსპორტი სწრაფად ჩაგვიყვანს... სახლიდან, როცა გამოვედი ორმოცდაათი ლარი წამოვიღე... მდიდრები არა ვართ, არც ღატაკები! ღატაკები, ისინი არიან, ვინც სულებს კარგავს! ღარიბები კი ვართ, მაგრამ როცა გჭირდება, შავი დღისთვის გადანახულიც კი უნდა დახარჯო! ჰოდა, საქმეზე ვიყავით ფილარმონიაში, მერე სამინისტროებში, მერე წამლებიც ვიყიდეთ, ყაისნაღი და ძაფები! ზოოპარკში ცხოველები ვანახე!

მაიმუნები რას მაიმუნობდნენ, არა შვილო? თუმცა იქ ყველა მაიმუნობდა, დათვებიც, ვეფხვებიც და მგლებიც! გაგიგიათ, ხალხნო, ბამბის ნაყინში ლარი წამართვეს!.. მოკლედ მაგრა დავიხარჯეთ, თუმცა კარგი დღე გავატარეთ ერთად!... ახლა კი, რამდენი დამრჩა? თითქმის არაფერი! – ბავშვს თავზე კოცნის და სევდიანი ღიმილით ამბობს,– აი, ხომ ხედავ, რა ძვირი მიჯდება შენი კარიერა, საბუთები და ჩვენი გართობა?! მთელი სიცოცხლე...

ამ დროს საუბარში ახლად გაგონილი „ფაქტებით“ გამოცოცხლებული ყურპარტყუნა ერთვება:

– ორმოცდაათი ლარი?! დილით, მატარებლით იმგზავრეთ და ფული გადაიხადეთ?.. ახლა, ექსპრესის ფულის გადახდაც გინდათ? რამდენი დაგრჩათ? ან საერთოდ, რა რაოდენობის თანხა გაგაჩნიათ? – ხმამაღლა კითხულობს ის და „მხიარული“ ინციდენტის მოლოდინში, თვალებს ეშმაკურად აკვასკვასებს.

– როგორ თუ, რამდენი დამრჩა? თქვენ გგონიათ, რომ ფული არ მაქვს? – აფორიაქდა ქალი, – ძალიანაც მაქვს! – იწყებს ჯიბეებში ფათურს და ქაღალდის ორ ხუთლარიანს იღებს, – ათი ლარი საკმარისია? ეს, ხომ თვითმფრინავი, ან ტაქსი არ არის?! ჩვეულებრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტია! – არწმუნებს საკუთარ თავს, — მეტი არ ეღირება!

– ძვირფასო ქალბატონო, დილის მატარებელში რამდენი გადაიხადეთ? – კვლავ სარკაზმით კითხულობს ყურებპარტყუნა.

– რამდენი?.. არც არაფერი! ხომ გითხარით – ეს ბავშვი, ინვალიდია! – ხმამაღლა, თითქმის უემოციოდ პასუხობს ქალი, – არც დედა ჰყავს და არც მამა. ანუ ფაქტობრივად ობოლია. სანამ ამ ბავშვს მშობლები ცოცხლები ჰყავდა, საცოდავი ჩემი შვილი და მისი მეუღლე, მეც მათთან ერთად ვცხოვრობდი! მაძღრად, მშვიდად და ბედნიერად! ახლა, ისინი აღარ არიან! ომმა დამიხოცა, გასაგებია?.. ბავშვი ფეხის ტერფებს ვერ ამოძრავებს! მეღა დავურჩი სულელი, და ცოცხალი! ეს, დაბომბვის დროს კედლის ქვეშ მოჰყვა, ფეხის მყესები და კუნთები დაუზიანდა... და რაღაც ისეთი დაემართა, გაუქვავდა ფეხები, წესიერად ვერც კი დადის! კიდევ კარგი დროზე ამოთხარეს, თორემ ვეღარ გადარჩებოდა! გასაგებია? ახლა, შვიდი წლის შემდეგ, როგორც იქნა ქაღალდი მოვიდა. აი, ეს ქაღალდი – თავდაცვის და ჯანდაცვის სამინისტროდანაა. გასაგებია?! აქ წერია, რომ ბიჭუნა ომის ინვალიდია და ძალიან ბევრი შეღავათი ეძლევა! დღეს თბილისში, სულ უფასოდ დავდიოდით! არაფერს არ ვიხდიდით. რაა, უნდა გადაგვეხადა რაიმე? ის, ხომ თერთმეტი წლისაა! სოფელში, ეზოს ბოლომდე ძლივ-ძლივობით მიდის... კიბეზე კი დახმარების გარეშე საერთოდ ვერ ადის! ამიტომ ვერავინ ვერაფერს გადაახდევინებს! ვერც მე? მეც ინვალიდი ვარ და ესეც!

ყურებფართხუნა ხელს ჩაიქნევს და აბეზარ ქალს, გულგრილად აქცევს ზურგს. კაცის ასეთია საქციელი ქალს უფრო მეტად ძაბავს და ის ხმას უწევს, თითქოს ვინმეს ეჩხუბება.

გაჰყვირის მთელი ხმით, ხმადაბლა მოხითხითე ექსპრესის სალონს:

– იმიტომ, რომ მე თანმხლები პირი ვარ! ჩემი ხუშტური კი არ იყო, ქალაქში ჩამოსვლა! სახლშიც არხეინად ვიყავი! ქათმები მყავს! კვერცხს ვყიდი! ლტოლვილის და დევნილის კვალობაზე, თხაც მყავს, ფულს ვაგროვებ, ძროხა უნდა ვიყიდო! უფრო მეტი ფული, როცა გვექნება, ბავშვს პიანინოს ვუყიდი! ხომ ნახეთ რა კარგი სმენა აქვს! ნიჭიერში გადაიღეს დღეს ფილარმონიაში! აბაა?! ბევრი ტაში დაუკრეს!.. ისეთი ნიჭიერია, მუსიკა ძალიან უყვარს! აჩვენებენ ტელევიზორში, გახდება ცნობილი! გაიცნობს ხალხი და მათში ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდება, რომელიც ოპერაციის ფულს მისცემს და ისიც, წესიერად გაივლის ფეხზე! – ხელს კრავს ყურფართხუნას და ჰკითხავს,– ხომ არ იქნება გვიან?.. ხომ აკეთებენ ასეთ ოპერაციებს?

– იცი, რამდენი გულის საკლავი ისტორიები გვაქვს გაგებული?.. შენი ყველაზე უინტერესოა! – კბილებში გამოცრის კაცი,– ღატაკიო... ისაო, სული ვისაც არა აქვსო?! რა თეატრალურად გამოგივიდა?.. ეგ, რომ არ გეთქვა, კიდევ დავიჯერებდით რაიმეს!.. თქვი რა ფული, რომ გინდა! აღიარე ჩამოყალიბებული მათხოვარი, რომ ხარ და ეგ არის?!.. სიმღერაც ხომ უკვე იმღერეთ!

– ხომ აკეთებენ ასეთ ოპერაციებს? – დაჟინებით კითხულობს, მისი სიტყვებით გაოგნებული ქალი,– მითხარ, ხომ აკეთებენ ასეთ ოპერაციებს?

მგზავრი უხეშად აუქევს ხელს და რაღაცას უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნებს.

ქალი კი აღარ ჩერდება. ყვება და ყვება:

„რა იყო ბავშვის ცხოვრებაში მთავარი და მნიშვნელოვანი. როგორ წვალობდა, როცა სოფელში ომის მერე კვლავ დაბრუნდნენ... ირგვლივ დაუმარხავი გვამების სუნი ტრიალებდა! როგორ ეძინათ უფანჯრებოდ დარჩენილი, ჩამოქცეული სახლის კედლებში, რომელსაც მათი ახლობლების სისხლი, ჯერაც მკაფიოდ ეტყობოდა!.. როგორ არ ეშინოდათ გარეული და მტაცებელი ცხოველების და ომისგან გავერანებულ სოფელში, გაჩენილი მგლების, და როგორ ემალებოდნენ უცნობ ადამიანებს!!!“.

ამ ყველაფერს პათოსისა და ზედმეტი ემოციების გარეშე ყვებოდა... ბევრი რამ გაიხსენა... ტკივილიანი ისტორიებიდან, ბუნებრივად გადავიდა მხიარულ ამბებზე... სალონში უკვე დაუფარავად ხითხითებდნენ და კმაყოფილებით აქნევდნენ თავებს მგზავრები...

იმ შემთხვევაზე კი, ღამით, სახლის სარდაფში შემოხიზნული ბეკეკა ეშმაკი, რომ ეგონათ და გათენებამდე ლოცვებსა და გალობაში გაატარეს... თვითონაც და ბავშვმაც ბევრი იცინა, მძღოლსა და სხვა დანარჩენზე რომ არაფერი ვთქვათ...

ქალი თავსაფრით, პერიოდულად იწმენდდა მხიარულებისაგან აცრემლებულ თვალებს და ბიჭუნას გამხდარ ლოყებზე ჩქმეტდა:

— გახსოვს, ბები? გახსოვს? როგორი საცოდავი თვალებით გვიყურებდა ბეკეკო?! მთელი ღამე გასუსული, როგორ გვისმენდა და ხმას არ იღებდა? ახლაც კი, „შენ ხარ ვენახო“-ს, ან „ღვთისმშობელო ქალწულო“-ს, როგორც კი გაიგონებს, შემოვარდება სახლში და სანამ არ დავამთავრებთ ლოცვას, გახევებული გვისმენს!

ექსპრესი მორიგ გაჩერებას უახლოვდება და რბილად ჩერდება.

სალონში დაღლილი კონტროლიორი ამოდის. მის დანახვაზე, ბიჭუნა იბუზება. ქალი ნაზად იხუტებს შეშინებულ ბავშვს და დაძაბული უყურებს კონტროლიორს, რომელიც ნელა მოიწევს მათკენ. გზადაგზა კი „თქვენი ბილეთები თუ შეიძლება?“ — შეკითხვით, გამხიარულებულ მგზავრებს უმოწმებს ბილეთებს.

ქალი — დაბალი, გულშიჩამწვდომი ხმით ცდილობს, უეცრად მოვარდნილი და გულში გაჩენილი შფოთის ჩახშობას:

— ნუ გეშინია, ეს კონტროლიორი ჩვენებურია! რაკი ექსპრესი „შანხაიში“ მიდის, ალბათ ისიც იქაურია, აბა რაა! — ყურში ჩასჩურჩულებს თვალებგაფართოებულ ბიჭუნას.

მაგრამ მაინც ვერ მშვიდდება, ყრუ შიში და უსუსურობის შეგრძნება იზრდება, გულზე აწვება და სუნთქვას უშლის...

მგზავრებიც გრძნობენ ამას და ყველა... ინტერესით და აზარტით ელოდება — საპრემიეროდ გამზადებული ფილმის „უბილეთო ექსცენტრიული, ორიგინალური მათხოვარი ქალის საბედსწერო შეხვედრის ექსპრესის კონტროლიორთან“ დაწყებას.

დაძაბულ და გამწარებულ ქალს უკვე ყურებფართხუნას ზურგიც კი აღიზიანებს, რომელიც ექსპრესის მოძრაობასა და ლავირებასთან ერთად, აქეთ-იქით სინქრონულად ქანაობს:

— რა, ამჟავებული სახე აქვს! — ხმამაღლა ამბობს ქალი, ისე რომ მგზავრის ზურგს თვალს არ აცილებს... ასე, ცდილობს არავითარ შემთხვევაში არ შეხედოს თითქმის მოახლოებულ კონტროლიორს...

...უცებ რაღაც ახსენდება და იმედის ნაპერწკალი უჩნდება. ჩაახველებს და ჩვეული ენერგიით აგრძელებს, ცოტა ხნის წინ შეწყვეტილ მონოლოგს — „ყველაფერზე“:

— ბიოლოგიის მასწავლებელი გვყავდა, სკოლაში! სტალინის დროს, უამრავი გადასახლება და ციხე გამოიარა! კარგი კაცი იყო! როცა გავიცანი ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა, სკოლაშივე, მეორე სართულზე! ტელევიზორის საყურებლად ხშირად მოდიოდა ჩვენთან! უყვარდა ცხოველებზე გადაცემები! ჰოდა, ერთხელ უყურებს ამ გადაცემას და ხედავს მშიერი ვეფხვი, როგორ მისდევს ანტილოპას! ერთი ნახტომიც და საცოდავი ცხოველი მის მომაკვდინებელ კლანჭებში მოექცევა და... ამ დროს, გააფთრებული ლომივით წამოხტა, ეს ჩვენი მასწავლებელი, ეცა ტელევიზორს და გადართო სხვა არხზე! გადართო და შვებით ამოისუნთქა — ეს, ანტილოპა მაინც გადავარჩინეო, სიკვდილის საბედისწერო კლანჭებსო!.. — იცინის და ბავშვს კოცნის, — რატომ გამახსენდა, იცით? თუ არ ხედავ ცუდს, ის ვეღარ ხდება!.. ცუდს მაყურებელი თუ არ ჰყავს, ვეღარ ცუდობს! დახუჭავ თვალებს და ისიც გაქრება!.. სიკეთე კი, სიბრმავესაც, დაუნახაობასაც, უმადურობასაც და სიბნელესაც იტანს!

ბებია და შვილიშვილი ღიმილით ხუჭავენ თვალებს, მაგრამ კონტროლიორი უკვე თითქმის მათ გვერდით დგას და ელოდება...

...ქალი ისეთი მშობლიური სახით ახედავს მომხვდურს, რომ წამიც და ისინი ძველი ნაცნობებივით გადაეხვევიან ერთმანეთს... მაგრამ ფორმიანი კაცი, ისეთ სახეს ღებულობს, თითქოს რაღაცამ აწყინა და ახლა უნდა აღებინოს... ამიტომ, მკაცრი, თავშეკავებული და თეატრალური ტონით მიმართავს ნარინჯისფერთმიან ქალს:

— თქვენი ბილეთები, ქალბატონო!

ბებია კი, თითქოს ფანჯარაში იხედება, მაგრამ კვლავ გამუდმებით უთვალთვალებს, კიდევ ერთი რიგით მოახლოებულ კონტროლიორს.

ბიჭუნა თვალებს ხუჭავს და ხმადაბლა რაღაცა ღიღინებს.

ბებიას და შვილიშვილს ეს კონტროლიორი მანამდე არასოდეს შეხვედრია...

ფორმიანს სახეზე, მხოლოდ მოწყენილობა და დაღლილობა აღბეჭდია. არაფერი აინტერესებს, მხოლოდ დროულად შეაწმოს ბილეთები და დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულოს. ამაში იღებს ფულს, რომელიც დიდი ხანია კონკრეტული საქმეებისთვის აქვს გადანაწილებული.

კარგად მოქმედი ავტომატია. ეს კი, ფრიად საჭირო დამოკიდებულებაა ხელფასისა და თანამდებობის შესანარჩუნებლად...

...კონტროლიორი, პერიოდულად იხედება მათკენ.

ბიჭუნა თვალებს წამით ახელს და ეჩვენება — ეს კაცი, როგორ უქნევს თითს და მკაცრად აფრთხილებს:

„აი, მოვაღწევ თქვენამდე და ერთი, ბილეთი არ გქონდეთ! მე, თქვენ გიჩვენებთ სეირს...“

ბიჭუნას ეშინია, გაქცევა უნდა, წამოდგომასაც კი ცდილობს, მაგრამ მუხლები საშინელი ტკივილით ახსენებენ — „ვერსად გაიქცევიო!“... და ისიც, სიმწრისაგან ბებოს ეკვრის და მის მკერდში მალავს თავს.

ქალი, ჰორიზონტს გაჰყურებს თითქოს, არც მგზავრები, არც ექსპრესი, თავისი კონტროლიორ-მძღოლიანად არც აინტერესებდეს... ბავშვს, კი მკაცრი, ხმადაბალი ტონით ეუბნება:

— ჩუმად იჯექი!.. ნუ სლუკუნებ! ნურაფრის გეშინია, ვეფხვო!..

ექსპრესი, ოკეანის ლაინერივით მიცურავს, მზისგან გახურებულ ასფალტზე და სიჩქარისგან წარმოქმნილი ჰაერის ტალღა, შრიალით აღვიძებს, გზის გასწვრივ ჩაძინებულ კაკლის ხეებს.

ბებია უყურებს მზის სხივებით გამთბარ პეიზაჟს,

უკიდეგანო მინდვრებს, მხარგაშლილ ქედებს... ლურჯად მობიბინე ბალახში, სისხლისფრად ჩაყრილ ყაყაჩოებს... და თითქოს ენერგიის მოზღვავებას გრძნობს, ნელ-ნელა ბრუნდება, კიდევ რამდენიმე ნაბიჯზე შეყოვნებულ კონტროლიორისკენ, ხელით ივარცხნის ჭაღარა თმას და უფრო მკვრივად იკრავს თავშალს.

კონტროლიორი, უბილეთო მგზავრს აღმოაჩენს. თითქოს, ექსპრესში სიტუაცია იძაბება, მაგრამ გაუგებრობა ადგილზევე გვარდება. უბილეთო, სრულად იხდის მგზავრობის საფასურს.

ქალი ნათლად ხედავს, როგორ გადაინაცვლებს კონტროლიორის ხელში რამდენიმე ათლარიანი და წამის წინ მოზღვავებული ენერგია უკვალოდ უქრება.

„ალბათ, ეს არ მიდის „შანხაიმდე“! – ფიქრობს ქალი, – აბა, მაშინ სად მიდის, ეს ოხერი?“

აზრი, იმის შესახებ, რომ ავტობუსი შეცდომით სხვა მიმართულებით მიექანება, აბნევს და უფრო მეტად ძაბავს. ამიტომ გადაწყვეტს, კიდევ ერთხელ გადაამოწმოს მარშრუტი:

– დარწმუნებული ხარ, რომ „შანხაიში“ მივდივართ? – ეკითხება ყურებპარტყუნას.

– დიახ, ქალბატონო! – დემონსტრაციულად, ოდნავ დამცინავი ინტონაციით პასუხობს ყურებპარტყუნა.

ქალი, კვლავ იხედება ფანჯარაში. იქ, მინდვრის უკიდეგანო პეიზაჟს, სარეკლამო აბრების მთელი სერია ფარავს.

ფერადი პლაკატები, ქათქათა კბილებით, არაბუნებრივი ფერის თვალებით და იდეალური სახის ნაკვთებით ცდილობენ – სწორი რჩევის, მართებული შემოთავაზების და მომხმარებლის ხორცშეხმული ოცნების რეალიზებას.

ამ დროს, კონტროლიორი უახლოვდა ქალს და მხარზე ეხება:

– საით მიემგზავრებით? ბილეთები, თუ შეიძლება?

– ბილეთები არ გვაქვს, მაგრამ აი, ფული... – ქალი აწვდის ორ ხუთლარიანი.

– ეს, არ ეყოფა! ორმოცი ლარი უნდა!.. – მაგრამ რაკი ვერანაირ რეაქციას ვერ ამჩნევს, ბრაზდება, – ესეც ვიცოდი, რომ რაღაც სიურპრიზი დამხვდებოდა! რას ამოაჭერი ამ ექსპრესში? არ იცი, რომ აქ ორმაგი და სამმაგი ფასებია?

– ეს ბავშვი, ინვალიდია! – ქალი ცდილობს სიტუციის ახსნას, თან სამედიცინო ცნობას აჩეჩებს კონტროლიორს.

– ჩემი საქმე არ არის! ჩემი მოვალეობაა ყოველი მგზავრიდან ავიღო დადგენილი საფასური! – ორმოცი – ორმოცი ლარი! ეს კონკრეტული და კომერციული თანხაა!

– ჩემთვის არაფერი უთქვათ! რატომ თავიდანვე არ გამაფრთხილე? – გაბრაზებულმა ქალმა ხელი ჰკრა ყურებპარტყუნას.

ყურპარტყუნა დამცინავი სახით ბურტყუნებს:

– ყველამ თავის თავს თვითონ უნდა მიხედოს!

ქალი ჯიბეებში იწყებს ქექვას, ერიდება კონტროლიორისკენ გახედვას. ის კი, მყარად დგას საფასურის მოლოდინში და არსად წასვლას არ აპირებს. ქალი ხან სკამის სახელურს ჩაავლებს, ხან სადღაც კაბის შიგნით დამალული ჯიბისკენ წაიღებს ხელს. დაძარღვული, დამსკდარი და დაკოჟრილი ხელები, რომლებზეც ბებრული ლაქები ხალებივით ეტყობა, ნერვიულობისგან უკანკალებს.

ჯიბიდან ყველაფერს იღებს, ცხვირსახოცს, ფერად ქვებს, ბუშტს, ასანთს, თმის ყვავილებიან სამაგრს, კანფეტს, მაგრამ ფული, არსად ჩანს.

– ძვირფასო ქალბატონო! – ამბობს გულგატეხილი კონტროლიორი, – კიდევ ოცდახუთი ლარია საჭირო! სამწუხაროდ, მე, ვერაფერს დაგეხმარებით!

– მოიცადეთ! – ქოშინით იძახის ქალი და ხელს ისე ღრმად იყოფს კაბაში, რომ ლამის მუხლებამდე იხრება. იქაც დიდხანს ეძებს, სახე მთლად უჭარხლიანდება და ოფლი ასხამს:

– ღმერთო, შენ გვიშველე!.. ღმერთო, შენ გვიშველე!

ბოლოს დატკეპნილ ფეხსაცმელსაც კი იხდის, სიტყვებით:

– აქ, ყოველთვის ვინახავდი ფულს... აი, ჩამოგიყვანე თბილისში! რად მინდოდა კონკურსი, ან ეგ ცნობა, სოფელში! რა თავში ვიხლიდი! ახლა, ხომ ხედავ რა დღეში ვართ! სასწაული თუ გვიშველის, – გულნატკენი ეუბნება, სირცხვილისა და უხერხულობისაგან ლამის ატირებულ ბიჭუნას და მგზავრებს იმედის თვალით შეჰყურებს...

...მგზავრებს ძალიან ართობთ ეს სცენა. ისინი, პერიოდულად აპარებენ ცნობისმოყვარე თვალს ამ „მხიარული ბებრუხანასკენ“...

...კონტროლიორი იცდის. შემდეგ მის ყურადღებას, მგზავრების მხიარული „რეაქცია“ იპყრობს და ხმადაბლა ამბობს:

– ამათ ღმერთი არ სწამთ და ამიტომ აქ სასწაული არ მოხდება!

ამ დროს ვიღაც ახალგაზრდა, სტუდენტი, გაბურძგნული, მუწუკებიანი, გამხდარ სახეზე დიდი სათვალეებით, ფეხზე წამოდგება, მიირბენს, აფორიაქებულ მოხუცთან და ისეთი ტონიც ამბობს სათქმელს, თითქოს რაღაც დამამცირებელს აკეთებდესო:

– მე, მაქვს რვა ლარი! – და სანამ რკინის ლარიანები ქალის კალთაში ჩაიყრებიან, სწრაფად უბრუნდება თავის ადგილს.

გახარებული და გაკვირვებული ქალი ყვირილით წამოდგება:

– დიდი მადლობა! ღმერთი გფარავდეს!

მან არ იცის კიდევ, როგორ გადაუხადოს მადლობა ამ უცნობ ყმაწვილის, მაგრამ იმასაც ხვდება, – ამ თანხით, პრობლემები არ ამოეწურება - ფული მაინც არაა საკმარისი... და ქალი მუდარით შეხედავს კონტროლიორს:

– არ არის საკმარისი?

კონტროლიორი ამოიოხრებს, ჭერს ახედავს და ყველას გასაგონად ამბობს:

— საჭიროა კიდევ 18 ლარი! მე ჩემი მხრიდან კიდევ ხუთ ლარს დავამატებ... — სიტყვები საკმაოდ ხმამაღლა და მკაფიოდ გაისმის ექსპრესის სალონში... მგზავრებს ნათლად ესმით მისი ნათქვამიც და ის, აზრიც, რაც ამ ტექსტის მიღმა იგულისხმება...

კონტროლიორი კიდევ ერთხელ იმეორებს, მაგრამ ამჯერად საკმაოდ შერბილებული ხმით:

— საჭიროა კიდევ 18 ლარი! მე, ჩემი მხრიდან კიდევ ხუთ ლარს დავამატებ... — ის, მაინც ფირმის ოფიციალური კონტროლის წარმომადგენელია და არ უნდა კლიენტებმა არასწორად გაიგონ მისი სიტყვები...

...დრო მიდის, იცდის ქალი, ბავშვი თვალდახუჭული ზის ბებიის კალთაში. მგზავრები, ხმას არ იღებენ და არც კი ინძრევიან.

„მოკვდნენ, თუ რა დაემართათ?!“ — ფიქრობს ქალი. ფეხზე დგება და ორივე ხელით ეჭიდა სკამის საზურგეს.

თვალებით ეძებს იმას, ვინც გაუგებს... მაგრამ ირგვლივ შეურაცხმყოფელი სიჩუმე დგას. მათკენ არავინ იხედება. ყველა „ტკბება“ პეიზაჟით. ყურებფართხუნას კი, საერთოდ თავი ჩაუქინდრავს, მგონი, სძინავს კიდეც.

ქალს უცებ მოუნდება ამ მოხერხებული სავარძლის მოგლეჯა და მილეწ-მოლეწვა ექსპრესის, ამ კომფორტული სალონის... მაგრამ, ამის მაგივრად შელახული და დამცირებული, გვერდით მდგარ კონტროლიორს გახედავს.

კაცი არიდებს თვალს და მონოტონური და დაღლილი ხმით ამბობს:

— ვერაფერს ვიზამთ! მეც ჩამოვალ ხუთ ლარს! ხუთ ლარზე მეტს ვერ დაგიმატებ! ბილეთი თუ არ აიღე და საჭირო ფული არ გადამიხადეთ, უნდა ჩაგყაროთ! თუ მე აქედან არ ჩაგყარეთ, სამსახურიდან გამომაგდებენ... — ამოიოხრავს, ცოტა ხანს ჩაფიქრდება... და უეცრად გაბრწყინებული თვალებით წელში მოხრილ ქალს მიმართავს,— მოდი, იცი, რა ვქნათ? ბიჭუნას ყოფნის ბილეთზე. თქვენ გრჩებათ ხუთი ლარი. აქედან ბოლო გაჩერებამდე შორი მანძილი აღარ დარჩა. ჩადი და ფეხით ორ-სამ საათში დაფარავ მთელ გზას... ჩვენ კი, ბიჭუნას ბოლო გაჩერებაზე დავტოვებთ! იქ, საოფისე პუნქტი გვაქვს და ფირმის წარმომადგენელთან ერთად იქნება. არაფერი დაუშავდება! დაგელოდება!.. არაფერს დააკლდება შენს ვაჟკაცს! კარგი? რა გქვია, შვილო? — ჰკითხა ბიჭუნას.

— ვეფხია! — ბოკვერივით დაიღრენს ბავშვი.

— კარგი სახელია, ვეფხია! ქართული! გააჩერე ავტობუსი! — ყვირის კონტროლიორი, — გააჩერე, აქ ჩადიან!

— გააჩერე, ჩავდივარ! — ლოცვასავით იმეორებს ქალი და გაყურსულ სალონს გადახედავს.

— გააჩერე, ფული არ ყოფნის! — ისეთი ხმით ყვირის კონდუქტორი, რომ სინდისის ქენჯნას მგლებშიც კი გააღვიძებს... მაგრამ... მაგრამ, სალონში ჩვეულებრივი, მოსამსახურე-მოჯამაგირე ადამიანები ისხდნენ, რომლებიც კაპიკს კაპიკზე ადებდნენ და ხელფასიდან ხელფასამდე ცხოვრობდნენ. მორჩენილი ფულით კი საყვარელ და ძვირფას ადამიანებს უკეთებდნენ საჩუქრებს... ისინი, „საშინელებებს“ არ სჩადიოდნენ და ამიტომ ეგონათ, რომ ღმერთი სწამდათ...

ექსპრესი ძველი შენობის წინ ჩერდება.

— იცოდე, ჩავდივარ... შენ კი იქ დამიცადე. მალე მოვალ. ფეხი არსად გაადგა, გაიგე? იმღერე! ჩვენი სიმღერები, იმღერე! — არიგებს ჩასასვლელად გამზადებული ბებია შვილიშვილს.

ბიჭუნა სირცხვილისაგან და უსუსურობისაგან ცახცახებს და ცრემლებს ძლივს იკავებს, თვალებზე მუშტებს იფარებს და ბებოს თანხმობის ნიშნად, თავს უქნევს...

— იმღერე!

და ბიჭი ხმადაბლა, წკრიალა ხმით მღერის.

კარი იღება და ქალი ჩასასვლელთან მიდის, კიდევ ერთხელ გახედავს ფანჯრებზე მიტმასნილ მგზავრებს... რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ ბოლო მომენტში ხელი ჩაიქნევს და ჩადის.

ბიჭუნა არ ტირის, არც ემღერება, მაგრამ მაინც მღერის... კარი იკეტება, კონტროლიორი თვალს აყოლებს გაჩერებაზე დარჩენილ დადარდიანებულ ქალს, რომლის დანაოჭებული, უწყლო, გამხმარი მიწასავით სახე, მკაცრად მოკუმული უკბილო, ათრთოლებული პირი და თავსაფრიდან ამოვარდნილ, ქარზე მოფრიალე თმები აღარასოდეს დაავიწყდება...

„პირნათლად შესრულებული ვალდებულებისთვის, ალბათ პრემიას მისცემენ! ან სულაც ხელფასს მოუმატებენ!..“

ბიჭუნა ტირის, მაგრამ მაინც მღერის.

„მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარგაშლილები...
მთაში — ტყე დანაბინდები,
ტყეში — ქორბუდა ირმები...
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები...
მხარევ მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?“

კაცი, უსმენს ბავშვს და გუნებაში აგინებს — თავის ბედს, კონტროლიორის — უმადურ და უგულო თანამდებობას, უმუშევრობას, და ყველაზე მთავარს — მისი საქმიანობის შემმოწმებელს, უფრო დიდ და მზაკვარ „კონტროლიორს“, რომლის შესახებაც დილიდან „ჩუმად“ გააფრთხილეს... და რომელიც ახლა ავტობუსის სალონში, უბრალო მგზავრივით მოკალათებულა და სამსახურის შესანარჩუნებელ ქულებს უწერს... ან არ უწერს — თავისი საქციელით და ფირმის მოვალეობის პირნათლად შემსრულებელ, შერცხვენილ და გულნატკენ ადამიანს...

მაია ოჩაკონიძე

* * *

ენკენისთვე – სიყვარულით მთვრალი...
მჩქეფარება დასტყობია რიონს.
მზემ ჩამიკრა ოქროსფერი თვალი,
მგონი, უნდა, სულ რომ გადამრიოს.
ყანებს ისე აბიბინებს სიო...
ჭრიჭინებმა მოუმატეს ჭრიჭინს,
მე ვიკითხო უშენობით, თორემ,
უჩემობით, აბა, შენ რა გიჭირს.
ქარვისფერი დღეებისთვის მაინც...
ცის თონეში მზის მცხუნვარე სუნთქვას...
ყურში გეტყვი... თუ შევძელი მაინც,
შენთვის ჯერ რომ სულ არავის უთქვამს.
არ ყოფილა, გულო, შენი ბრალი,
შიგ ნაღველი რომ არ გაგერიოს,
ენკენისთვე სიყვარულით მთვრალი,
მჩქეფარება დასტყობია რიონს.

* * *

მტვერი დაედო მოგონებას და არ შორდება...
არც მოშორდება, რაც არ უნდა სული უბერო.
გადაირბინეს ცაზე ახლა თეთრმა ღრუბლებმა...
არც მოსართავი, არც საკაზმი, ასე... უბელო.
ბელურებს ასე რომ შეაკრთობს ჩემი ჩურჩული,
ის არწივისთვის სულ უბრალო ერთი ჩქამია.
ვერ მოვასწარი, ვერც ეს დილა რომ შემესუნთქა,
თვალს გაახელ და ცოტა ხანში უკვე ღამეა.
სუნთქვაშეკრული ღამეები აღარც მაშინებს,
ცხოვრების ზღაპარს მხოლოდ შერჩა
არა იყო რა...
მწუხრის ზეცაზე მთვარე ბლანდავს
ყვითელ არშიებს...
როგორც დამწვარი თაფლისკვერი, ისე მიგორავს.

* * *

გულის მიტანა გონებამდე ვერ მოასწარი
და მაყვლიანში გაბმულივით, ჰგავხარ ნიბლიას.
შემოანათა მზემ თვალები თოვლს და ბრჭყვიალებს...
სიცოცხლეს ფეთქვის შეუგრძნობლად
სხვა რა ხიბლი აქვს?!
თვალებმა გამცა, იქნებ ჯობდა, ხმა არ გამეღო...
არსებობას და სიცოცხლეს შორის ბეწვის ხიდია.
რომ გეგონება მზე ღრუბლებმა
სულ მთლად დაფარა,
აიხედავ და ცხრავე სხივით ცაზე ჰკიდია.

* * *

ვიცი, რას ამბობს ნაკადული თავის რაკრაკით,
მახსოვს, დუმილიც – ჩამესმოდა რობაიებად.
ვერაფერს გავხდი ვერც ფიქრით და
ვერც ლაპარაკით...
საქმე რომ აღარ გაგეხადა საპატიებლად.

ქარმა, აშარმა, აყვავებულ ტყეებლებს რტოები
რად დაამტვრია და სარკმელთან რატომ დაყარა?
ფანჯრებზე ღამეც ახლა ისე ჩამოიღვენთა,
როგორც წვიმაში გაწუწული ყვავის ბახალა.

* * *

ზეციერი ალბათ მცდიდა,
რაც სხეულმა
ძაძა ცვითა...
არ ცვიოდა
არც რა ციდან.
ღამეები ბარბაცი და...
წვიმდა,
წვეთიც არ ამცილდა,
მერე ცრემლად ამიმძივდა.
რასაც ვთესავ,
თანაც ვმკი და...
ხან არა და
ხანაც კი და...
ნაკადულის რაკრაკიდან
მოსმენილი არაკიდან...
სევდა – სულის ფთილასავით,
სიყვარულის ზვარაკიდან.
მმზერდა მზე და მანაზებდა,
გულს კი მაინც არ ავსებდა,
გაცრეცილან ფერადები,
ნისლია თუ მელანდები?

* * *

სულის სარკმელი თეთრი თოვლით ამომიქოლეს,
სიმშვიდის გარდა სხვა სიცოცხლის
არაფრისმქონეს...
განაბულ სულში ამოვარდნილ
ქარიშხალს მიწვენს...
და უხილავი ამ ჩარაზულ კარს იქით მიწვევს.
– იყო ცოცხალი და სიცოცხლის
როდემდე გშურდეს?...
და მიბრუნებენ სიყვარულში ღიმილის ხურდებს.
განაბულ სულში ქარიშხალის კვლავ გადამკიდემ...
მხოლოდ მე ვიცი, რა მანძილია არადან – კიმდე.

* * *

ახლა ყვავილები თეთრი ალიანდრის
კაბას დავაქარგე, ძაფით მირინოსის.
დავედევნებოდი ცაში გაფრენილებს...
ფრთები რომ მქონოდა ჟღალი მიმინოსი.

ისევ რომ მქონოდა თმები მუხლებამდე,
ბაფთებს პეპლებივით თმებში დავიბნევდი.
გზაზე შემხვდებოდი? არ მომეშვებოდი?
ერთი შემოხედვით თავგზას აგიბნევდი.

ახლა არც მიხდება, ჩემი სურვილები
გზაზე გამოვფინო ქარით განაშოლტი.
მხოლოდ სიზმარია, როცა ჩაგეძინა...
და მეც ამ სიზმარში სუნთქვას ვდარაჯობდი.

* * *

ჩემი არ არის არც ჩემი სახლი,
თითქოს კედლებიც მეუცხოება,
თითქოს სხვის ნაცვლად მე ვარსებობდი,
რადგან სიცოცხლე არ ჰგავს ცხოვრებას.
თითქოს ციხეში დადებულ ხუნდებს
დავაჩხარუნებ და დღეებს ვითვლი...
შემომხვევია გულზე ნაღველი,
როგორც მსხლის ხეზე ასული ფითრი.
არ იუარო... ეს სინამდვილე
იყო ფერადიც, მაგრამ სამანიც
ისე ახლოა, ვით ჩემს ეზოში
ჭიშკარის გვერდით იასამანი.
დაშტერებული დღეები მიქრის,
და ხელის გულზე ფიფქი მიქრება,
ვერ მოვიშალე იმაზე ფიქრი,
რაც არ იქნება... რაც არ იქნება...

დებიუტი

ირინა ბავაშელი

წუთისოფელი

ყოფილა წუთისოფელი,
გამოსაცდელი კაცისა,
როცა იქნება ყოველი,
მოგვეკითხება მაინცა...

დროს უქმად ვკარგავთ, არ ვიცით,
ფასი წუთის და წამისა,
სხვას განვიკითხავთ, მაცილი,
ჩვენს გონებაში დადისა...

სიყვარული და სიკეთე,
ლამის დაცადოს ბოროტმა,
ვერც ჩიტი ბუდეს იკეთებს,
ვერც მაღლა ფრთებს შლის ტოროლა...

შავ-თეთრი გახდა სამყარო,
მომრავლდა ბაცი ფერები,
აღარც კაცი ჩანს ამაყი,
არც ქალი მოსაფერები...

წარსული აწმყოს ხიდია,
ბედის ბორბალი ტრიალებს,
ცხოვრების გზაზე ბინდია,
წინ იყურეთ და იარეთ!..

* * *

მაშინ, როდესაც თვალები
მეტს მეტყველებენ სიტყვებზე,
შენი სიჩუმით ტკივილი
ჩემთვის რად გამოიმეტე?!.

მაშინ, როდესაც ყველაზე
თავი ძლიერი გგონია,
რად იქცა ჩემთვის ცხოვრება
სევდად და მელანქოლიად?!

ᲚᲘᲖᲐ ᲭᲔᲚᲘᲫᲔ

ბოლო გზა

სულ ერთი ხარ და
სულ ერთი გახდა ყველა სულიერი
შენს გარდა,
სულ მაკლდი და სულ მარტო ველოდი და
გელოდი და
ახლა მარტია გარშემო,
გარემო გახდა გარდამავალი და
გარდერობში დამალული
ოცნებები ახდნენ,
ვოცნებობდი ცოტას და ვფიქრობდი ბევრს და
ბევრ რამეს, მერე
ფიქრნარევი თვალები დამჩემდა,
აგიჩემე და ჩემი გულის ყველა წერტილი
წარუშლელად დაიკავე
და რა ვქნა,
თუ ყველა გზა შენთან მოდიოდა და ვერ
ვხვდებოდი და მაინც
გზები ყოველთვის მთავრდებიან...
ველარ ვწერ, შენ გწერ და გეუბნები,
რომ უშენობა უშენოდ
მოსაბეზრებელ რეალობაში გადაიზარდა და
ეს ლექსიც ბოლოს ვერლიბრს დავამსგავსე და
შენი თვალებიდან დანახული სამყაროა ჩემი
ოცნებების ახდენის წინაპირობა,
და მაინც სულ ერთია ახლა ეს ლექსი
კონვენციაა თუ ვერლიბრი,
შენს გარდა მაინც ვერავინ გაიგებს, რაზე ვწერ.
და შენს გარდა მაინც არსაით მიდიან გზები.
ბოლო გაჩერება და ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით და
ხელი მომკიდე, რადგან
როცა შენთან ვარ, უყურადღებოდ
გადავდივარ გზაზე,
რომელიც უკვე სულ ერთია სად მიდის,
რადგან ყველა გზა დავასრულე,
როცა შენთან მოვედი.

ძაღლი

ძაღლი ყეფს გარეთ,
დაიღალა ალბათ ცხოვრებით.
ეჰ, ჩემო თავო, რა დროს ძაღლი,
რა დროს ყეფაა,
გავანიავე ყველა ვერცხლი, რაც კი მომეცი,
ღმერთო, როდესაც უშენობა ამოვირჩიე,
ახლა ძაღლივით დაღლილი ვარ,
ყეფას შევეშვი,
ცხოვრება ხელში ჩამელია, პეშვიდან წვეთავს
საკუთარ თავში ჩაკეტილი მფატრავს ცხოველი
ვწევარ მიწაზე უგონოდ და ნახევრად მწველი
მზის ყველა სხივი უიმედოდ ზეციდან მზვერავს,
ძნელია ყოფნა, როცა ძაღლიც ბედით გჯობია,
ძნელია ფიქრი, როცა გზები დასრულდა ყველა,
შენ მართალი ხარ, ჩემო ძაღლო, ყეფა ჯობია,
ასე მარტო და უიმედოდ ზეცაში ფრენას.

* * *

რა კარგია, რომ შემიძლია ვწერო,
ვწერო რა, შენ მოგწერო და
მოგიყვე, როგორ ვცხოვრობთ,
მე და შენ, ჩვენ და ადამიანები,
ისინი ცხოვრობენ? რა ვიცი, ალბათ,
ზოგი არსებობს და მხრებზე ნატვრისხე
ამოზრდილ ადამიანებს გიჟებად თვლის,
ან პირიქით, ზოგი ცხოვრებით კი არ ცხოვრობს,
ცხოვრება ცხოვრობს ამ ადამიანებით,
დაეძებენ ბედისწერას და მე კი არ მჯერა ხანდახან,
ან მჯერა, რომ ყველაფერი უკვე ვიღაცამ დაწერა,
ჩვენი ბედისწერიდან დაწყებული,
ყველაზე კარგი ნაწერით დამთავრებული,
ლიტერატურული, რა თქმა უნდა,
და თუ მაინც არსებობს ეს ჩვენი ცხოვრება სადმე
პატარა უბის წიგნაკში,
თუკი ჩაგვთვალეს ამის ღირსად,
მაშინ გეტყვი, რომ
ის ზღაპარს ჰგავს და
ეს ყველაფერი მხოლოდ მოხუცი, თეთრწვერა
ბაბუის შეთხზული ამბავია,
რომელმაც მე და შენ
ჩვენ
ზღაპრის გმირებად აგვირჩია,
მეც შევიფერე...
გიპოვე და მადლობა მეზღაპრეს,
მადლობა ღმერთს,
მადლობა იმ პატარა წიგნს,
სადაც ასე ლამაზად მოგვიყვა კეთილმა ბერიკაცმა,
ჩვენივე ცხოვრება.

ლაშას

მხოლოდ ისაა, რაც შემიძლია გითხრა,
რომ ამ ცხოვრების მძიმე ვიგემე ტორი,
რომ სინანული მლაშე უპეებს მიხრავს
და ვერ გაგვიგეს, ანუ გაგვრიყეს, სწორედ,
ამიტომ მინდა გითხრა, რომ დროა ვთმობდეთ,
დროა ყველაფერს ჩამოვაფაროთ ფარდა,
დროა ჩავკიდოთ ეს გაყინული ორი
ხელი და მერე, რომ წამიყვანო სადაც
ძველი ნათურის შუქი ანათებს ოთახს,
სადაც ჩვენს იქით სითბო სიცივეს ერთვის.
სადაც სულ რაღაც ყრუ ტკივილი რომ ხუთავს...
გარდა იმისა, რომ გაქცევაა იდე
აფიქსი, მაინც გადავწყვიტე, რომ გითხრა,
მეშინია, რომ ვერ მოგანიჭებ შვებას
და ცალ-ცალკე, რომ ბედი სამარეს გვითხრის,
რადგან ასეა, ვერ გვიგებენ და ა.შ...

თამაში

თამაში
ხშირად თვალებზე ხელს გაფარებ,
რომ მოვკვდე, რას იგრძნობ-თქო, გეკითხები...
ბრაზობ, ამბობ, რომ ამას არ წარმოიდგენ,
მე კიდევ შენს მაგივრად ვარ ბედნიერი,
როცა თვალების გახელის საშუალებას გაძლევ.
მერე მავიწყდება ეს თამაში,
წრეზე დავდივარ, არა დავდივართ,
დავაბიჯებთ ერთად, შენს იქით არ მიდიან გზები,
არადა ახლა ვხვდები, რომ შენი გზები მინდა
დასრულდეს მე თუ აღარ ვიქნები,
ეგოიზმი.
მე ხომ ვიცი, არ სრულდებიან ადამიანები
სიკვდილით,
მხოლოდ გზები.
ხშირად თვალებზე ხელს გაფარებ,
რატომ?
ასე მინდა სადღაც შენს ქვეცნობიერში დავლექო,
თუ მოვკვდი,
შენ სულ იმას იფიქრებ,
თითქოს თვალებზე აგაფარე ხელი.

* * *

(ციკლიდან „წამოდექი“)

ვეღარ წამოდგები, ვერა...
ვეღარც ცაზე დაწერ ლექსებს...
როცა არც ოცნების გჯერა,
როცა არც იმედებს ეძებ.
ვეღარ მოიხურავ ფიქრებს,
ვეღარც სხვას მოახვევ თავზე,
ერთი სიტყვა დარჩა: იქნებ
ან, იქნებ სულაც არ ამხელ,

რომ დაღლას არ იმჩნევ სხვებთან,
რომ ყველა ოცნება მოკვდა,
ადრე, რომ სიცოცხლე ერქვა,
ახლა სიკვდილს არქმევ მორცხვად...

და ალბათ მოვა და ხვდები,
ყველაფერს ამაოდ ქმნიდი
შეძლეს, დაგამტვრიეს ფრთები
შეძლეს და სულ მარტო დარჩი.

ასე წამოდგომა, ხვდები
არის უტოპია ალბათ
შეძლეს დაგამტვრიეს ფრთები
შეძლეს, რომ სულ მარტო დარჩი.

(შუა გზაში შეწყვეტილი ვერბლანი)

ჯობია ალბათ მაინც დავნებდე
ჯობს, რომ წვეთებად კი არადა, სულ ფერფლად
ვიქცე.
ჩამოგეფანტო მაგ დაღლილ მხრებზე
და
უხილავი ნამცეცებით
ვცადო შეგეხო,
ასე უფრო მარტივია ჩემი ტარება,
ვიპოვო ასე
დროებითი თავშესაფარი,
სანამ
ქარი
ან
ვიღაც
კეთილის მყოფი

ჩამომფერთხავს მაგ მხრებიდან,
როგორც უსულოს.

და მიხარია, რომ ეს ლექსი მხოლოდ ლექსია და
ყველა გზის ბოლოს
მაინც შენი მხვდება თვალები.

და სულ ერთია, რომ ცხოვრება წამია, ხოლო
ჩვენ წამებისთვის შეწირული წიგნის გმირები.

მამა ილია კარტოზიას საღამო „ერთსულოვნებაში“

საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ ღონისძიებათა დარბაზში არქიმანდრიტ ილიასადმი (კარტოზია) მიძღვნილი საღამო გაიმართა.

საღამოს ინიციატორი და იდეის ავტორი იყო მომღერალი ნაზი სარჯველაძე, რომელმაც ეს საღამო პროექტის – „ხსოვნა მამულიშვილს“ ეგიდით გამართა. საღამო საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“, კერძოდ კი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის თამარ არჩუაძის ხელშეწყობით ჩატარდა.

რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დირექტორმა იზა ვეფხვაძემ წაიკითხა ნაწყვეტი სპექტაკლიდან „მოყვასისთვის შეწირულები“, რომელიც მიხეილ თამარაშვილს, გრიგოლ ფერაძეს, მამა ილია კარტოზიას და იოსებ ჟორდანიას ეძღვნება.

მამა ილიასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: მიმოზა ცანავამ, თამარ შაიშმელაშვილმა.

დარბაზში წაკითხულმა მამა ილიას დედის – მიმოზა ჯგერენაიას წერილმა: „ცა და ქვეყანა ჩამოიქცა ჩემთვის“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. ითქვა, რომ მამა ილია ჩვენი დროის გმირია, ვინც თავი გაწირა მოყვასისთვის. იგი იმ დიდებულ ქართველთა კოჰორტას შეემატა, რომელთა თავგანწირვით და ღვაწლით ამაყობს ერი.

საღამოს უძღვებოდა ირინე შიუკაშვილი.

მუხიანის მეფე მირიანის და დედოფალ ნანას სახელობის მგალობელთა გუნდმა (რეგენტი ინგა ხაჩიძე) საგალობლები შეასრულა. საღამო დაასრულა ნაზი სარჯველაძემ სიმღერით „ვედრება“ (კომპოზიტორი გურამ ბზვანელი), კონცერტმეისტერი თინათინ ინაშვილი.

საღამოს ესწრებოდნენ: მამა ილიას ძმა ნიკა კარტოზია, მეგობრები და ახლობლები.

შეგახსენებთ, რომ იტალიურ ბორან „ნორმან ატლანტიკზე“ ცეცხლი გაჩნდა, რასაც მსხვერპლი მოყვა. გემზე 500-მდე ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის იყო საქართველოს რვა მოქალაქე. მამა ილიას გარდა, ყველა მათგანი ცოცხალი და უვნებელი გადარჩა.

მამა ილიას დაღუპვის ამბავი მთელი ევროპის ტელევიზიებმა გადასცეს. მან ბორან „ნორმან ატლანტიკის“ კატასტროფის დროს გემბანი არ მიატოვა და ბევრ მგზავრს დაეხმარა, სამაშველო ნავში თავისი ადგილი ბავშვიან ქალბატონს დაუთმო და თავად ისევ გემბანზე დარჩა. მისი ცხედარი ზღვამ ქალაქ ლეჩესთან გამორიყა. ზურგჩანთაში კი, რომელსაც სულ თან ატარებდა, ხატები აღმოჩნდა. გადარჩა მამა ილიას ჯვარი, რომელიც მის თმებში გაბლანდული იპოვეს. როგორც ბორნის სხვა მგზავრები იხსენებენ, კატასტროფის დროს მამა ილია მათ ამშვიდებდა და ყველანაირად ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი გადაერჩინა.

საქართველოს პრეზიდენტმა მცხეთის დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ილია კარტოზია „სამაგალითო სამოქალაქო თავდადებისა და გმირობისათვის, განსაკუთრებული პიროვნული მამაცობის გამოვლენისათვის, სამოქალაქო თავდადებისათვის“, სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვა.

ქართველი მღვდელმსახური ილია კარტოზია, რომელიც ბორან „ნორმან ატლანტიკზე“ დაიღუპა 2014 წლის დეკემბრის ბოლოს, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ (IMO) განსაკუთრებული მამაცობისთვის დააჯილდოვა. ქართველი არქიმანდრიტის დაღუპვის ამბავი მთელი ევროპის ტელევიზიებმა გადასცეს.

მისი დაღუპვის გამო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მწუხარება გამოთქვა.

მამა ილია კარტოზია მცხეთის მამათა მონასტრის წინამძღვარი იყო. იგი მცხეთის დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის ეზოშია დაკრძალული.

სახსოვარი ლექსად

მანანა აბაზაძე

ლეგენდარული ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მიერ შექმნილ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს წელს 70 წელი შეუსრულდა. როცა ანსამბლის ისტორიას ეცნობი და მის მიერ სახელოვნად განვლილ გზას თვალს გადაავლებ, თვალწინ დაგიდგება ულამაზეს ქართველ ქალ-ვაჟთა გაცისკროვნებული სახეები, რომლის მსგავსს იშვიათად შეხვდები. 60-70-იანი წლების თაობას დიდმა ქალბატონმა ნინო რამიშვილმა „ანსამბლის ოქროს ხანა“ უწოდა. მის ღვაწლსა და განუმეორებლობაზე ძალიან ბევრი აქვთ დაწერილი უდიდეს მწერლებსა და ხელოვნების კორიფეებს. მასზე მომავალშიც ბევრი დაიწერება. მე კი ორიოდე სიტყვა მსურს ვთქვა ჩემი უძვირფასესი მეგობრის თენგიზ უთმელიძის ერთ ლექსზე, რომელსაც იგი თავის მეგობარს, კოლეგასა და პარტნიორს უძღვნის.

თენგიზ უთმელიძეს, ამ გამორჩეულ და ღირსეულ კაცს, საიმედო მეგობარს, ღვაწლმოსილ ჟურნალისტს, დიდებულ მოცეკვავესა და საზოგადო მოღვაწეს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა თავისი ცხოვრების მანძილზე, მარტო წიგნი-ალბომი „რომანტიკული ფოტომატიანე – სუხიშვილები“ შეექმნა, რომელიც შთამომავლობას უნიკალურ რელიკვიად და სანუკვარ საგანძურად დარჩება, ესეც ეყოფოდა საამაყოდ, მაგრამ მთელი მისი მოღვაწეობა სიკეთის ქმნის, ქვეყნისა და ერისადმი სიყვარულითაა აღსავსე.

სწორედ მისი ასეთი ხასიათიდან გამომდინარე იქმნება ხოლმე ის გულწრფელი სტრიქონები, ესსეები, ლიტერატურული პორტრეტები თუ ლექსები, რომელთაც იგი უძღვნის თავის მასწავლებლებს, გარდაცვლილ თუ ცოცხალ მეგობრებს, ვისთან ერთადაც განვლო ცხოვრებისა და შემოქმედების ულამაზესი წლები.

თენგიზ უთმელიძე თავს პოეტად არ მიიჩნევს, მაგრამ მის სტრიქონებში მნიშვნელოვანია ის გულწრფელობა, რითაც ცხოვრობს, რითაც არსებობს, რასაც იგი გამოხატავს თავისი პარტნიორისადმი. სწორედ ასეთი განწყობილების ლექსი უძღვნა მან ქართველი ხალხის უსაყვარლეს მსახიობსა და მოცეკვავეს, საქართველოს სახალხო არტისტს, უმშვენიერეს მანანა აბაზაძეს, რომელთან ერთადაც იგი განსაკუთრებული აღმაფრენით ცეკვავდა „ხევსურულ სუიტაში“. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „მოლოდიოჟ გრუზიი“ წერდა: „გავიხსენოთ, როგორი მგზნებარებით, როგორი არტისტიზმით აგებდა თენგიზი ცეკვის რთულ დინამიკას „ხევსურულ სუიტაში“. მასში საოცრად ზუსტი იყო ასევე პარტნიორის შეგრძნება. „ხევსურულ სუიტაში“, რომელსაც ის მანანა აბაზაძესთან ერთად ასრულებდა, ეს შემოქმედებითი კონტაქტი გვერდიდანაც კი ისე იკითხებოდა, თითქოს სცენაზე ყველაფერი სერიოზულად ვითარდებოდა – სიყვარულიც, ფარიკაობაც, შერიგებაც“.

„ხევსურული სუიტა“ – მანანა აბაზაძე, თენგიზ უთმელიძე



„ხევსურული სუიტა“ – თენგიზ უთმელიძე, მანანა აბაზაძე

მანანა აბაზაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ფრანგული ენის განყოფილება დაამთავრა. იყო საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი. 15 წლისამ მერის როლი შეასრულა ფილმში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მონაწილეობდა ფილმებში: „მაცი ხვიტია“ და „უსახელო უფლისციხელი“.

1963 წელს ანსამბლმა კონკურსი გამოაცხადა. მოვიდა 300 კონკურსანტი. აარჩიეს სამი გოგონა, რომელთა შორის, ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებული 16 წლის ულამაზესი მანანა აბაზაძე უკონკურსოდ ჩარიცხეს.

წლების შემდეგ, როცა მრავლისმნახველი ადამიანი განვლილ ცხოვრებაზე ფიქრობს, დაუვიწყარი წუთები უჩვეულო სიმძაფრით ამოტივტივდება ხოლმე მეხსიერების „სკივრიდან“. თენგიზ უთმელიძე განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს მანანა აბაზაძესთან ცეკვას „ხევსურულ სუიტაში“. შემოთავაზებული ლექსიც სწორედ ამ განცდის გამოხატულებაა.

„ხევსურული ბალადა“

(ვუძღვნი ჩემს პარტნიორს – მანანა აბაზაძეს)

„გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ, შუაზე მოდის მდინარე“,
ანსამბლში გოგო მოვიდა, პირმშვენიერი, მღიმარე.
როკვისთვის დაბადებულა ეს ტანკენარი გოგო,
ხევსურის კაბა ჯვრიანი, როგორ ამშვენებს, როგორ...
სცენაზე შევხვდი პირისპირ, ვცეკვავთ „ხევსურულს“ ერთად,
გოგონა ნუკრისთვალება მსურს, რომ აღვიქვა ღმერთად.
ფარ-ხმალი მხარზედ გადვიგდე, გზნებით გავშალე ხელი,
მე მივსდევ, ის კი გამირბის, როგორც დამფრთხალი შველი.
მწველი თვალების ბრიალი, როგორ მახელებს, როგორ,
ნუ გეშინია, სად მიხვალ, რად გამირბიხარ გოგო!
შეჩერდი წამით, მისმინე, შატილს აგიყვან მთებში,
ლურჯთვალა იებს ჩაგაკრავ, მაგ დალალდაწნულ თმებში.
გადაგატარებ ჭიუხებს, საჯიხვეების გზებთან,
არწივთ საბუდარს განახებ და შეგახვედრებ მზესთან.
. . . . . .
„მაგრამ ვერსაით გადმოველ, ამ სატიალოს მდინარეს“,
ვერ მოვიხელთე, გამექცა, თვალხატულა და მცინარე.

ყ ვ ა ვ ი ლ თ ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა

ყვავილები

საღამოს ველზე თუ გახვალ, დაინახავ, რომ ყვავილები იძინებენ, იკუმშებიან, თვალებს ხუჭავენ და გულებს მალავენ.

ღამის საბინადროებში თუ შეიხედავ, დაინახავ ადამიანებსაც — ესე იგი ჩვენც, ყვავილებივით გვძინავს. გათიშულები ვართ ამქვეყნიური ცხოვრებიდან; ყვავილებივით გვექინდრება თავი და ის თუ ღეროზე ვერტიკალურად მაინც რჩება, ჩვენ ვწვებით ჰორიზონტალურად, ფეხზე დგომის ძალა გვერთმევა.

დილით, ამოიჭვრიტება თუ არა მზე, ყველანი ავიშლებით, თვალებს ვახელთ და ძილიდან სიფხიზლეში შემოვდივართ, ვითომც იყო და არა იყო რა, სიზმრების მთელი კორიანტელი არ გამოგვევლოს...

> როგორ გვიზიდავს, გვიყვარს
> ძილში — საჰაერო ბუშტში შესვლა.
> მივილულებით თუ არა,
> მოვწყდებით მიწას და
> მივფრინავთ შორს —
> ძირს კი —
> ჩვენს სხეულს
> ბუშტზე გამობმული ძაფი უკავია ხელთ
> და გამთენიისას
> ისევ თავისკენ მოგვიწევს ხოლმე,
> ვბრუნდებით კოსმიური მოგზაურობიდან
> და ვითომც არაფერი მომხდარიყოს —
> ვითომც ისე ღარიბნი ვიყოთ,
> არ გვქონდეს
> საკუთარი საჰაერო ხომალდი
> და სასწაულმოქმედი უნარი —
> მიწაზეც, ცაზეც უსაფრთხოდ ყოფნისა...

მძინარე ყვავილები და ადამიანები რა უსასონი, საბრალონი ვართ მღვიძართა თვალით დანახულნი...

დავუშვათ, ატყდა განგაში, სტიქიამ იმატა ან მტერი გამოჩნდა, ადამიანები გავრბივართ თავშესაფრისაკენ, განვერიდებით საშიშ ადგილს, ხოლო ყვავილები, ზოგადად, ხე-მცენარეები, რაც უნდა მოხდეს, მაინც ერთ, თავის ადგილას რჩებიან. ეს ხომ დიდი ერთგულებისა და სიძლიერის გამოხატულებაა.

რა საყვარლები არიან ასეთი თვალით დანახული ყვავილები, ხეები, არა?

შენ კი ხელი წაატანე, მოწყვიტე ყვავილი და ჩუმად უთხარი, აი ახლა წაგიყვან და მარადიულ სიცოცხლეს გაჩუქებო. ადამიანი რომ კვდება, მასაც ასე ეუბნებიან...

თამარ ბაბიოშვილი

ყვავილების ლოცვანი

*

> ყვავილებ-ი
> ყვავილებ-მა
> ყვავილებ-ს
> ყვავილებ-ის
> ყვავილებ-ით
> ყვავილებ-ად
> ცადაჰყვეს-ო!

სამყარო ფეთქავს. ყვავილები სუნთქავენ. ნეტა სადა აქვთ ამ ყვავილებს ფილტვები? ალბათ ზეცაში. სურნელს აფრქვევენ, ფერად-ფერად ფურცლებს შლიან; ესე იგი უყვართ სიცოცხლე. ნეტა სადა აქვთ გული ამ ყვავილებს? შორს, ძალიან შორს... და როგორ შეძლეს, თავიანთი გულისცემა ასე შორიდან ეგრძნოთ? უზენაესის მორჩილებაში მყოფთ, როგორ უსწავლიათ მზიური სიყვარული... როგორ აუვსიათ მიწიდან ზენა სამყარომდე ასასვლელი საფეხურები ხილული თუ უხილავი ყვავილებით - ამას ფრინველებიც კარგად ხედავენ და ამიტომაც ჭიკჭიკ-გალობით ესიტყვებიან; ღვთიურ ცვარ-ნამებს, თუ ღვთიურ ღიმილებს, დაკმეულთ ყვავილთ საღვთო ფურცლებზე, როგორც უსიტყვო პოეზიას, წაიკითხავენ მხოლოდ დიდი შეყვარებულნი ამა სოფლისა და იმ სოფლისა...

* * *

ამ ყვავილებმა დამასხეს თავბრუ. ო, რა ფერებით იკაზმებოდნენ მინდვრად რჩეულნი... რა სიკაშკაშით ელვარებდა ფერთა სამყარო — ყველას თავისი ტონალობა გამოარჩევდა... ახლა სურნელი, ურთიერთფესვჩაჭიდულობა, ზუზუნი მწერთა და... მეკალმე — მინდვრის მხატველი...

მერე წვიმამ ყოველივეს პირი მობანა და ცისარტყელის პირსახოცით შემოამშრალა.

> სიტყვის ყვავილიც
> ნეტა მომცა ისე ლამაზი,
> როგორიცაა იგი
> ბაღში —
> ტურფად ნაქარგი...

ველთა ველებზე

შუადღის ველზე გავედი საჩემო ყვავილების შესაგროვებლად. ყვავილები მთლად გულგადაშლილიყვნენ. გამაბრუეს ღვთაებრივი შესახედაობითა და სურნელით. ისე ძალიან ცხელოდა, ვიფიქრე, ახლა გავითანგები, ჯობს, საღამოთი ვესტუმრო-მეთქი.

მართლაც, გავედი საღამოს და, ვაი... თითქმის ყველა ყვავილი დახურულიყო, ზოგიც ის იყო დაძინებას აპირებდა და მემთვრალეობდა...

დავრჩი შემცბარი, თუმცა გახარებული იმით, რომ იმ დღეს ყვავილებმა თავიანთი უზენაესი ნება გამოხატეს და მე გავიგე მათი წადილი.

ყვავილთა მეტყველება

კოლმეურნეობის მოედანზე გამართულ ყვავილების ბაზრობაზე სანდომიანი, ხნიერი კაცი – შოთა ყვავილებს ყიდდა. თვალი ხასხასა ლურჯ ენძელებს რომ დავადგი, მითხრა:

– აი, ორნაირი ენძელა მაქვს, ეს – ლურჯი, ეს – თეთრი. თეთრი სურნელოვანია და უფრო ძვირი ღირს.

– თუ ორივე ენძელაა, ნეტა რატომ აქვთ სხვადასხვა სურნელი?

– საერთოდ,ეს ლურჯი ენძელები ტყის გარშემო ამოდიან, თუ სიღრმეში შეხვალ, მხოლოდ იქაა თეთრი ენძელები.

– რატომ?

– რა ვიცი, ალბათ ეგენი უფრო ფრთხილები და ჭკვიანები არიან, – ჩაიღიმილა.

– მართლაც, ალბათ სურნელსაც იმიტომ აფრქვევენ, ყველა ფერს ატარებენ თავიანთ სითეთრეში, სისპეტაკეში.

მაინც ლურჯები წამოვიყვანე.

აქედან თორმეტიოდე მეტრით გადავინაცვლე. მოხუც ქალს, რომლისთვისაც შვილიშვილს მაკა დაურქმევია, რადგან მაყვალას ვერ ამბობდა, ნაირ-ნაირი ყვავილები გაეშალა გასაყიდად.

– შეიძლება ერთი-ორი ღერი ეს ყვავილი მომყიდოთ? – ხელით მივანიშნე ნარცისებზე, რომლებიც მოფარებულში ეწყო.

მკვირცხლად შემომხედა, თვალები გაუბრწყინდა:

– უფალთან მიგაქვს?

– რა თქვით?

– უფალთან უნდა წაიღო? – გამიმეორა.

ყურებს არ დავუჯერე.

– კი-მეთქი, – ვუპასუხე.

– ელვის უსწრაფესად დატრიალდა. ორი ლამაზი ცინცხალი თაიგული გამომიწოდა – იებისა და ნარცისების.

უხერხულად რომ არ მეგრძნო თავი, მოაყოლა: – სულ ერთი ლარი მომეცი – არადა, სულ ცოტა, ათჯერ მეტი ღირდა.

– ერთი თაიგულიც კმარა, ქალბატონო, მეორე დაიტოვეთ, – მზიური ნარცისები გამოვართვი.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდგი, შევყოვნდი და ისევ უკან მივბრუნდი:

– საიდან მიხვდით, რომ ეს ყვავილები უფლთან მინდოდა მიმეტანა? – ვკითხე, რადგან მართლა გაოცებული დავრჩი, საიდან მიხვდა ეს უცხო ადამიანი-მეთქი.

– რა ვიცი, ხელში ყვავილების ისეთი ლამაზი კომპოზიცია გეკავა, ეგრევე მითხრა გულმა, რომ ასეთი საჩუქარი მხოლოდ უფალს შეეფერება-მეთქი.

არადა, მის გარშემო დიდრონ-დიდრონი ვარდ-ყვავილების ზღვა ღელავდა, ყველა ითხოვდა, წამიყვანეთ, წაგიძღვებით იქ, სადაც მიდიხართო...

სიმბოლურად, სამი კანფეტი ჩავუტოვე მუჭში მოხუცს.

– სიკეთე არ იკარგებაო,– თქვა და, ყვავილების გამჭოლ, უფლისკენ სავალ მოციმციმე გზას გააყოლა იმედიანი მზერა.

ზეინაბ მეტხეველი

შ ო რ ე თ ი

ცივია სითბო ჩაკირული გულის ფესვებთან და მუდამ ისე მაკანკალებს, თითქოს არასდროს არ შემხებია, არ მიგრძვნია მზის ცხელი ხელი... ღია საფლავის საშიშარი,ბნელი ნამზერით, დუმს სიჩუმე და ვეღარ მივალ თითქმის ვერსაით. გავამათხოვრე ყველაფერი, რაც უზრუნველი გამოგონილი სიხარულის ელდით ვაცხოვრე, შეიდიშივით შემომაცვდა ძვლებზე სხეული და ხშირად, როცა მომაკითხავს ხოლმე ტკივილი, ისე ვმასპინძლობ, თითქოს მისი სტუმრობა მწადდა. გავეშებული სინამდვილე ასრულებს ფორმებს და სიგლუვემდე გადაგლესილი მახვილის პირით დღეებს ხმიადით მინაკუწებს, რათა შიმშილი, ამაოების შიმშილები ვეღარ განმიძღოს... რა საჭიროა ვმფარველობდე გაქცეულ მონებს – ფიქრებს ჩემიდან გაღწეულებს თავისუფლების ჟინით ანთებულთ, თუკი მე მაინც მათ დავბადებ ყოველწუთს, როცა ვიგრძნობ თუ არა სინანული-ჩემი დობილი, ცრემლიან თვალებს დამიკვესავს ბნელში მოარულს.

ცა დაიწმინდა, მაგრამ მაინც ცივია მზერა, ვარსკვლავთაშორის კიაფებას დატეხილ ფრთებით უჭირს ჩემამდე ჩამოღწევა, ნუგეშიც უჭირს, რათა მსასო მჰყოს უსასოოდ მიუსაფარი...

სულ სხვაგვარია სამყარო ახლა, სასაცილოა ასე წერა, ასე მსჯელობა, ადამიანებს დარდის ხურდებს არ უბრუნებენ,ბედნიერებას და სასწაულს მოყირჭებულნი, თითქმის აღარვინ ახურდავებს კმაყოფილებას და ახლა, როცა ყველაფერი გადალიცლიცდა, სიცარიელემ მოუხშირა უფრო სტუმრობას... ქარის სისწრაფით და სიგიჟით მქროლავ რიტმიდან ამოვარდნილი ერთი წამიც უკვე მსხვერპლია და რაკი სუნთქვას აყურადებ გალეშილს ღამეს, არ შეიძლება გათენების არ შეგეშინდეს...

თვითმფრინავიდან დანახული ოკეანენი კვლავ დასანთქმელად მოუხმობენ ფრთიან მოკვდავებს,აქა-იქ კენჭად დავარდნილი ოაზისები აღარ აღძრავენ პოეტური სევდის ლირიკას. მკაცრად სჯის თავად ბედიცა და ბედის მწერალიც, სადაც არ უნდა გაიხიზნო – ყველგან მოგნახავს და, სადაც გნახავს, სინანულით არ გიმასპინძლებს.

შენ მაინც სუნთქავ ჩამავალი მზის სურნელებით და, რადგან თავად აღარ იცი, ხვალ თუ ამოვა, შენც მასთან ერთად დასანთქმელად განემზადები... გაოცებამდე ატაცებულ წამის როკვაში, ცდილობ მოასწრო, იმით დატკბე – რაიც სამსალობს, რადგანაც იცი ყველაფერი პირობითია...

ჰოდა, სულ ცივა, მარგალიტით, დაფნით, დიდებით, ღვინით, მუსიკით, ქალითაც კი და საერთოდ ყველაფერს, რასაც ახლა სიამის წუთებისთვის გაიმეტებენ, სიცივის გრძნობა არ დასტოვებს აღარასოდეს. ცივა, ო, ცივა, თუმცა ხვატში ჰაერის რწევას, თითქმის ვერაფრით მიუსადაგებ ვნებიან ტანგოს, ვინც სიყვარულით სიკვდილები გამოიგონა, მან აზრგაცლილი ხელოვნებიდან გამოიყვანა ხელოსანი ვაჭრული სულით...

* * *

აფრიალდება თვალწინ ღრუბელი – გადაპენტილი ბაბუაწვერა და სიზმრებიდან გამოღწეული, არარსებობას განვიცდი ჯერაც...

ჰო, სადღაც აქვე თვლემენ სულები, გზაარეულნი და მოფარფატე, გზაზე კი მიდის ცოდვის ურემი და შესაცოდებს ისევ დაათრევს...

შენ კითხულობდი მაშინ ჰიუგოს, მე ისევ მაინც ვირჩევდი რემარკს, თემა საფიქრალ და სასაუბრო, რომელსაც გულში ეჭვები შეაქვს, გვაზიარებდა ჭეშმარიტებას და სულსხვაგვარი გრძნობა გვიპყრობდა,მწუხარე სახე ჰქონდა დიდებას და ეს დიდება ტალღებს მიჰქონდათ...

მე მაინც ვდუმდი და, როცა სათქმელს გამოვიტანდი ხოლმე ტვინიდან, შენ ხსნიდი გულის სუყველა სარქველს და მიყურებდი გრძელი ტირედან...

ეზოში ჩრდილი ცეკვავდა ტანგოს, თეთრ სახურავზე ისხდნენ მტრედები,დასეირნობდა ბაღში სალამბო, ამურის ისრით დანაფეთები...

ცხადს ხელისგულზე ეჯდა მითოსი და ნეფერტიტის აღერილ ყელზე, მიირწეოდა თეთრი ლოტოსი, ვით ცისარტყელა ნილოსის წელზე...

ისევ ქვითინი ავსებდა ჰადესს და გაროზგილი უტკბესი ცოდვა, ითხოვდა პეშვში ჩატეულ ჰაერს,

რომელიც გვალვებს სუნთქვით მოჰქონდათ... შენ საუბრობდი მგონი რილკეზე, მოგწონდა მისი გათლილი სტროფი, უსიერ ტყეში, მსრბოლავ ბილიკზე, მიირწეოდა ქალი თეთრ დოქით, სადღაც ბოლოში მდუმარე საყდარს, კოცნიდა ქარი და მზეჭაბუკი და თვალგიშერა ზნეველურ მაყვალს, დაჰკრავდა ფერი სევდაზე მუქი...

იქ, სიშორეში, სადაც მახლობელს აღარ ელოდნენ მწველი ნატვრებით, სადაც მწუხარე სულნი სახლობდნენ და არვინ იყო სანთლის ამნთები,ენთო კოცონი მზერათა შერწყმის,შეფეთების თუ შეზანზარების და მონათალი ცრემლშემშრალ ლერწმის, დუმილის ბგერით სავსე თვალებით, სტვენდა დებიუსს და მინდვრის ჩითებს დააბიჯებდა სიჩუმე ფრთხილად და შეუბუმბლავ, ხმაჩამწყდარ ჩიტებს, თოთო ნისკარტით მოჰქონდათ დილა...

სწუნობდი ფლობერს, მეტადრე სტენდალს, ზედმეტი გრძნობით ავსებულ კაცებს და შენში პოეტს, როგორც არშემდგარს, კვლავ პატიობდი მეწამულ განცდებს,არც ეიფელი გხიბლავდა ვგონებ, არც სენის ზლაზვნა ახალ მთვარეთი და ვერმოსული წარსულით გონზე გტიროდა ზარზმა და ფიტარეთი...

ემილ დიკინსონს ვსტუმრობდი მაშინ, ჩემსავით მარტოს,ჩემსავით შეშლილს,მობორიალეს ნოემბრის ბაღში,გაცრეცილ სტრიქონს ვუწვდიდი პეშვით. სახე, ნაწვიმარ ღრუბელს უგავდა, მზერით – არასდროს გამოდარების და ჩამოქცეულ ზეცის გუმბათთან, ჩამომხრჩვალიყვნენ ცისკრის ზარები...

შენ საუბრობდი გაკაწრულ ტონით,უკმაყოფილო რაღაცის განცდით და აბაჟურის მწუხარე ფონი, გილივლივებდა ხელთათმანს მარცხნივ... მე აღარ მსურდა შენთან კამათი, უკვე გტოვებდი წარმოსახვაში, მარადი, როგორც ძველი ბარათი, დაღლილი ტრფობის მსუყე თამაშით,კალთაში ეგდო, დაკეცილ დუმილს აღარ გახსნიდა ალბათ დიდი ხნით და ლექსით სავსე ოთახის გული,აჩქარდა,როცა ამას მიმიხვდი,წამოვიწიე,არ ამყვა ტანი,სული გასხლტა და წაიბორძიკა, ადგა ვიღაცა წითური ქალი და თეთრ გვირილას თავი მოსწყვიტა...

დრო მკითხაობდა – მე ვიყავ დამა, როგორც ყოველთვის იყავ კაროლი და მაგიდაზე მინავლულ ლამპას, აბჟუტურებდა სუნთქვის პაროლი...

მერე გავაღე კარი და გაველ, ქუჩას ათბობდა მთვარის ფანარი, ვიღაც მისდევდა ბორძიკით ღამეს, არსად წამსვლელი მიუსაფარი...

მე მიხსენებდა სადღაც იკორთა და შესაწირი მამლის ყივილით, წარსული უცხო მსტოვრებს მიჰქონდათ და კვლავ მთვრალობდა ძველი ტკივილი...

გამომეღვიძა, შენ არ იყავი, გულს ვიოკებდი, ცრემლებს ვიწმენდდი და გამახსენდა, როგორ მიყვარდი, ვიდრე მარადის დაგივიწყებდი...

ერთი ლექსი

სიმონ ჯაფარიძე



ლხინი კახეთში

კახელ მევენახეს
სიმონ გიგიტელაშვილს

სუფრა დაუნისლავს კერძების ოხშივარს,
მადაც რომ დაიცხრო – სიმღერა მოგშივა,
სალხინო სერობას სილაღე ამშვენებს,
თვით ლხინის ბახუსიც ღვინიან დოქშია...

ფერით, სხივნაფერით – თამადა აწყვილებს
მზიური სინათლით პირსავსე ფიალებს;
როკვის დრო დაუდგათ ნიმფებს და სატირებს,–
სადარდელს ვინ მისცემს ხალისის ტრფიალებს...

მზერას რომ იტაცებს სიმაღლე მთებური,
ცადაწვდილ მწვერვალებს ტოლივით გახედავს,–
ვინ იტყვის, ვინ აღწერს სათქმელს მათებურად,
ისე ვრცლად გაშლილა ამ ცის ქვეშ კახეთი!..

სწორფერთა სიმხნევე გულებს რომ ედება,
ღირსებას ამკობს და სიკეთედ მოგვივლენს;
სიწრფელე აშიშვლებს სიყალბეს ხელდებით,
სულში რომ სიმდაბლემ ვეღარ იბოგინოს...

მზე აასისხამებს სამზერეთს თვალისა,
წვიმისგან დაწურავს საავდრო ფიალებს,
სხივების ვარაყით ცას გაახალისებს,
და ფრთებს ცისარტყელის ცად ააფრთხიალებს...

დიდება სიმხნეს და ღირსებას წარუხვნელს,–
ის ილხენს,საწუთროს ქედს ვინც არ წაუხრის!
გულმა მარნის კარი სიყვარულს განუხვნა:
ქვევრს ღვინის ტალღები ეხლება ხმაურით...

რადგან ლხინის ცაა, თავზე რომ გვახურავს,
მომლხენს არ ეგების სასმელით ვნებანი;
ახაროს კვირტები ვაზებმა კახურმა,
რთვლებით ახალისოს წელთა ცვლილებანი...

მრავალლხინნახმევი და მრავლის მნახველი,
უშურველ ნაშრომით იშვებდეს მაშვრალი;
აქ, კახურ სუფრაზე ლხინს ვერსად წაუხვალ,
დარდს რომ გვიმსუბუქებს და
ტკივილს გვაშორებს...

მაია სეხსვაძე

პაოლო იაშვილი გიორგი გამყრელიძის ხსოვნაში

„წახვედი ასე შხამიან და წამებულთ გზაზე“

„პაოლო ჩემი ნათესავი და ჩემი კუთხიდან იყო. ერთმანეთის ავი და კარგი ვიცოდით“.

გიორგი გამყრელიძე



1937 წლის 22 ივლისს, საღამოს 11 საათზე მწერალთა სასახლეში, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლის მონაწილეობით საგანგებო კრება ტარდებოდა, შენობის მეორე სართულიდან თოფის გასროლის ხმა მოისმა. „პაოლო იაშვილმა, მზის პოეტმა და მზის ადამიანმა... საბჭოეთის სატანური ატმოსფეროს ზეწოლის შედეგად თავი მოიკლა“,– ასე აუწყებს ამ შემზარავ ამბავს მოგვიანებით პირად წერილში გრიგოლ რობაქიძე მეგობარ მწერალს ნიკოს კაზანძაკისს.

მაჩაბლის ქუჩაზე საბედისწერო ქუხილის ხმა გასცდა ქვეყნის საზღვრებს და ექოდ გადაუარა უცხოეთსაც. საბჭოთა რეჟიმს გარიდებული ქართველი ემიგრანტები ამ საპროტესტო თვითმკვლელობას გამოეხმაურნენ. გამოხატვის თვალსაზრისით,ბუნებრივია,მათ მეტი თავისუფლება ჰქონდათ სამშობლოში დარჩენილ კოლეგებთან შედარებით, რომელთაც ავბედითი ჟამის გამო ისღა დარჩენოდათ, გულში ჩაეკლათ ელვარე ნიჭის პოეტისა და არაჩვეულებრივი პიროვნების ტრაგიკული დაღუპვით აღძრული ვარამი. საქართველოში ორიოდე ადამიანმა თუ შესძლო დიდი რისკისა და სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად უკანასკნელ გზაზე გაეცილებინა პოეტი და სამძიმარი ეთქვა მისი ოჯახისათვის. მხედველობაში მაქვს კოლაუ ნადირაძისა და გიორგი ლეონიძის ვაჟკაცური,გმირობის ტოლფასი საქციელი. „პაოლო იაშვილის დაღუპვის დღიდან პოეზიის მოყვარულებს მისი პოეზია გულში ჰყავდათ შეხიზნული. ჩუმად კითხულობდნენ მის ლექსებს“ – იგონებს სერგო კლდიაშვილი. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, პოეტის რეაბილიტაციისა და მეტადრე ოთხმოციანი წლებიდან, როცა ქვეყანაში პოლიტიკური ამინდი ნელ-ნელა იცვლებოდა, შესაძლებელი გახდა პაოლო იაშვილზე საჯარო საუბარი, მისი ლექსების კრებულის გამოცემა, მოგონებების თუ სხვა მიძღვნითი ტექსტების გამოქვეყნება.

იმ ქართველ ემიგრანტთაგან, რომელთაც გულმხურვალედ დაიტირეს პოეტი და მის ხსოვნას ადგილი დაუთმეს თავიანთ შემოქმედებაში, უპირველესად,გიორგი გამყრელიძე უნდა ვახსენოთ. ორიოდე სიტყვა მასზე.

გიორგი (გუგული) გამყრელიძე დაიბადა 1903 წლის 4 ნოემბერს ზემო იმერეთში, ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდში, შავი ქვის მრეწველის მიხეილ კაციას ძე გამყრელიძის (1879-1962) ოჯახში. სწავლობდა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც დააარსა და თავადვე რედაქტორობდა ჟურნალს „ბაღდადის წეროები“. გრიგოლ ზოდელის ფსევდონიმით გამოსცა ლექსების ორი კრებული: 1920 წელს „შემოდგომის ჭიანურები“, ორი წლის შემდეგ – „დალურსმული ხელები“.

1923 წელს გიორგი გამყრელიძე სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა გერმანიაში, სადაც მამის სურვილითა და ცნობილი მრეწველის ვარაზაშვილის მზრუნველობით შევიდა ქალაქ კიოტენის ტექნიკური სასწავლებლის სამთო საინჟინრო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან გერმანელი ქალი შეირთო და მიუნხენში დამკვიდრდა. 1941 წელს საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ცხოვრობდა ჯერ ტეხასის შტატში, დალასში, ხოლო 1957 წლიდან – ვაშინგტონში. იქ დაიცვა მან ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში, მუშაობდა ვაშინგტონის ბიბლიოთეკის აღმოსავლური მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში, ასევე რადიო „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაში. ფლობდა რამდენიმე უცხო ენას და ორიგინალში ეცნობოდა უცხოურ მწერლობას.

ემიგრაციაში ყოფნისას გიორგი გამყრელიძემ გამოსცა კრებულები: „ლურჯი მონოკლი“, 1932 წელს პარიზში და „გვიანი რთველი“, 1960 წელს სანტიაგო დე ჩილეში. პოეტი ნაყოფიერად თანამშრომლობდა ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებთან: „ბედი ქართლისა“, „თავისუფალი ტრიბუნა“, „კრებული“ და სხვ., მეგობრობდა და მიმოწერა ჰქონდა თვალსაჩინო ქართველ ემიგრანტებთან: გრიგოლ რობაქიძესთან, მიხაკო წერეთელთან, ვიქტორ ნოზაძესთან, ნინო და კალისტრატე სალიებთან...

1972 წელს გიორგი გამყრელიძე მეუღლესთან ერთად ევროპაში დაბრუნდა და დასავლეთ გერმანიაში, კვლავ მიუნხენში დასახლდა, სადაც 1975 წლის 19 მაისს გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე. პარიზში გამომავალ ქართულენოვან ჟურნალ „კავკასიონის“ 1976 წლის ნომერში ნეკროლოგის სახით ემიგრანტ პოეტზე დაიბეჭდა გიორგი ნოზაძის წერილი.

საქართველოში, ქართულ სალიტერატურო სივრცეში გიორგი გამყრელიძის „დაბრუნება“ დაიწყო 1975 წელს,როდესაც ზვიად გამსახურდიამ დისიდენტურ თვითგამოცემაში „ოქროს საწმისი“ (№2, ივლისი) დაბეჭდა მისი უცხოეთში გამოქვეყნებული ლექსები და მცირე ცნობები ახალგარდაცვლილი პოეტის შესახებ.

მოგვიანებით,ოთხმოცდაათიანი წლებიდან გიორგი გამყრელიძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების კვლევას ნაშრომები უძღვნეს ქართული ემიგრაციის ისტორიისა და ემიგრანტული ლიტერატურის ქართველმა მკვლევარებმა. 2011 წელს ლექსების კრებული „გვიანი რთველი“ ხელახლა გამოიცა საქართველოში პოეტის შთამომავლის, მისი უმცროსი დის, ქეთევანის (1919-1992) შვილიშვილის კონსტანტინე ზ. გამსახურდიას რედაქტორობით. გასულ წელს ჟურნალ „ცისკრის“ 1-2 ნომერში დაიბეჭდა გიორგი გამყრელიძის 1961 წელს ვაშინგტონიდან დისთვის – მერისთვის (1915-2001) გამოგზავნილი ერთი პირადი წერილი ჩემი პუბლიკაციით. ორი წლის წინ საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ბინა დაიდო გიორგი გამყრელიძის არქივის ნაწილმა, რომელიც მას პოეტის უფროსი დის თინათინისა (1907-1961) და მწერალ აკაკი ბელიაშვილის (1903-1961) ქალიშვილმა ქალბატონმა მანანამ (1931-2014) გადასცა. წინამდებარე წერილიც, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს ემიგრანტი პოეტის პოპულარიზაციას მის სამშობლოში და ქართული ლიტერატურის ისტორიასაც შემატებს ორიოდ ფურცელს.

ემიგრაციაში გამგზავრებამდე გიორგი გამყრელიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა „ცისფერყანწელებთან“. მისი ერთი ლექსი „უცხო თვალები შუშაბანდში“ გრიგოლ ზოდელის ფსევდონიმით დაიბეჭდა „ცისფერყანწელთა“ ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების“ 1922 წლის ნოემბრის მე-7 ნომერში. პოეტი მეგობრობდა ვალერიან გაფრინდაშვილთან, ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილთან, რომელსაც ნათესავადაც მოხვდებოდა. პაოლო და გიორგი გამყრელიძის მამა მიხეილი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ – პაოლოს მამიდა, ჯიბრაილ იაშვილის და ცისია ცოლად ჰყავდა გიორგის ბაბუას კაციას. პაოლოს უმცროსი ძმა, 1924 წელს შორაპანში, ვაგონში დახვრეტილი ვასილი (ენერიკო, ჭუნია) მისი თანაკლასელიც იყო. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სტალინურ რეპრესიებს ემიგრანტი პოეტის ბიძები ლევან და კონსტანტინე გამყრელიძეებიც შეეწირნენ.

პაოლო იაშვილს, სხვა „ცისფერყანწელებს“ და მათ მეგობარ ქართველ პოეტებს გიორგი გამყრელიძე იხსენებს მემუარებში „მოგონებები ქართველ პოეტებზე“, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, 1978 წელს პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკასიონში“ დაიბეჭდა. აქ ავტორი თავის ჭაბუკობისდროინდელ ამბებს მოგვითხრობს. საგულისხმოა მოგონებების ეპიზოდი, სადაც აღწერილია, როგორ გადააწყდა 1920 წლის ნოემბრის ერთ სუსხიან დილას ის, იმჟამად თბილისის ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწაფე რუსთაველის პროსპექტზე პაოლო იაშვილსა და მის გუნდს:

„მოულოდნელად წავაწყდი ქართველი პოეტების გუნდს. წინ პაოლო მიუძღოდა. უკან გროვად მოსდევდა ალი არსენიშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, რაჟდენ გვეტაძე და კიდევ სამი თუ ოთხი სხვა პირი, რომელთაგან ზოგს სულ არ ვიცნობდი, ზოგის სახელიც კიდევ გადამავიწყდა... ეტყობოდათ ჩვენი მოწინავე ახალი პოეტები ნაქეიფარნი იყვნენ, შეზარხოშებულნი და ხმა მაღლა ლაპარაკობდნენ. მე მაშინ სრული ჩვიდმეტი წლის ვიყავი: მეტად მორცხვი და ჩუმი, განსაკუთრებით პატივსაცემ და ბრძენ უფროსთა მიმართ. მე კი ჩვენ პოეტებზე უფრო პატივსაცემი და სიბრძნით სავსენი არავინ ამქვეყნად არ მეგონა. ამიტომ ვარჩიე,რომ ამ მოულოდნელად შეჩერებულ გუნდს შეუმჩნევლად გავძრომოდი. მაგრამ ეს ასე ადვილად არ მოხერხდა. უკვე გვიან იყო დავმალულიყავ – მეტად ახლო შევეფეთე მათ. როცა მაინც გვერდი აუარე მათ, თითქოს არ შემეჩნიოს

ისინი და მარჯვნით გადახვევა დავაპირე, უეცრად პაოლომ დამიცაცხანა – „ჰეი, სად მიდიხარ, აქ მოდი“-ო. რაღა გაეწყობოდა,დარცხვენით შევჩერდი, ისე, თითქოს რაღაც უკულმართობაზე დავეჭირეთ... ჯერ მამაჩემზე და ბიძაზე მკითხა ცოტა რამ, შემდეგ კი ალი არსენიშვილმა, რომელსაც ჩემი ნათესავი ქალი ყავდა ცოლად, მომმართა და ხმამაღლა დამარიგა, რომ უქუდოთ და უპალტოოთ არ მევლო ასეთ სიცივეში. ბავშვობიდან ჭირივით მეზარებოდა პალტოს და კალოშების ტარება და ხშირად ან დამიკარგავს, ან სადმე დამვიწყებია... ალი არსენიშვილის დარიგება ჭკუაში დამიჯდა და გადავწყვიტე უპალტოოთ აღარ მევლო. მეგონა ამით დამთავრდა ჩემი „უპალტოობის“ ამბავი, მაგრამ შევცდი. პაოლომ თითქოს ახლა შეამჩნია ეს ფაქტი და ხმამაღლა დამიწყო ტუქსვა: – „რავა გალურჯებულხარ, შე გაუბედურებულო, სად გაქვს პალტო? დააგირავე თუ გაყიდე? (ასეთი რამ ხშირად ემართებოდათ ჩვენ პოეტებს) მამაშენმა რომ ასე დაგინახოს ამ სიცივეში, შენ განახვებს სეირსო“. ვიდექი გაბუსუნებული, პასუხიც ვერ მოვახერხე, ისე წამიხდა ხასიათი. მაგრამ აცხონა ღმერთმა, განსვენებული ვალერიან გაფრინდაშვილი, ის გამომესარჩლა: „რას მოსდეგით ახალგაზრდას, ხომ ხედავთ სისხლი მაჭარივით უდუღს, ეხლაა მაგის საუკეთესო სიჭაბუკის დრო. რა გააცივებს? გაუშვით სკოლაში, აქ თუ დიდხანს გავაჩერეთ იქნებ მართლაც გაცივდეს“-ო. მე კი მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა მასთან მივსულიყავი და ახალი ლექსები მიმეტანა“.

მოგონებათა ფურცლებზე გიორგი გამყრელიძე პაოლოს გულითადობის, უანგარობის, ვაჟკაცობისა და დიდსულოვნების ნათელსაყოფ ეპიზოდებს აცოცხლებს. „გულკეთილი, ხელგაშლილი და გამკითხავი იყო პაოლო... არავის ის არ დახმარებია მისი დიდი სახელისათვის, ან რაიმე სამაგიეროს გადახდის მოლოდინში“, – აღნიშნავს მემუარისტი.

პაოლოს იაშვილს, მის ტრაგიკულ აღსასრულს გიორგი გამყრელიძემ ორი ლექსი უძღვნა. პირველი – „პაოლო იაშვილის ხსოვნას“ დაწერილია 1946 წელს და შეტანილია პოეტის კრებულში „გვიანი რთველი“,რომელზეც 1962 წელს პარიზში გამომავალ ჟურნალში „ბედი ქართლისა“ (№ 39-40) გრიგოლ რობაქიძემ გამოაქვეყნა სარეცენზიო წერილი: „გვიანი რთველი“ გიორგი გამყრელიძისა“. დასახელებული ლექსი მწერალმა კრებულის საუკეთესო პოეტურ ნიმუშთა, მისივე თქმით, „შაირთა“ რიცხვში მოიხსენია. საინტერესოა გრიგოლ რობაქიძისეული დახასიათება და შეფასებაც პოეტისა და მისი პოეზიისა: „გ. გ. (გიორგი გამყრელიძე – მ. ც.) პაოლო იაშვილის ნათესავია არა მარტო სისხლით – პოეტური გზნებითაც. ხოლო ამ გზნებაში იგი თავისებურია. მას აქვს საკუთარი ლირიული ხმა“.

პაოლო იაშვილის ხსოვნას

შენ მოგეწყინა შექსპირი და ყვითელი დანტე,
მაგრამ რუსთველის გწვავდა ცეცხლი და ხვაშიადი.
ფარშევანგებით შემორკალე მუქი წყვდიადი,
ახალ შაირის ჩირაღდანი როცა აანთე.

უალდის შალი, ყელსახვევი და ხელთათმანი
გხიბლავდა მეტად. (ხეტიალში გაცვითე ბევრი).
მაგრამ გიყვარდა უფრო მეტად კალო და კევრი
და ზემოური უტყუარი სწორი ბათმანი.

იყავ შუქურა პოეზიის კაშკაშა ცაზე,
შეტრფოდი კნუტებს და რქა ალმას ღვინია ხარებს.
ლექსები, ღვინო და მწვადები აღარ გახარებს, –
წახვედი ასე შხამიან და წამებულთ გზაზე.

მაგრამ შენ სახელს დააფენენ დაფნას და იას
და ვინც ახსენებს პოეტების სახელებს მზიანს:
გრიგოლს, ტიციანს, გალაქტიონს და ვალერიანს,
ის შენს სახელსაც პირველ შორის მოიხსენიებს.

რაც შეეხება გიორგი გამყრელიძის მეორე ლექსს „პაოლო იაშვილის სახსოვრად“, იგი დაბეჭდილია მის მეორე კრებულში: „ლექსები, მოთხრობები, თარგმანები უცხო პოეზიისა და ორნიტოლოგიური ნარკვევები“, რომელიც პოეტმა 1963 წელს ვაშინგტონში გამოსცა. ეს მისი უკანასკნელი წიგნია და ოცდახუთ ორიგინალურ ლექსთან ერთად მოიცავს უცხოელ ავტორთა (პოლ ვერლენი, არტურ რემბო, შარლ ბოდლერი, ფონ ჰოფმანსტალი, ჰაინრიჰ ჰაინე, იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ფრიდრიჰ შილერი, ჰერმან ჰესე, რობერტ ფროსტი...) პოეტური ნიმუშების დედნებიდან შესრულებულ თარგმანებსაც. მათგან საგანგებო აღნიშვნის ღირსია ედგარ პოს „ყორანის“ თარგმანი.

პაოლო იაშვილის სახსოვრად

შენ მოგეწყინა შექსპირი და ყვითელი დანტე,
მაგრამ რუსთველის გწვავდა შუქი და ხვაშიადი.
ფარშევანგებით შემორკალე მუქი წყვდიადი,
ახალ შაირის ჩირაღდანი როცა აანთე.

ყველა საყელო გახელებდა და ხელთათმანი.
ღვინის სარდაფში გითევია შენ ღამე ბევრი.
გენატრებოდა ზემოური კალო და კევრი
და არგვეთული უტყუარი სწორი ბათმანი.

იყავ შუქურა პოეზიის კაშკაშა ცაზე,
შესტრფოდი კნუტებს და რქა-ალმას ღვინია ხარებს.
მკაცრი დღეების ქარიშხლებმა არ გაგახარეს –
და რემბოს „მთვრალი ხომალდი“[1] –
ვით გაიჭერ ზღვაზე.

და დღეს, ვით წინად, ვით ოდესღაც პატარა ბიჭი –
ვფურცლავ შენს ლექსებს;
ჩამოძენძილ ალადასტურებს
და ყველა ბგერა, ყველა რითმა მე მიდასტურებს;
რომ იყავ მართლაც, დიდი მხატვრის ხალასი ნიჭი.

ასე მგონია, რომ რთველში ხარ... შეხარი ვაზებს,
დოვლათი ყურძნის საწნახლებში აღარ ეტევა...
მე მოვალ ჩუმად...
შენ ქარვისფერს მოსწყვიტავ მტევანს
და ბაგე გამშრალს, გულგახსნილი შემომთავაზებ.

ლექსს კრებულში თარიღი არ აქვს მიწერილი.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მიძღვნით ლექსში რამდენიმე სტრიქონი პირველისას ზუსტად ემთხვევა, იგი მაინც დამოუკიდებელ ლექსად უნდა ჩაითვალოს და არა პირველის ვარიანტად. ორივე ლექსში საცნაურია ერთგვარი პოეტური იმიტაცია, პაოლოსეული მხატვრული სახეები, რითმები, ინტონაციები...

პაოლოს აჩრდილი კარგა ხანს სდევდა და არ ასვენებდა გიორგი გამყრელიძეს.

„გზმანებია სიზმარში პაოლო“, – ვკითხულობთ პოეტისადმი გაგზავნილ გრიგოლ რობაქიძის 1855 წლის ერთ პირად წერილში...

---

[1] „მთვრალი ხომალდი“ – ფრანგი სიმბოლისტი პოეტის ჟან ნიკოლა არტურ რემბოს (1854-1891) ლექსი, მისი ყველაზე ცნობილი და ღირსშესანიშნავი ნაწარმოები (1871 წ., შარლევილი). ლექსი დაწერილია გემის სახელით, რომელიც მოწყდება ღუზას და ტალღებისა და ქარების ნებით აწყდება ქვეყნიერებას. „მთვრალი ხომალდი“ რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა პაოლო იაშვილმა. დაიბეჭდა გაზეთ „ბარიკადში“ (№3, 1920 წ.). თარგმანის ავტოგრაფი დაცულია საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში. ლექსის ამ თარგმანმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. „პაოლო იაშვილმა სთარგმნა Aarthur Rimbaud–ს მთელს მსოფლიოში განთქმული შაირი: „მთვრალი ხომალდი“. კარგად გაყვანილ თარგმანზე იტყვიან ხოლმე; დედანს გაეტოლებაო. პაოლოს მიერ ნათარგმნის მიმართ ასეთი თქმა ცოტა იქნება...“(გრიგოლ რობაქიძე. „საუბარი კარდჰუსთან“). „განსაკუთრებით მახსოვს, თუ როგორ სთარგმნიდა ფრანგი პოეტის არტურ რემბოს „მთვრალ ხომალდს“, რომელმაც ჩვენი საერთო აღტაცება გამოიწვია. მთელი თარგმანი ზეპირად იცოდა“ (გიორგი ლეონიძე. „ჩვენი მზიური პაოლო“). „მთვრალი ხომალდი“ ქართულად თარგმნა აგრეთვე გივი გეგეჭკორმა.

ერთი ლექსი

ვასილ ბოსტაშვილი

* * *

ვაჟი ამაყად აბოლებს თრიაქს,
ქალი მუცელზე იბნევს საყურეს.
რაც საწუთროში ნაგავი ყრია,
ღმერთო, ჩვენ რატომ დავიმსახურეთ?!

გონს მოდით, სანამ იქნება გვიან,
ნუ ბაძავთ უცხოთ და უსახურებს.
ხენი კენწეროთ ამ მტვერში ხრიან
და დედამიწას ქრისტე დაჰყურებს!

ნამგალნი ფუყე თავთავებს ჭრიან,
სიცოცხლემისჯილთ მადლი აპურებთ.
ჟამი მოაშთობს ცოდვებით ჭიანს,
მე გაბრწყინებულ მამულს გავყურებ.

ვასილ ბოსტაშვილის ნახატი „ქარი“

თამარ მიქაძე

გია ფერაძე

„მისი ცხოვრება შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ: დაბადებიდან 1985 წლის 19 მარტამდე და მას შემდეგ – 1995 წლის 20 დეკემბრამდე. პირველი არის აღმასვლა, ზეიმი, თეატრი, კინო, გასტროლები, წარმატებები, ფეიერვერკები და სხვა... ხოლო მეორე – ტრაგიკული შემთხვევა, დიდი უბედურება, სსრკ-ს ყველაზე საშინელი ციხეების პატიმრობა, აუტანელი ტანჯვა, ავადმყოფობა, და ბოლოს, ნანატრი სიკვდილი“ (ილიკო ფერაძე „სევდის კრებული“, 2014).

ზუსტი შეფასებაა გია ფერაძის განვლილი ცხოვრებისა. მე მისი ორივე პერიოდი მახსოვს. წლების განმავლობაში დედაჩემი, ლალი პატარაია თარხნიშვილის ქუჩაზე მდებარე რესპუბლიკურ სამედიცინო ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა. ძალიან მიყვარდა მასთან სამსახურში მისვლა, ვიცოდი, იქ, სხვა მშვენიერ თანამშრომელთან ერთად დამიხვდებოდა გიას დედა – თინა ჟორჟოლიანი, მხიარული, საოცრად ენამოსწრებული ქალბატონი, რომელიც ჩვეულებრივ ამბავსაც ისე მოგიყვებოდა, მთელი დღე გეყოფოდა განწყობის ასამაღლებლად. იუმორის ნაკლებობას არც დედაჩემი უჩიოდა, ამ ხალისიან, სასიამოვნო გარემოს გია ხშირად სტუმრობდა, წლების შემდეგ კი, უკვე საპატიმროდან, ჩემს მეუღლეს, სულხან ისაკაძეს ნახევრად ხუმრობით წერდა:

„ჩემო სულხან, ლექსს დავიწყებ მე აქედან:
სიდედრი გყავს მართლაც ნაღდი ნატვრის თვალი
იცოდე, არ გააბრაზო და გიყვარდეს,
დედაჩემის დაქალი და ჩემი ლალი.“

1987 წელი. სექტემბერი

სულხანი და გია თანაკლასელები იყვნენ 51-ე სკოლაში. ამავე დროს, უახლოესი მეგობრები. გამორჩეული კლასი ჰყავდათ, ახლო ურთიერთობა მქონდა მათთან, სამწუხაროდ, მხოლოდ, ჯემალ თოფურიძეს ვერ მოვესწარი, უდროოდ წასულ არაჩვეულებრივ მწერალსა და პიროვნებას. ღირსეული თაობა იყო, თბილისისა და ვერის უბნის სიყვარულით გამთბარი. მათგან ბევრი რამ მსმენია გიას სკოლის დროინდელ თავგადასავლებზე, ხუმრობებზე, ანცობაზე, ფეხბურთით გატაცებაზე.

ხშირად ასე ხდება... პოპულარულ ადამიანებთან ურთიერთობას ბევრი იჩემებს. მით უფრო, მათი გარდაცვალების შემდეგ. ცხოვრების ავანსცენაზეც, უფრო მეტად, აქტიურები ჩნდებიან. რამდენადაც მახსოვს და მისი მოწერილი წერილებიდანაც ჩანს, გიას სკოლის მეგობრები გამორჩეულად უყვარდა. მისივე თქმით, ერთგულები და ყველანაირ გასაჭირში გვერდში მდგომნი:

ჩემს კლასელებს, ჩემს ძმებს

„ჩემი სკოლის მეგობრები, მუდამ ტკბილები
აი, ნაღდი ახლობლები და მეგობრები!
ცხოვრებაში მეტი აღარ, არ მოვტყვილდები,
როცა ვნახავ, ყველას ერთად ჩავეხუტები.
გაჭირვებას, მწუხარებას არ გაგრძნობინებს
და ცხოვრებას სიკვდილამდე გაგატანინებს...
კაკალა, სულხან, თაზო, მიშა, ნუ იკრიჭებით,
ფოგო, ზურა, ფილიპოკა, ჩემი ბიჭები.
აბა, როგორ დავივიწყო სკოლის მერხები,
პირველი კლასის სიყვარული და ნაბიჯები
გაჭირვებულ ადამიანს ცოტა ყოფნისა,
ძმობაა თუ მეგობრობა, ისევ სკოლისა.
სადღეგრძელო მინდა შევსვა ჩვენი ძმობისა,
ჩემი სკოლის მეგობრობის არსებობისა!“

1987, 2 XI, ქ. შუშა

ლაღი და განუმეორებელი იყო ახალგაზრდული წლები. მახსოვს ჩვენს ქორწილში გია გადაღებების გამო დაგვიანებით მოვიდა, იმდენი იის კონა მომართვა, მკლავებითაც ძლივს ეჭირა. მარტის თვე იყო და გაზაფხული შემოიტანა თითქოს. მისი შემოსვლა და სუფრის გამხიარულება ერთი იყო, მაჟორული განწყობა შემოჰქონდა მუდამ. იმ პერიოდში ხშირად ვხვდებოდით მეგობრების წრეში,

ასევე, ჩვენთან, ვერაზე... სულხანის სახლში.

მოსაგონარი ბევრი მაქვს, მაგრამ ამ ფორმატში, ყველაფერზე დაწვრილებით ვერ ვისაუბრებ. ვარჩიე, მის გამოუქვეყნებელ ლექსებს ენახა დღის სინათლე. ხელნაწერები ხომ ყველაზე კარგად გადმოგვცემენ სათქმელს, მით უფრო, პატიმრობის დროს რომაა დაწერილი და გიას მეორე ტრაგიკულ პერიოდს განეკუთვნება. ასეთ შემთხვევაში, მათ მხატვრულ ღირებულებაზე უფრო, სხვა რამაა საინტერესო, თუნდაც ის, რომ ერთი შეხედვით, უდარდელი ადამიანის უკან, რა თბილი და მგრძნობიარე ბუნება იმალება.

ესეც ამის დასტურად. ამონარიდი ლექსიდან, რომელიც სულხანის გამზრდელი ბებიის გარდაცვალების მერეა გამოგზავნილი:

„ჩემო სულხან, გენაცვალოს ფერაძე,
ჩვენ ორივე გაზრდილი ვართ ვერაზე,
უცებ წერამ შენს თავს ჩამომაცალა,
ველარ გავძელ ბედის საქანელაზე.
არ გეგონოთ, დაგივიწყეთ ყველანი,
რა დღეში ვარ, ალბათ გასაგებია,
ამ ტკივილზე, ვიგრძენ კიდევ ტკივილი,
რომ არა გვყავს ჩვენი სონა ბებია!
სონა ბებო გვადარებდა ვარსკვლავებს,
და კაშკაშა, თაკარა მზეს გადრიდა...
შენ რომ ბებო გივლიდა და გათბობდა,
ალბათ, დედა შვილს ისე ვერ გაზრდიდა.
ჩემო სულხან, ერთი სათხოვარი მაქვს,
მის სახელზე ჩემგან ჩაწვი სანთელი...
გახსოვდეს, რომ ჩემგან მუდამ ექნება
უკვდავება და იმ ქვეყნად ნათელი!
იყო მუდამ სათნო, კეთილშობილი,
საყვარელი და ყოველთვის ამაყი.
მუდამ მისი მადლიერი ვიქნები,
ჩემს გაზრდაშიც რომ მიუძღვის ამაგი.
ამ ცხოვრებას მიჰყავს ხანშიშესულნი,
შვილები და შვილთა შვილი რჩებოდეს,
ჩვენი ბებოს დანაკლისი დღეები,
ჩვენს ნიკას და ოჯახს შემატებოდეს.“

ყოველმხრივ გამორჩეული იყო გია ფერაძის ოჯახური გარემო. მისი მამა, ბიძინა ფერაძე, დამსახურებული პედაგოგი იყო, ტექსტის ავტორი ცნობილი სიმღერისა „ყვავილების ქვეყანა“, რომელიც მეოცე საუკუნის ქალაქური ჟანრის საუკეთესო ნაწარმოებადაა აღიარებული.

დიდი ბაბუა ილია ფერაძე XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწე პედაგოგი და პუბლიცისტი იყო.

ჟორჟოლიანების მხრიდან გვერდს ვერ ავუვლით, ყველასათვის საყვარელ მსახიობს, სანდრო ჟორჟოლიანს, ქალბატონ თინას ბიძას.

გია ფერაძე

აღარაფერს ვამბობთ, გვარში წმინდანის, გრიგოლ ფერაძის არსებობაზე.

საბედნიეროდ, ოჯახის არქივს ჰყავს ისეთი მოამაგე, როგორც ილია (ილიკო) ფერაძეა. გიას უფროსი ძმა. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს, სადაც მოთხრობილია ფერაძეებისა და ჟორჟოლიანების თვალსაჩინო წარმომადგენლების შესახებ. ასეთი ერთგულება ძმისადმი და დამოკიდებულება წინაპრებისათვის სამაგალითოა და ცალკე საუბრის თემაა.

დაბოლოს... ახლობლების თქმით, გია აღსასრულის მოახლოებას გრძნობდა, მეტიც, ელოდა კიდეც, არაფრის ეშინოდაო, დავიწყების გარდა.

შეიძლება თამამად ითქვას, ისი სახელი დღესაც ისეთივე პოპულარულია.

გია ფერაძემ თავისი კვალი გაავლო კინოსა თუ თეატრში. დატოვა შვილები, შვილიშვილები, მეგობრები...

ესეც საპატიმროდან მოწერილი პატარა ლექსი... თითქოსდა ოდესღაც მხიარული, ნიჭიერი არტისტის ტრაგიკული ბედისწერის ექო...

ჩემს სულხან ისაკაძეს!

„ქიშვარდიჩ, ჩემო ძმობილო,
ვიცი, რომ გიყვარს ფერაძე,
თუ მოვკვდი, ჩემი სურათი
მანდვე დაკიდე ვერაზე.
ამას ანდერძად ვიბარებ
აბა შენ იცი ძამია,
თორემ ხომ იცი ჩემს დღეში
კაცის ცხოვრება ძნელია...“

ნოდარ ჯაჯუაშვილი

დიდოსტატი

ზაურ ბებრიშვილი

მხატვარი ზაურ ბებრიშვილი და მისი ქალიშვილი, ასევე მხატვარი მარინე ბებრიშვილი-ტურე შემთხვევით აღმოვაჩინე ინტერნეტგვერდზე. ბიოგრაფიაში დაბადების ადგილი ლაგოდეხის რაიონის სოფელი საქობოა მითითებული. მერე აღმოჩნდა,რომ ბატონი ზაური, დღეს – ბრწყინვალე ფერმწერი, წნორელი იყო. გასულ შემოდგომაზე კი მშობლიურ კახეთს ეწვია, კიდევ ერთხელ მოინახულა მონატრებული მხარე, სიღნაღი და ახლობლები. ჩემთან სტუმრობისას ვფიქრობდი, რომ ინტერვიუ ჩაგვეწერა, სამოცდაათს გადაცილებულ მხატვარს თავისთავად სისხლსავსე ცხოვრება ექნებოდა განვლილი და საინტერესო იქნებოდა მისით დანახული მხატვრული სამყარო,მაგრამ არც დიქტოფონი და არც კალამი ხელში არ ამაღებინა...

იგი შესანიშნავი მოსაუბრეა, ენაწყლიანი, დახვეწილი და მაღალი მხატვრული გემოვნების ქართველი ფერმწერი, იუველირი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დიდოსტატი,გრაფიკოსი, რომელიც მრავალი წელია ნიჟნი-ნოვგოროდში (გორკი) ცხოვრობს და მოღვაწეობს, მისი ქალიშვილიც მხატვარია და ბავშვებს ხელოვნებას აზიარებს. მისი მოსწავლეების ნახატები დრო და დრო ჩნდება ხოლმე სოციალურ ქსელში და მოწონებასაც იმსახურებს.

ზაურ ბებრიშვილი წნორის 1 სკოლაში სწავლობდა, მერე ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელი და სამხატვრო აკადემია ბრწყინვალედ დაამთავრა... მონაწილეობდა რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა გამოფენებზე. წარმატებული გამოფენები ჰქონდა: მოსკოვის კრემლში, სანქტ-პეტერბურგში, ლვოვში, ბრატისლავაში, ბერლინში... მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს, რუსეთის, ლიტვის, აშშ-ს, ჩეხოსლოვაკიის, ისრაელის, გერმანიის კერძო კოლექციებში.

მასში არის კახური თავდაჯერებულობა და უტეხობა, პროფესიის ერთგულება, უნარი, იყოს ძლიერი, თვითმყოფადი და, ამასთან, ძალზე ლირიკული ფერმწერი დღევანდელ სამხატვრო სირვცეში... მის ნამუშევრებში მხატვრის ინდივიდუალური თვალთახედვის პრიზმაში გატარებული ცხოვრებისეული პლასტებია აღბეჭდილი, მხატვრული ტემპერამენტით, არტისტიზმითა და ექსპრესიულობით. ხელოვანი თითოეულ ტილოზე მაქსიმალიზმს აღწევს ხან არაორდინალურობით, ხან ელეგიური განწყობითა და პოეტურობით...

ფერთა სიუხვით, მდიდარი ფანტაზიით, ძალზე ძლიერი და მაღალი მხატვრული კულტურით და ოსტატობით არის შესრულებული ფერტილოები: „რაჭა“ და „ცისფერი რაფსოდია“. ეს არის მხატვრისა და შემოქმედის ესპრესიული,მართლაც, ვირტუალური აღქმა გარე, ამასთან, მშობლიური სამყაროსი.

60-იან წლებშია შესრულებული ვაჟა-ფშაველას პორტრეტი, საიდანაც სულის სიძლიერე და ტრაგიზმი გამოსჭვივის. სულ რამდენიმე ფერის გრადაცია და შუქ-ჩრდილის მონაცვლეობა განუმეორებელს ხდის ნამუშევარს.

– ეს ძველი თბილისია, დარეჯან დედოფლის სასახლე და ვარაზისხევი. მაშინ,ნახევარი საუკუნის წინ ასეთი იყო,– მიხსნის ბატონი ზაური.

უაღრესად დახვეწილია მისი საიუველირო ნამუშევრები, რომლებიც ფორმით, ფილიგრანულობით, ფაქიზი მცენარეული ორნამენტითა და ულამაზესი კომპოზიციით იპყრობს ყურადღებას.

ზაურ ბებრიშვილი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დიდოსტატია. მისი ღვინის სასმისებზე გამოყენებულია: გოგრა, მელქიორი და მინა, სასმისების ორიგინალური გადაწყვეტა ქართული ღვინის ათასწლოვანი ისტორიის და კულტურის თანამედროვე მიგნებების ბრწყინვალე ნიმუშია.

მის მონუმენტურ-დეკორატიულ ნამუშევრებშიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მხატვრის საკუთრი სტრუქტურა, დიდი დიაპაზონი, განუსაზღვრელი ფანტაზია და მრავალფეროვანი საშუალებების ერთობლიობა, რითაც იქმნება კედლის პანოები თუ ინტერიერები ბუხრით. დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში – მელქიორის მაღალფეხიანი, წმინდანთა პორტრეტებით (მედალიონები) დამშვენებული თასები თუ სილამაზის კონკურსის გვირგვინი, ხეზე კვეთისა თუ ნაჭედი რკინის ნიმუშები.

ზაურ ბებრიშვილის შემოქმედებაში ბევრია ქართულ თემაზე შექმნილი დაზგური ფერწერული ქმნილებები: „ლაგოდეხის ნაკრძალი“, „ბარაკონი“, „დარიალის ხეობა“, „ცხელი კახეთი“, „ყაზბეგი“, „იმერეთი“, „კახეთის მთები“...

საწყენია,რომ ამ შესანიშნავ მხატვარს ჯერეოვნად არ იცნობენ ჩვენთან. გამოფენას კი სპონსორი და დაფინანსება სჭირდება.

კახეთმა, ქიზიყმა არაერთი შესანიშნავი სახელგანთქმული ფერმწერი შვა. ზაურ ბებრიშვილს თავისი თვითმყოფადი ადგილი უკავია მათ შორის.

ბიოჩბი ჩამაზაშვილი

ცრემლ

იცი, რ ა აგვერ მომწადინდ,
შენ ცრემლების ფერება,
სიხარულით დანადენთ
მთაგზობაიდ ველება,
იცი, რ ა აგვერ მომაგონდ,
შენდ საკრეფაა ყვავილებ,
ცქრიატ დილ ა აობისა,
ხევისკ სავალ ნაპირებ,
იცი, რ ა აგვერ მომაგონდ,
შენ თვალებით ცრემლთ კრეფა,
ჯანღით მოსილ ღამის ქვეშ
ერთ კვადს ხედვით თენება,
მომწადინდ მაგრ, ღმერთ კლდეთ ღპობს
ნატვრის მძივებ აგისხენ,
შინ ჩემიდ შენ ყოფისად,
მზეიდ მთვარე დავისხენ.

* * *

ცას მწოლ მზის მიტოვებული,
ჩამოწყევლილი ბედისა,
ალაზნის ლუკმად ნაქცევი,
დასატირები მთებისა,
ქვეყანას დავიწყებული,
ეკლის მგლეჯავი გზებისა,
ყველას ყურ დაუგდებელი,
ყორნად საჯიჯგნი მტრებისა,
ველზედ ბალახად მოსული,
ხან, ნარ-ეკალი მთებისა.

თელავს

ნადიკვრის ქედზე სისინებს,
ალაზნის ველის ნიავი,
ჩქროლვით ამხნევებს სხვის გულებს,
ჩემი ბობოქრის ფრიალი.
ჟღმურტულით ეალერსება,
ჩიტი, ფიჭვების გრილოებს,
გახელებული ცაცხვის ხე,
ხატავს არნახულ ტილოებს.
მწვანე ხალიჩას იხდენენ,
თელავს, ცალგვერდა ფერდები,
მასპინძლურ დილას მიწევენ,
კავკასიონის ქედები.

ფშაველში, კაშხალზე ყოფნისას

ხის გამხმარ ტოტზე ხავსები,
მთაზე ნისლებად აყრია,
ველს მობიბინე ბალახი,
გულზედ სუდარად დამყრია.
ამ მზის და მთვარის მოლოცვას,
ღმერთ შეიწირავს ნეტარაა?
ღრუბლებში გამოჯარული,
მე იმათ ნატვრა მეყარა.

რ ა გვერც...

რ ა გვერც, მთაზე ბატკანს მგელ,
ი იგრ ველოდებ გაზაფხულს,
რ ა გვერც დედის თვალზედ ცრემლ,
ი იგრ გულ მაქვ დაზაფრულ,
რ ა გვერც, ცაზე შეყრილ ნისლ,
ჩემ ფიქრ ი იგრ ტრიალებს,
ცა მზეთ მომცეს შარშავ ფიც,
რადამ დ ი იგვიანეს.
რ ა გვერც მზის სხივ მთის უკვენ,
მთვარს ნარცხვენ ემალებ,
ი იგრ ტირილ მოტანამდ,
თქვენ სიყვარულ მევალებ.

ნათელა ბოხელაშვილი

რომ გვყავდეს

პრეისტორიით ვამაყობთ
და არ გვაქვს ნდობა მერმისის,
აწმყოს ვაძაგებთ, გმირობა
გვხიბლავს ერეკლეს მეისრის.
შინდისის გმირებს რა ვუყოთ,
ანწუხელიძე გიორგის?
ტაძრებში მათზეც იქნება
ძალა და მადლი მირონის.
გმირები დღესაც ბევრი გვყავს,
მეფე გვაკლია ჯვარცმული,
თორემ ისევე იელვებს
ფარი და ხმალი ქართული.
გმირები, მართლაც, ბევრი გვყავს
კოლხ-იბერული ჯილაგის,
ბრძოლებში სამშობლოსათვის
ისმის ლაშქრული გრიალი.
მეფე არა გვყავს ჯვარცმული,
ნდობა არა გვაქვს მერმისის,
ამიტომ გვხიბლავს გმირობა
ერეკლეს ლაღი მეისრის.

ზვიადის ბოლო ნოტი

ჯიხაშკარი დაეფარა წვიმამრავალ ღრუბელს,
ზვიადს წვიმის ეს წვეთები უმძიმებდა უბეს,
მხრებზე ადგა საქართველოს ხანდაზმული ტვირთი,
ზღვის ტალღებზე მონავარდე
აზრდაცლილი ზვირთი,
სევდიანად აჟღერებდა უკანასკნელ ნოტებს,
ამბავს ცრემლით უყვებოდა რემბოსა და ბოდლერს.
ჯიხაშკარში განმეორდა წიწამურის განცდა,
ბოლო ნოტი „ლილეოსი“ საქართველოს გასცდა.

* * *

მოგწყვიტეს მშობლიურ ზეცას,
უცხო ქვეყანას გაგხიზნეს,
ღალატითა და ფლიდობით
ქართვლის მზეს აღარ გაღირსეს.
ნიკოფსით დარუბანდამდე,
გელათში გქონდა ნათქვამი,
არ გასვენებდა ეს ფიცი,
გულით დაგქონდა ვარამი.
შვილი შესწირე სამშობლოს,
შენი ხმალიც და კისერიც,
მარტყოფის ველზე გადარჩა
მერმისი ამერ-იმერის.

იღვიძებენ წლები

ჩიტი სარკმელს მოეფერა ლხენით,
დილის ცვარ-ნამს დაეფარა არე,
იჭიკჭიკე და გაშალე ფრთები,
მაგ ჰანგებით ამამაღლე ბარემ.
სიო წამით აშრიალდა თმებზე,
სიცხემ ნიავს დაუჯერა უცებ,
სალამურის საამური ხმებით
გათბა ჩემი სოფლის პაწა უბე.
და ბავშვობის დავიწყებულ ჰანგებს,
მოგონება მოფერებით ავსებს,
იღვიძებენ, იღვიძებენ წლები
და ყვებიან დახავსებულ ამბებს.
ჩიტი სარკმელს მოეფერა ლხენით,
დილის ცვარ-ნამს დაეფარა არე,
ჩიტუნია, ცას გაშალე ფრთები,
სიყვარულით ამამღერე, ბარემ.

შური

შურმა წალეკა ქვეყანა,
დაგვამხო თავზე ცა,
შურმა წყვდიადი დათესა,
და აატირა ზღვა.
შურს სიძულვილით ვუყურებ,
მის საქმესა და რქას,
ცას დაუკარგა არწივი,
მისი ძლიერი ფრთა.
შურმა წალეკა ქვეყანა,
წაგვართვა ზღვა და მთა,
სიძულვილს ფრთები შეასხა
და შხამს დაუწყო რთვა.

შიში

შიში შემეპარა სულში,
ერის გაქრობის და გვემის,
აღმაშენებლის ნაშენი
ზღვაში იძირება გემი.
შიში შემეპარა გულშიც,
დაკარგვის იმ დიდი ბრძოლის,
რასაც ილია ემსხვერპლა,
სამშობლოს სიყვარულით თრობის.
ნუთუ იოლია, ღმერთო,
გაქრობა ღვთისმშობლის ქვეყნის,
მუხლებზე ჩოქვით და ცრემლით,
შენს ხატთან დავდგები ხვეწნით.
გაშალე თამარის დროშა,
გონი აძლიერე ერის,
მინდორი სისხლით კი არა,
შეღებე ზურმუხტის ფერით.
შიში შემეპარა სულში,
ერის გაქრობის და გვემის,
აღმაშენებლის ნაშენი,
ზღვაში იძირება გემი.

* * *

თენგიზ არჩვაძეს

თვისი მთებივით დიადი,
გულანთებული, ნათელი,
სამშობლოს სიყვარულისთვის
იწვის, ვით ცვილის სანთელი.
თენგიზ არჩვაძე, — თუ იტყვი,
ყველაფერია ნათქვამი,
მეფე ერეკლე და მუშნი,
კოლხური მითის ნაგრამი.
ზვიადაური, ილია,
და კიდევ ბევრი ქართველი,
წარსულის, აწმყოს, მომავლის,
ლამაზი სიტყვის მმართველი.
სევდამ შეიპყრო, როდესაც,
მოუკვდა, — გმირი „პაპაი“.
ქაფიანიძე ზურაბის
როს ჩაქრა დიდი ლამპარი.
თვისი მთებივით დიადი,
გულანთებული, ნათელი,
სამშობლოს სიყვარულისთვის,
იწვის, ვით ცვილის სანთელი.

* * *

„ბედნიერია ის,
ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული“.

გიორგი სააკაძე

რამ გათქმევინა, გიორგი,
გულს რად დაასვი ლახვარი,
და ბარათაშვილ შადიმანს,
ფიქრი რად მიეც მზაკვარი...
ბედნიერია, ის ვისაც,
თვისი სამშობლო უყვარსო,
ქვეყნის ხსნასა და ერთობას
აბა, ვინ ეტყვის უარსო.
ვაჰმე, რა მაგრად შემცდარხარ,
განა ძნელია ღალატი,
შენსავით ბევრი არ ფიქრობს,
ასრულოს ერის ადათი...
ჩასაფრებულან თავადნი,
ხალათი უნდათ შაჰისა,
ფიქრობენ ღალატს გიორგი,
დაგებას შენთვის მახისა.
სევდით მოღელავს არაგვი,
ქართლმა ფიქრები დანისლა,
ფერი იცვალა ღამემ და
პირმომღიმარე აისმა.

ჩალაბაშვილის ფიქრის მერანი

უსაზღვრო არის პოეტის სივრცე,
დაუღალავი მისი კალამი,
კავკასიონზე მიბმულ ამირანს,
ტირის პოეტის გული ალალი.
ბრძნული კახური სიდარბაისლით,
სავსეა ლექსის გრძნობის ღადარი,
რაშივით დაქრის აღმა და დაღმა,
სიტყვა ღვთიური, სიტყვა ახალი,
თბილისის ქუჩებს ხმაურით სერავს,
ჩალაბაშვილის ფიქრის მერანი,
გმირულ წარსულზე სევდით საუბრობს,
ჯერ არ შემშრალი სიმწრის მელანი.
არწივის ფრთებს შლის რითმის სიუხვე,
ჯვარზე ირმების ჯოგი მძვინვარებს,
და საქართველოს ღრუბლიან ცაზე
თავისუფლების დროშა ფრიალებს.

ლიახვის ტალღებში

ლიახვის ტალღებში ფიქრები ჩავძირე,
ოცნება მთვარეზე ვარსკვლავად ავკინძე,
ნაომარ შიდა ქართლს ტკივილი აწვალებს,
ღვარძლიან მეზობლის ცინიზმი აკვირვებს.
სადა ხარ, შენ დავით, აღმაშენებელო,
თამარ დედოფალო, გიორგი ბრწყინვალე,
დიდო მოურავო, ბრძოლებში დაღლილო,
წარსულში დარჩით და ვარსკვლავად ციალებთ.
თქვენ გელით აწმყო და, ჩვენი მომავალი,
მტრისგან დატორილი ზღვა გელით და ველი,
საქართველოში თქვენი ხმა აღარ ისმის,
აღარ გვაქვს ხანძთა და, აღარც მაჭახელი.
აფხაზეთს, შიდა ქართლს, უცხო ხმა აღვიძებს,
გმირების საფლავებს ყვავები კორტნიან,
ცრემლებით ივსება ლიახვის ტალღები,
ვახტანგის მაგივრად, გვიცინის ბორია.
ლიახვის ტალღებში ფიქრები ჩავძირე,
სადა ხარ, გიორგი, თევდორე, რუსუდან,
გელით, აჭიხვინეთ ცხენები ბრძოლებში,
თქვენი დაბრუნება, ცრემლიან გულს უნდა!

ჩემს ბავშვობას

ჩემი სოფლის სილამაზე,
უფალს შეხიზნებია,
ნაომარს და ნაალაფარს,
მტერი შეზიზღებია.
ორიათას რვა წლის ომმა,
სისხლით მორწყო მინდვრები,
ბევრი ამბით დამძიმებულს
გულს, მიწეწავს ფიქრები.
რვაასი წლის ისტორია,
მუხის ტოტზე ჰკიდია,
დაღლილი და დაქანცული,
წლები უღვთოდ მიდიან.
ჩემს ბავშვობას ვეფერები,
ჩემი სოფლის მზეკაბანს,
ბებო ლორთქო ბალახს გლეჯავს
და ბოჩოლას ხეს აბამს.
ჩემი სოფლის სილამაზე,
უფალს შეხიზნებია,
ნაომარს და ნაალაფარს,
მტერი შეზიზღებია.

შოთა რუსთაველი რომში

რომს ამშვენებდა ფარსმან ქველის
ცხენი და ხმალი,
და იდგა იგი მეომარი, ჯირითით მთვრალი.
ახლა რუსთაველს მიუჩინეს იქვე ადგილი,
რუსთაველობა, დამეთანხმეთ, არ არს ადვილი.

აქა ცხოვრობენ ტიტანები დიად ძეგლებად,
ვილა ვორგეზე იღიმება ათას ფერებად.
ია ენძელა და ზღაპრული იასამნები,
ამბებს ყვებიან, ამაყობენ იალაღები.

ამბობენ თურმე, ცენტრში უნდა დაედგათ შოთა,
მაგრამ ვიღაცას, მის მოდგმისას აუტყდა შფოთვა.
ქართულ ღირსებას იმ უგვანომ დაუგო მახე,
და უჩინარჰყო გენიოსის ნათელი სახე.

ვილა ვორგეზე რუსთაველით დღეს თავს იწონებს,
კუთხეში მდგარი, მარტოსული,
მნახველს იმონებს.
მეფე უმბერტო პირველს ჩვენი დიდი მადლობა,
ვილა რომს მისცა ბულბულის და
მერცხლის გალობად.

ვით საქართველო, უმეგობროდ დგას დიდი შოთა,
შექსპირი ზეცას შეჰღაღადებს,
„ყოფნა? – არ ყოფნა“!
ო ო, უილიამ, მაინც ყოფნა, ყოფნა და ყოფნა!

ქარმა აწეწა

ქარმა აწეწა სულის ფიქრები,
მინდორში იას მოსწყდა კვირტები.
ნუთუ არასდროს არ დამშვიდდები
და არასოდეს დამიღვინდები?
ჩემო ოცნებავ, ჩემო ზმანებავ,
თან დამდევ ღელვად, ცისკრის ანთებად.
ჩემი ხარ, ჩემი, სულის მეგზური,
ხან ღვთიური და, ხანაც მხეცური,
მტრისგან ძლეული და დარბეული,
უკიდეგანო, გზააბნეული.
ქარო, როდემდე დაუწყებ წეწვას,
ამ ჩემს ცრემლიან ფიქრების ღელვას?
ქარმა აწეწა სულის ფიქრები,
და მინდორს მოსწყდა იის კვირტები.

პროზა

ლეილა ჟიტოშვილი-
სახლთხუსიშვილი

ნეტავი, ვიყო ჩიტი!..

„ცხოვრება სახუმარო ვოდევილი კი არ არის, რომელიც ინტრიგით იწყება და ყველასთვის სასიამოვნო მხიარულებით თავდება, არამედ დიადი დრამა, რომლის თითოეული მომენტი უძლიერესი თვითმოქმედების, უფართოესი შესაძლებლობების გამოაშკარავებას მოითხოვს“,

გერონტი ქიქოძე

მარიამის აივანზე, ყოველ დილით, თავს იყრის მტრედების პატარა გუნდი – „ბეჭება“, „მკერდა“, „ცერცეტა“, „კოპწია“, „მშიშარა“, „ფითქინა“ და „ჟოფრეი“,– რომელთაც სახელები თავად შეურჩია... ერთი-ორჯერ „შეეშალა“, შეეცოდა – საკენკი დაუყარა და მას შემდეგ, მეშვიდე წელია, ველარ იშორებს, აღარ სცილდებიან; დაბარებულებივით ერთსა და იმავე დროს მოფრინდებიან; მათი ჭმევა თუ შეაგვიანდა, შეუძლიათ მთელი დღე იქ ისხდნენ და მოთმინებით ელოდონ შესაფერის დროს. ქალი ხვდება, რომ ისინი ზედმეტად გაათავხედა, მაგრამ ვერაფერს უხერხებს. ერთხელ საფრთხობელაც კი დაუყენა... შეშინებულებმა ცოტა ხანს გარშემო უფრინეს, თან მინებს ნისკარტებით ნაზად ეხებოდნენ! განსაკუთრებით, მარიამის გათამამებული მოზრდილი მამალი მტრედი, „ჟოფრეი“ აქტიურობდა... ქალს ეცოდებოდა კოჭლი მტრედი, რომელსაც მარცხენა ფეხის ბრჭყალები აღარ ჰქონდა; მის მაგიერ შეხორცებულ, გამაგრებულ პატარა ბურთულაზე იდგა...

მოკლედ, მტრედების დანაყრება ერთგვარ რიტუალად ექცა, რომელსაც ვერ შეელეოდა. შვილი ამას არ აწუხებს და ძირი... ვითომ, მხოლოდ ამიტომ იქცევა ასე?!. არაა, – გული აქვს კეთილი, საწყალობელი... როცა დიდი ოჯახი ეთქმოდათ და საქმეც თავზესაყრელად ჰქონდა, იმათთვის მაშინაც იცლიდა...

ჩვენში დარჩეს და ქალბატონი მარიამი ძალიან უცნაური, ამოუცნობი ქალია... შეიძლება, დღევანდელ დღეს, ყოველ ორ კვირაში ერთხელ, პენსიონერმა ექვსი-შვიდი ლარი ხარჯოს ამ სკინტლიანებისთვის?!. ვიცი, არ დამიჯერებთ, მაგრამ ნამდვილად ასეა – ჩვენს ქუჩაზე მზესუმზირას გამყველები ეგრევე სცნობენ, თურმე, იმათ „ატყუებთ“, ეუბნებათ – სახლში ხუჭუჭა თუთიყუშები და იადონი მყავს, იმათთვის მჭირდებაო... არა, კი არ ერცხვინება. არა, უბრალოდ სიმართლე რომ უთხრას, მაინც ვერ გაუგებენ, ვერ გაიგებენ, რატომ უყვარს ბავშვობიდან, ასე ძლიერ ფრინველები... რატომ ეცოდება ისინი ცუდ ამინდში... როგორ განიცდის, ყინვიან ღამეებში მათ უბინაობას... ქარიან დღეებში ჰო სულ მიუსაფრები ჩანან – როგორც ფრანები, აქეთ-იქით ისე დაფარფატებენ...

მარიამი საყიდლებზე ერთსა და იმავე მაღაზიას აკითხავს, რომელიც მის ეზოსთან ახლოს აფთიაქს გვერდს უმშვენებს; მახლობლად „მარკეტები“ და „სუპერმარკეტები“ ოხრად არის ჩამწკრივებული, მაგრამ ის მაინც წვრილმანისა და მსხვილმანისათვის თავის „ამოჩემებულში“ დადის. თუ ხასიათზეა, გამყიდველთან და იქვე მდგარ გაურკვეველი პროფესიის ადამიანებთან ერთ-ორ სიტყვას იტყვის პურის ხარისხსა და ფასებზე, ცოტას პოლიტიკას გაჰკრავენ კბილს, შემომსვლელ-გამსვლელსაც შეათვალიერებენ – ხან რას დაუწუნებენ, ხან რას მოუწონებენ, მერე კმაყოფილი იქაურობას დატოვებს და სკვერის მოედანზე მოთამაშე ბავშვებს დაუწყებს ფერებასა და ჭკუის სწავლებას... შინ არასოდეს ეჩქარება, რა ხანია იქ აღარავინ ელის...

ამ წინებზე, უნივერსიტეტელი მეგობარი, ინგა, შეეხმიანა – საგზურების საშუალებაა და იქნებ, ორი კვირით ბორჯომში წავიდეთო?!. ძალიან ეზარებოდა, მაგრამ უარი მაინც ვერ უთხრა. კარგად დაისვენეს, ცხოვრებასაც თითქოს ახლებურად შეხედეს, თუმცა მაინც ძველი ერჩივნათ – როცა ასეთი დასვენება კაპიკები ჯდებოდა, როცა ადამიანები გულითადები, მოსიყვარულეები იყვნენ... ბორჯომ-პარკიც თითქმის ყველასი იყო...

ერთი კვირაა, რაც ჩამოვიდა, თავიდან შეუდგა ძალების მოკრებას, სიმარტოვესთან შეჩვევას... უბანი საკუთარი რიტმით ცხოვრობდა... მაღაზია ჩვეული განრიგით მუშაობდა, ოღონდ ეგ იყო, მომხმარებელს ახალგაზრდა გოგო – კავკასიური გარეგნობით

მაინცდამაინც რომ ვერ დაიკვეხნიდა – ემსახურებოდა... ხორბლისფერი, რაღაცნაირად ზემოთ ახვეული თმით, მაღალი ფეხებითა და... მომსახურების განსხვავებული მანერით... მარიამი არ დაიბნა, სახელი ჰკითხა, მერე წინამორბედის ბედი გამოიკითხა, თავი აქეთ-იქით დანანებით გადააქნია, რას ვიზამთო, – ჩაილაპარაკა...

ამ დღიდან მოყოლებული დაიგასთან ყოველი შეხვედრა, რთული გეომეტრიული ამოცანის ამოხსნას დაემსგავსა... არა, ქალი ჭორიკანა ნამდვილად არ იყო, უფრო ინტერესიანი, კირკიმელა ეთქმოდა; რაც დრო გადიოდა, თანდათან ხვდებოდა, რომ ამ ინტერესს იმდენად გარეგნობა არ იწვევდა, რამდენადაც მისი იშვიათი სახელი – და-ი-გა! სპეციალურ წიგნშიც კი ჩაიხედა – „გვარ-სახელები საქართველოში"; „დ" – ბგერით დაწყებული ათასნაირი სახელი ამოიკითხა, მაგრამ „დაიგას" მსგავსსაც კი ვერაფერს მიაგნო...

ვერა და ვერ მოახერხა მასთან პირისპირ საუბარი, გარშემო მუდმივად ხალხი ირეოდა... მერე იმაშიც დარწმუნდა, რომ დაიგა, ბევრისგან განსხვავებით, რუსულად კარგად მეტყველებდა, სასაუბრო ლექსიკონი უხვი და უზადო ჰქონდა; ალბათ, ამიტომ თუ იყო, რომ მაღაზიაში უბნის რუსულენოვანმა მომხმარებელმა იმატა, საყიდლებზე თითქმის სულ აქ მოდიოდნენ. დაიგა იშვიათად იცინოდა, რაღაცნაირი უჩვეულო დუმილით საქმიანობდა... კედელზე მიმაგრებულ პატარა შავ-თეთრ ტელევიზორს მექანიკურად თუ გახედავდა... მოკლედ, ამ მშვენიერ გოგონას ლაილაისთვის არასდროს ეცალა.

გაცნობიდან ნახევარი წელი იქნებოდა გასული, რომ „გაუბედა" და ჰკითხა:– სადაური ხარ, ქართველს არ ჰგავხარ, არც რუსს?!. იმ დასაქცევი საბჭოთა კავშირის დროს, დაიქცა კიდეც ისიც და იმის მომგონიც, ბალტიისპირეთის ქალაქებში ბევრჯერ ვყოფილვარ, ტურისტულ ჯგუფებთან ერთად ბერლინში, ვარშავასა და პრაღაშიც ვარ ნამყოფი,– უფრო იმათ გამსგავსებ, სახელიც უცნაური და საინტერესო გქვიაო...

დაიგამ თვალი თვალში გაუყარა: – აქამდე, თქვენ გარდა, ეს ჩემთვის არავის უთქვამს; ყველას რუსი ვგონივარ... არადა, აფხაზეთიდან ლტოლვილი ვარ... სოხუმში რუსულ სკოლაში ვსწავლობდი... მერე ისე მოხდა, რომ სხვებთან ერთად მე და დედამ თავი თბილისს შევაფარეთ... ეგ არის და ეგ...

ამ პასუხით ქალბატონ მარიამის ინტერესი თითქოს უნდა დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ, არა, გულისგულში გრძნობდა, რომ ყველაფერი მთლად ასე არ უნდა ყოფილიყო...

ამქვეყნად, მართლაც რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს, არ უნდა იჩქარო, სულსწრაფობა არაფერში ვარგა... მარტის ერთ წვიმა-ქარიან შაბათ საღამოს, ფეხით მოსიარულენი ლამპიონების შუქზე კანტიკუნტად რომ ჩანდნენ, მაღაზიაში შესულ მარიამს ვერ გადაეწყვიტა – სარეცხის რომელი საშუალების ყიდვა აჯობებდა; თაროებს შეჰყურებდა, როცა დაიგას ხმა მოესმა – ურჩევდა, გერმანული წარმოების ფხვნილი შეეძინა... შიგნით მათ გარდა არავინ იყო. გარეთ წვიმა და ქარი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, სიცივე მატულობდა. ის იყო მარიამი მაღაზიიდან უნდა გასულიყო, რომ დაიგამ: – თუ შეიძლება, ერთი წუთითო!

მარიამი უკან შებრუნდა, სიჩუმე სულ ერთი წამით გაირინდა; მერე დაიგა დახლს დაეყრდნო და ისე, რომ თავი მაღლა არ აუწევია, უთხრა: – მაშინ, თქვენ მართალი ბრძანეთ... არც ქართველი ვარ და მით უმეტეს, არც რუსი... ლატვიელი ვარ, ქალაქ ლიეპაიედან... არც ვიცი, გაგიგონიათ თუ არა... აქ რიგა უფრო იციან, ვიდრე სხვა ქალაქები, თუმცა ლიეპაია დიდი სამრეწველო ქალაქია ბალტიის ზღვასთან, რიგის შემდეგ მეორე თუ მესამე ადგილი უკავია... კარგ ამინდში, ზღვის მოპირდაპირე მხარეს, შორს სტოკჰოლმის კონტურებიც კი ჩანს... თუ შეიძლება, გამომართვით,– და ქალს ოთხად დაკეცილი ფურცელი გაუწოდა, – მასში იმას წაიკითხავთ, რაც ასე გაინტერესებდათ... ამის დაწერამ ერთგვარი შვება მომგვარა; მერწმუნეთ, არაფერი შემილამაზებია...

დაბნეულმა, გაკვირვებულმა მარიამმა ვერაფრით უთხრა უარი; დაიგას ერთი კი შეხედა, ქაღალდი გამოართვა და მაღაზიის კარი სასწრაფოდ გამოიხურა. სირცხვილისა და უხერხულობისაგან ლოყები და საფეთქლები უხურდა... დინჯად მოდიოდა; ჰაერის ცივი ნაკადი სალბუნად ედებოდა, სახლი არც ისე შორს იყო...

– „გწერთ იმას, რაც ვიცი, რაც მახსოვს; დავიბადე ლატვიის ქალაქ ლიეპაიეში, სადაც ჩემს მშობლებთან და ოთხ და-ძმასთან ერთად ვცხოვრობდი; როგორც ბავშვების უმრავლესობა, ჩვენებს მეც საბავშვო ბაღში დავყავდი, მიხაროდა ჩემს ტოლებთან თამაში და ის წუთი, როდესაც დედა მომაკითხავდა, ჩამაცმევდა და შინისაკენ გზას ერთად გავუყვებოდით. ისე ხდებოდა, რომ ყოველთვის ზღვის სიახლოვეს ვხვდებოდით; დედა ჩანთიდან პურის ნაჭრებს ამოიღებდა, გამომიწვდიდა და მეტყოდა: – აბა, დაიგა, შეხედე ირგვლივ რამდენი თოლიაა! მიდი, პურის ნამცეცები დაუყარე, შენი სულაც არ ეშინიათ, შენც ნუ შეგეშინდება მათი!.. თოლიები საჭმელს ყიჟინით ეცემოდნენ, იქაურობას მოასუფთავებდნენ თუ არა, დიდი ჟივილ-ხივილით ისევ ზღვისკენ მიფრინავდნენ... ჩვენ გზას ვაგრძელებდით; დედა და-ძმებისთვის ტკბილეულს იყიდდა და ასე ხელდამშვენებულნი მივდიოდით შინ. თუ მზიანი დღე იყო, რაც ჩვენს მხარეში იშვიათია, ყველანი სანაპიროს მივაშურებდით – ვთამაშობდით, ვირუჯებოდით, მამა ცურავდა და მერე ძალიან შორიდან გვეძახდა, იცინოდა და ხელებს გვიქნევდა...

არ ვიცი რა მოხდა, პოლიტიკისა, აბა, რა გამეგებოდა?! ხუთი წლისა ვიქნებოდი, მეექვსეში, რომ უცებ ჩვენს ბედნიერ ოჯახში ყველაფერი თავდაყირა დადგა; გაგვიჭირდა, ამას იმით მივხვდი, რომ დედა ტკბილეულს აღარ ყიდულობდა, აღარც ბაღში დავყავდი... ხშირად ნახევრად მშივრები ვიძინებდით...

მშობლებმა ერთმანეთში კამათს, კინკლაობას და სიუხეშეს უმატეს... 80-იანი წლები იწურებოდა...

ერთხელაც, კარგად შემფუთნეს და ყველანი ქალაქის მოედნისკენ წამოვედით, იქ ავტობუსი იდგა ხოლმე, რომელსაც მგზავრები რიგაში მიჰყავდა. სწორედ იმ ავტობუსთან მივედით... ახლაც თვალწინ მიდგას კადრი, რომელსაც ხშირად სიზმარშიც ვხედავ – ძალიან დიდი მოედანი, ჩამომდგარი ავტობუსი, მშვიდად მდგარი მომლოდინე მგზავრები... ვიღაც, სიმპატიური უცნობი ქალი გვიახლოვდება... მშობლები პირქუში სახეებით ესალმებიან... ავტობუსი მგზავრებით ივსება... დედა გულში მიხუტებს, მამა ხელში მიტაცებს და მკოცნის, მეუბნებიან – და-ძმებს ვაკოცო დაა... მე და ის ქალი ავტობუსში ავდივართ... ქალი კალთაში მისვამს... ავტობუსი ნელი სვლით ტოვებს მოედანს... მე ჩემებს ხელს ვუქნევ... სადღაც უკან რჩება ზღვა, ჩემი თოლიები, ფიჭვის ხეები და ნაცნობი შენობები... – ვტირიი?! ალბათ... არ მახსოვს...

მერე იყო სოხუმი, ქართველი დედა, რომლის მზრუნველობამ, სიყვარულმა, სითბომ ყველაფერი წაშალა, ამ კადრის გარდა, რომელიც მეხსიერებამ სათუთად შემომინახა... ასე ვიზრდებოდი... თუმცა, ბედმა აქაც მიმუხთლა – ომი დაიწყო და ყველაფერი, რაც მებადა – ჩემი სახლი, სკოლა, სამეგობრო, არცთუ დიდი სანათესაო, ახალგაზრდული სიხარული და აღმაფრენა... – იქ დამრჩა. იყო ჭუბერის საზარელი, დაუვიწყარი, კვნესა-ცოდვიანი გზა... იმედი... ბოლოს თბილისი, სადაც ნამყოფიც არ ვიყავი...

ვშრომობ, ვიცვლი სამუშაო ადგილებს, რომ ავადმყოფი დედა ვარჩინო, ბინის ქირა გადავიხადო და საკუთარი თავიც გადავირჩინო. – სხვა აღარაფერი მაინტერესებს... მაქვს წუთები, როდესაც რაღაც მანქანებით, გონებაში, ლატვიური სიტყვები ამომიტივტივდება: – მაიზე – პური; ცუკურს – შაქარი; ძინტარს – ქარვა; ლაბდიენ – დღე მშვიდობისა; ლაბვაკარ – საღამო მშვიდობისა; იელა – ქუჩა; პალდიეს – გმადლობთ; ლუძუ – გეთაყვა; ლიდოტ – ფრენა; უზრეძეეშანუას – მშვიდობით... – მაშინ სუნთქვა მეკვრის, თვალებს ვხუჭავ და ვცდილობ ყველაფერი აღვიდგინო... რა თქმა უნდა, შემეძლო და ახლაც შემიძლია ლატვიის საელჩოს მივმართო; დარწმუნებული ვარ, შეძლებენ ჩემების მოძებნას და მომცემენ იმის საშუალებას, რომ ერთხელ მაინც ჩავიდე ლიეპაიეში და ვნახო ისინი, მაგრამ არ მინდა; მშობლებმა გასაყიდად გამიმეტეს! – ნეტა, რამდენად გამყიდეს, რაში დახარჯეს აღებული თანხა, შეერგოთ კი?!. ნეტა, ჩემს გამო თუ იტირეს... ჩემმა და-ძმებმა თუ მომისაკლისეს!.. – თუმცა, მერე გინდა ეტირათ და ევიშვიშათ, ამ „საქმეს“ უკვე აღარაფერი ეშველებოდა, მეც აღარაფრად მინდოდა...

ახლა მე და დედა ბინას ხშირად ვიცვლით, ყოველ ჯერზე შედარებით იაფს ვეძებთ... ძირითადად ქალაქის გარეუბნებში ვცხოვრობთ... მიჭირს ადამიანებთან გულგახსნილი ყოფნა... საერთოდ, გადაწყვეტილი მქონდა, ჩემ შესახებ არასოდეს არავისთვის მომეთხრო; – ეტყობა, უთქმელობამ იმდენად შემაწუხა, რომ გუდას პირი მოვხსენი და პიროვნული ტრაგედია გაგიზიარეთ... დამეთანხმებით, ასეთ საჩოთირო ამბებზე საუბარს ყველა ერიდება... ჩემი გარეგნობის, ჯიშის გარდა, ჩემს ქვეყანასთან აღარაფერი მაკავშირებს... მიყვარს საქართველო და ჩემი ქართული გვარი... ლატვიური სახელი კი დედას ისე მოეწონა, რომ არ შემიცვალა...

მე მოგენდეთ, ახლა თქვენ იცით... იყავით კარგად; მჯერა – ღმერთი მოწყალეა! – პატივისცემით დაიგა“.

სამი კვირაა ქალბატონი მარიამი მაღაზიას სიახლოვეს არ ეკარება, შორიდან უვლის, ერიდება, შიგნით შესვლა ვერას დიდებით ვერ გადაწყვიტა. ყოფას, რაღაცნაირად, დათრგუნული აგრძელებს;

კარგა ხნის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა – შესულიყო, დაიგას მოფერებოდა და სულის ტკივილი ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა.

მაღაზიაში დაიგას თვალი რომ ვერ მოჰკრა, იქვე, საქმეში გართულ მეპატრონეს ჰკითხა: – ახალგაზრდა გოგო საითაა, დღეს არ მუშაობს?!.

კაცმა გაკვირვებით გამოხედა: – ეტყობა, ვიტრინაზე გამოკრული წარწერა არ შეგინიშნავთ, ახალ გამყიდველს ვეძებთ, ჩვენს პირობებს რომ დააკმაყოფილებს... ახალგაზრდა გოგო კი, თუ არ ვცდები, უკვე მეხუთე კვირაა, რაც საკუთარი სურვილით წავიდა... არ უთქვამს, სად გადავიდა... აი, ქალბატონო, ასეა საქმე!

საუბარი მარიამის მობილურმა შეაწყვეტინათ. მესიჯს გასათხოვარი, რომანტიკული ნათლული უგზავნიდა: – „ნათლია, მალე ჩამოდით, სოფელში გაზაფხულია! გამთენიისას ჩიტები უსტვენენ და ერთმანეთს უხმობენ, ბუდეებს იკეთებენ; შავ შაშვებს, წლებია, ჩვენს სუროში მუდმივი საცხოვრებელი აქვთ... ჯერ გაულესავ, ბლოკით ამოვსებულ ფანჯარაში, ვხედავ, ბელურა შეფრინდა; პატარა ნაპრალი ყოფილა დატოვებული (როგორ იპოვა?!); ნამდვილად ოჯახის მამაა, შევიდა – თავისებს დახედა! გამოვიდა, მიდამო მოათვალიერა... სიცივისგან გაბურდულია, თუმცა ბედნიერი... ალბათ, იქ თავის პატარა ბელურა დახვდა!.. ნეტავი, ვიყო ჩიტი!..“

ყველა თავისი სიხარულითა და საწუხარით ცხოვრობდა; მარტის ქარიც კი, რომელიც სველი, გაწეწილი თმებით, ხელებგაშლილი აგრძელებდა სევდიან ქროლვას... მხოლოდ ცა იყო ლაღი და უკიდეგანო.

„ეს ზღაპარი არაა, სინამდვილეა“...



ივანე ჯაფარიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
დავით აღმაშენებლისა და
ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი,
მთამსვლელ ჯაფარიძეთა ოჯახის მემკვიდრე

ზუსტად არ მახსოვს, რომელი წელი იყო, შესანიშნავი მკვლევარი ზეინაბ ლომჯარია ტელეფონით შემეხმიანა და ალიოშა ჯაფარიძის გარდაცვალების წელი დააზუსტა, მშობლებისა და და-ძმის სახელებიც იკითხა. შემდეგ კი ოჯახის განცხადება წამიკითხა ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. რამდენიმე ხნის შემდეგ, „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის“ 2008 წ. №1 ჟურნალ „რაინდში“ დაიბეჭდა პროფესორ გელა საითიძის სტატია: „პირზე ღიმილი შერჩათ იმ გმირებს“, რომელიც 1921 წლის თებერვალ-მარტში, ბოლშევიკური რუსეთის შეიარაღებული დამპყრობლების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული იუნკრების ხსოვნას ეძღვნებოდა...



ალიოშა ჯაფარიძე

აღნიშნულ სტატიაში სრულად იყო მოტანილი განცხადება, რომელიც ჩემი ოჯახის დაუჯერებელ და ტრაგიკულ ისტორიას ეხება და გაზეთ „სოციალ-ფედერალისტის“ 1921 წლის 11 მარტის № 15-ში იყო გამოქვეყნებული **(„ღრმად დამწუხრებული მშობლები: ბიჭია და ლიდა, დები ივდიტორი და ალექსანდრა, ძმები კალისტრატი, სიმონი და ნოე ჯაფარიძეები; რძალი მარიამ ჯაფარიძისა და სიძე იოველ საყვარელიძე უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესვთ, ნაცნობთ და მეგობართ სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო დარგის სტუდენტის, მათთვის დაუვიწყარის ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძის ტრაგიკულად დაღუპვას 23-24 თებერვალს კოჯრის ბრძოლაში. გამოსვენება პარასკევს, 11 მარტს, 4 საათზედ. მოსკოვის შესახვევიდან, სახლი № 6, დაკრძალვა სამხედრო ტაძრის გალავანში“).**

ერთი შეხედვით, საოცარი და საკვირველი ამ ჩვეულებრივ განცხადებაში თითქოს არაფერია – ოჯახი, ბრძოლაში დაღუპული სტუდენტის დაკრძალვის შესახებ აუწყებს საზოგადოებას. მაგრამ პარადოქსულობა ის გახლავთ, რომ სამგლოვიარო განცხადების მთავარი მოქმედი პირი, შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი მთამსვლელი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ალპინისტური სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი, უშბაზე პირველი ქართული ასვლის ხელმძღვანელი, ინჟინერი **ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძეა,** რომელიც ბოლშევიკების საქართველოში შემოჭრის დროს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო და თავის უფროს ძმასთან, შემდგომში ასევე ცნობილ ალპინისტთან და გეოლოგთან, ლოპოტის მარმარილოს საბადოს აღმომჩენ სიმონ ჯაფარიძესთან ერთად, მართლაც ,იბრძოდა კოჯრის ფრონტზე დამპყრობელი რუსეთის მე-11 არმიის წინააღმდეგ.

ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძედ მიღებული და სამხედრო ტაძრის გალავანში 1921 წელს დაკრძალული უცნობი მეომრის კუბოსთან. მარცხნიდან: ალექსანდრა ჯაფარიძე (ალიოშას და), მარიამ ჯაფარიძისა (რძალი), ძმები კალისტრატე და ნოე ჯაფარიძეები

მაშ, რატომ გამოქვეყნდა 1921 წლის 11 მარტის გაზ. „სოციალ-ფედერალისტის“ № 15-ში ოჯახის განცხადება, **ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძის** კოჯრის ბრძოლაში 23-24 თებერვალს ტრაგიკულად დაღუპვისა და სამხედრო ტაძრის გალავანში მისი დაკრძალვის შესახებ?

რასაც ახლა გიამბობთ, შეიძლება დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ იგი გამოგონილი ამბავი, ჩემი ან სხვისი ფანტაზიის ნაყოფი არ გახლავთ. ეს ჩვენი ოჯახის მწარე სინამდვილეა, თუმცა ჯაფარიძეთა ოჯახის ტრაგედიები მხოლოდ ამით არ ამოწურულა.

საქართველოში და მის საზღვრებს გარეთაც კარგადაა ცნობილი და-ძმა – ალექსანდრა, სიმონ და ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძეების ღვაწლი და დამსახურება ალპინიზმის ისტორიაში.

ალექსანდრა – მსოფლიოში პირველი მთამსვლელი ქალი იყო, ვინც უშბასა და თეთნულდზე ფეხი შედგა და კავკასიონის სხვა ურთულესი მწვერვალები დალაშქრა.

სიმონი – გეოლოგი და ქართველ მთამსვლელთა პირველი მსხვერპლი იყო კავკასიონზე, რომელმაც 1929 წელს, გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოწყობილ ექსპედიციაში, თეთნულდზე ასვლის დროს, განსაცდელში ჩავარდნილი პიმენ დვალის გადასარჩენად ყველაფერი იღონა, მაგრამ მისი გადარჩენა მაინც ვერ შეძლო და ისიც მასთან ერთად გადაიჩეხა თეთნულდის ყინულოვან ნაპრალებში.

ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძე ქართული ალპინიზმის აღიარებული ლიდერი, პამირისა და კავკასიონის მთათა სისტემების მკვლევარი, ალპინიზმში ტექნიკურად რთულ მწვერვალებზე ასვლების ფუძემდებელი, 1945 წელს, უშბა-შხელდის სარეკორდო ტრავერსის დროს, საქართველოში მოულოდნელად შემოჭრილი ციკლონის შედეგად მოსულმა ზვავმა იმსხვერპლა, უშბის მწვერვალიდან დაბრუნებისას გულის მყინვარზე კარავში ღამის სათევად შეფარებული თავის ჯგუფის წევრებთან ერთად...

მხოლოდ 12 წლის შემდეგ, 1957 წელს, გულის მყინვარზე შემთხვევით წააწყდნენ ალიოშა ჯაფარიძის ნეშტს ქართველ მთამსვლელთა ჯგუფის წევრები ავთანდილ ძიძიგურის ხელმძღვანელობით. როგორც ჩვენი სასიქადულო მწერალი და მთამსვლელი ლევან გოთუა წერდა: „უშბამ პირველად დააბრუნა თავისი მსხვერპლი“. ალიოშა ჯაფარიძე თბილისში ჩამოასვენეს და ახლანდელი ვერის (მაშინდელი კიროვის) პარკში დაკრძალეს მისივე სახელობის საქართველოს ალპური კლუბის მახლობლად...

ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძის ცხოვრების გზა ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითში დაიწყო 1899 წლის 20 თებერვალს. დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია, გახდა ახლად გახსნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი და... დადგა 1921 წლის საშინელი თებერვალი... სამშობლოს გამყიდველი, გადაგვარებული ქართველები, სხვა მანქურთებთან ერთად, საქართველოს ასაწიოკებლად და დასამონებლად შემოუძღვნენ ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმიის კაციჭამიათა ბრბოს...

ღირსებისა და სამშობლოს დასაცავად ფეხზე დადგა სრულიად საქართველო...

დიდებული ქართველი მამულიშვილები: ალექსანდრე ლომთათიძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, შალვა ნუცუბიძე, სხვანი და სხვანი ქუდზე კაცს უხმობდნენ სამშობლოს გადასარჩენად...

გულის შემძვრელი იყო ახალგაზრდებისათვის უსაყვარლესი მასწავლებლის, უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილის თვალცრემლიანი მიმართვა სტუდენტობისადმი: „შვილებო! ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და აი, მეც თქვენ დღეს იარაღისკენ მოგიწოდებთ“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 18.02.1921).

რექტორის გულმხურვალე სიტყვამ აღანთო და გაასალკლდევა ქართველი ახალგაზრდების რწმენა, რომ რუსი ბარბაროსებისაგან – „წითელი ჭირისაგან“ უთუოდ იხსნიდნენ თავიანთ სამშობლოს...

ამ საყოველთაო მოწოდებას,ბუნებრივია,მამულის სიყვარულით გულანთებული ძმები – სიმონ და ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძეებიც შეუერთდნენ და დაუყოვნებლივ მიაშურეს ფრონტს...

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა თბილისის შემოგარენში... ახალგაზრდა ქართველ პატრიოტთა სასაკლაოდ იქცა კოჯორი და ტაბახმელა...

ერთ დღესაც, თბილისში ხმა გავარდა: – კოჯორში ბოლო შეტაკებების დროს მრავალი ახალგაზრდა დაიხოცა, დაღუპულები სატვირთო ავტომანქანებით თბილისში ჩამოჰყავთ, ვერის სასაფლაოზე (ახლანდელი ვერის ბაღი) დაასვენებენ, ყველას აქვს უფლება ამოცნობის შემდეგ თავისი მიცვალებულს უპატრონოს, ხოლო ვისაც ჭირისუფალი არ გამოუჩნდება, მათ საძმო საფლავში ერთად დაკრძალავენო.

დაღუპულ მებრძოლთა ჩამოსვენებისთანავე ენით აუწერელი უბედურება დატრიალდა თბილისში. ვისაც ოჯახის წევრის შესახებ ამბავი ვერ გაეგო, ყველა სასაფლაოს მიაწყდა, იყო მიცვალებულთა ძებნა-ამოცნობა, მოთქმა-გოდება და გულისშემძვრელი გლოვა. მთელი ქალაქი სასაფლაოს მიეჯაჭვა...

მიცვალებულები ახალი ჩამოსვენებულები იყვნენ, ახლო ნათესავმა ჯაფარიძეთა ოჯახში ამბავი მიიტანა – სასაფლაოზე ვიყავი და ერთი მიცვალებული ალიოშას მივამსგავსეო. სახლში ვინღა გაჩერდებოდა...

დაჭრილ-დასახიჩრებულ, დაბინტულ მიცვალებულთა შორის ნახეს ცხედარი, რომელიც თმის ფერით და სახის ოვალით, მართლაც, წააგავდა ალიოშას, მაგრამ ოჯახის წევრებს გამხდარი და სახეშეცვლილი ეჩვენათ, რომელსაც გამონაჟონი სისხლი კეფასა და შუბლზე ჰქონდა შემხმარი. ერთი კი შეყოვნდნენ, მაგრამ საბოლოოდ რომ დარწმუნებულიყვნენ,გადაწყვიტეს,ენახათ სამუდამო დამღა, უტყუარი ნიშანი – ალიოშას წვივის მიდამოში ძაღლის ნაკბენი ემჩნეოდა. მიცვალებულს შარვლის ტოტი აუწიეს და... ზუსტად იმ ადგილას (?!), სადაც ელოდნენ, ძაღლის ნაკბენი ნახეს...

საეჭვო თითქოს აღარაფერი იყო, მიცვალებული სახლში წამოასვენეს... გააპატიოსნეს... წესი აუგეს... 1921 წლის 11 მარტს, სამხედრო ტაძრის გალავანში პატივით დაკრძალეს კოჯრის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტი ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძე, რის შესახებაც გაზეთით ეცნობა საზოგადოებას...

უმძიმესმა გლოვამ დაისადგურა და ძაძებით შეიმოსა ჯაფარიძეთა ოჯახი,უსაზღვროა მწუხარება... მოხუცი მშობლების ცოდვით იწვოდა ყველა... ნათესავ-მეგობართა და თანამგრძნობთა ნაკადი დაკრძალვის შემდეგაც არ წყდებოდა მოსკოვის ქუჩის შესახვევის №6 სახლში.

მეგობრის ტრაგიკულ დაღუპვას გულწრფელად განიცდიდნენ ალიოშას, სიმონის, ალექსანდრას მეგობრები, მაგრამ განსაკუთრებით დამწუხრებული იყო ალიოშას ერთგული და განუყრელი მეგობარი ნიკოლოზ (კოკი) ჭეიშვილი, რომელიც არ სცილდებოდა „მეგობრის“ კუბოს...

დაკრძალვის შემდეგაც, თითქმის ყოველდღე აქაა კოკი, ყოველნაირად ცდილობს დარდი შეუმსუბუქოს ოჯახის წევრებს...

ერთ საღამოს, ჯაფარიძეების ოჯახიდან წამოსული კოკი, შინისაკენ ნელი ნაბიჯით მიემართებოდა (ცხოვრობდა მაშინდელ პაპანინის, ამჟამად სარაჯიშვილის ქუჩაზე) და „ზემელზე“, ტრამვაის გაჩერებაზე (ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობის წინ), უეცრად თვალი მოჰკრა ფარაჯიან ნაცნობ სილუეტს, რომელიც სვლაშენელებული ტრამვაის უკანა ვაგონიდან სპორტული სიმსუბუქით ჩამოხტა. კოკი ჭეიშვილმა ფარაჯიანს ერთი კი შეხედა და... თითქოს თვალებიდან აბლაბუდას იცილებსო, ანგარიშმიუცემლად ხელების ქნევა დაიწყო,მოსწყდა ადგილს და უკანმოუხედავად მოკურცხლა, მაგრამ ტრამვაიდან ჩამომხტარი კაცის ნაცნობი ხმა რომ დაეწია გზაში, ადგილზე გაშეშდა, გაოგნებული შემობრუნდა და უახლოესი მეგობრის – ალიოშა ჯაფარიძის გაოცებულ მზერას წააწყდა, რომელიც რამდენიმე დღის წინ „მიაბარა მიწას“.

– რა იყო, ბიჭო, რამ გადაგრია, გიჟივით რომ მოწყდი ადგილიდან?! – ღიმილიანი ხუმრობით მიაგება სიტყვა მეგობარს და გადაეხვია. „დაშოშმინებულმა“ კოკიმ დაწვრილებით უამბო ალიოშას მისი „სიკვდილისა“ და „სობოროს“ გალავანში „პატივით დასაფლავების“ შესახებ და დასძინა:

– ახლა თქვენებიდან მოვდივარ, ვერ წარმოიდგენ რა დღეში არიან, მოულოდნელად სახლში რომ მიხვიდე, ჭკუიდან შეიშლებიან, ავბრუნდები, იქნებ როგორმე შევამზადოო.

კოკიმ ალიოშა იქვე, თავის სახლში დატოვა,თავად კი ისევ ჯაფარიძეებთან აბრუნდა „მომზადებული

ლეგენდით“ და ოჯახს განუცხადა: – ახლახან, თქვენიდან წამოსულს, გზაში კოჯრის ფრონტიდან დაბრუნებული ერთი ნაცნობი შემხვდა, რომელსაც ალიოშას ამბავი რომ მოვუყევი, მითხრა, რამდენიმე დღის წინ ვნახეო. დღეს კოჯრიდან სხვებიც ბევრნი ჩამოსულან, წავალ, იქნებ სხვა ნაცნობებიც ვნახო და რაიმე ახალი გავიგოო.

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რას ნიშნავს იმედის გაჩენა უიმედო მდგომარეობაში მყოფი დამწუხრებული ადამიანისათვის...

ცოტა ხნის შემდეგ, კოკი ჭეიშვილი კვლავ მიბრუნდა ჯაფარიძეებთან „ახალი ამბებით დატვირთული“ და უფრო იმედიანად განაცხადა, რომ ნახა კოჯრიდან დაბრუნებული რამდენიმე პიროვნება, რომელთაც გუშინ თუ გუშინწინ უნახავთ თბილისში წამოსასვლელად გამზადებული ალიოშა და დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად გამოჩნდებაო. ამ ამბით გაიხარეს მშობლებმა და ოჯახის წევრებმა, მხოლოდ ალექსანდრა დაეჭვდა და სთხოვა კოკის მისთვისაც ეჩვენებინა „კოჯრიდან დაბრუნებული მეგობრები“; კოკი დაჰპირდა: – დღეს უკვე გვიანაა, ჩამოსულებს ხვალ შეგახვედრებო. მშვიდობიანი ღამე უსურვა ყველას და შინისკენ გაეშურა. ალიოშას დაწვრილებით უამბო „წარმატებულად ჩატარებული ოპერაციის“ შესახებ და 10-15 წუთის შემდეგ, ორივენი უკვე ჯაფარიძეების ოჯახში, გაბედნიერებული მშობლებისა და დ-ძმის გარემოცვაში ისმენდნენ გარდასულ დღეთა პერიპეტიებს.

ბედნიერებისა და სიხარულის განცდამ მყისვე დაანგრია მწუხარებისა და გლოვის სამანი...

ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა ერთი შეხედვით, ეს დაუჯერებელი ამბავი, ჩემმა გამზრდელმა მამიდამ, ლეგენდარულმა მთამსვლელმა ალექსანდრა ჯაფარიძემ მიამბო. მაშინ, როგორც ჩანს, ოჯახის ეს ისტორია მხოლოდ რომანტიკულობით შეფერადებულ მოთხრობად აღვიქვი. ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებდი ტრადიციული ქართული ოჯახის ზემოთ აღწერილი ისტორიის ტრაგიკულობას ქვეყნის, სამშობლოსა და ხალხის ბედთან დაკავშირებით.

ახლა ეს აღარ გვიკვირს, დღეს ყველამ ყველაფერი ვიცით, მაგრამ მაშინ ხომ ისე გვასწავლიდნენ, თითქოს, მე-11 არმია იყო ჩვენი ქვეყნის „ნათელი მომავლისა და ბედნიერების მომტანი“, რუსეთი კი „ჩვენი უფროსი ძმა“. რა გვიყო „უფროსმა ძმამ“ ეს ზემოთ აღწერილ ამბავშიც კარგად ჩანს, ხოლო კიდევ როდის და რას მოიმოქმედებს ჩვენს წინააღმდეგ, ამის წინასწარმეტყველებას საუკეთესო გულთმისანიც ვერ შესძლებს.

ერთი ოჯახის ეს ტრაგედია, ქვეყნის ისტორიისთვისაც მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგან არავინ იცის ქართველთა რამდენი ოჯახი აღმოჩნდა მსგავს მდგომარეობაში. განა ალიოშა ჯაფარიძის ნაცვლად დაკრძალული იუნკერი თუ სტუდენტი ბიჭის ოჯახიც იგივე ტკივილს არ განიცდიდა?! ან უფრო მეტსაც, რადგან თავისი ოჯახის წევრის ასავალ-დასავალიც ვერ გაიგეს, მიუხედავად მისი „სობოროს“ გალავანში პატივით დაკრძალვისა.

ჩემი მხრივ, არ შემეძლო არ გამოვხმაურებოდი 1921 წლის 11 მარტის გაზ. „სოციალ-ფედერალისტის“ №15-ში გამოქვეყნებულ ოჯახის განცხადებას, რათა ყველასათვის გასაგები გამხდარიყო, რომ 1921 წლის 11 მარტს, პარასკევ დღეს, სამხედრო ტაძრის გალავანში პატივით დაკრძალეს კოჯრის ბრძოლაში დაღუპული არა ალექსანდრე (ალიოშა) ბიჭიას ძე ჯაფარიძე, არამედ სხვა, სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირული უცნობი ჭაბუკი მებრძოლი, რომელსაც, ვინ იცის, იქნებ დღემდე დაეძებენ შთამომავლები და ახლობლები.

თავიანთი გმირი წინაპრის ბედის გასარკვევად, ამ წერილთან ერთად ვაქვეყნებ ჩვენი ოჯახის არქივში შემონახულ, ზემოთ აღწერილი ისტორიის ამსახველ 94 წლის წინანდელ ფოტოს, რომელიც მკითხველისთვის შესაძლოა, არცთუ სასიამოვნო სანახავი იყოს, მაგრამ, იქნებ ამ ფოტოსურათით 1921 წლის თებერვლის ავბედითი დღეების სისასტიკის მსხვერპლი კიდევ ერთი ოჯახის ისტორიაც გაირკვეს და დაზუსტდეს.

სანთელ-საკმეველი ხომ თავის გზას არ კარგავს!

მაჩიკა ნიჟარაძე

ო მ ი

ბებიაჩემი სულ ომში იდგა –
ბალახს ებრძოდა.

მისი ეზო პატრონივით ლამაზი იყო.
თავმომწონეც ამ პატრონივით.
განა ასე ადვილი იყო,
ამ ეზოში არ შემოეშვა მტრის ლეგიონი?
განა ასე ადვილი იყო
მიწის ყველა ფორის დაგმანვა,
ეზო-კარის მოლამაზება,
როცა ცალ მხარეს
ფესვაბჯრიანი მთელი ხმელეთი,
მეორე მხარეს –
ერთი სუსტი დედაკაცი იდგა, მარტოკა?!

მთელი ცხოვრება
ავშანს, აკანთოს, მრავალძარღვას,
ომბალოს, შვიტას,
ხვართქლას, ალერდს, ანწლს, ანისონას,
მატიტელას, ასკილს, ფარსმანდუკს,
ბაბუაწვერას, სვიას, კალამას,
ჯიჯილაყას, სამყურას, გულბანდს,
დუგუმს, დუცს, ეკალს,
ენდროს, კაჭაჭს, ვარსამას, მაყვალს,
თავშავას, ნარს, ტუხტს, თოფჩას, ისარას,
ირემას, ჭინჭარს,
კალუნას, უცუნს, კრაზანას, ღვარძლას,
ლაფანს, მათირას,
ნაცარქათამას, ია-იას, ჭორტანს, რქათავას,
ყანისჭლექს, პიტნას, შაშვიპურას, ბაიას, ჩირახს,
ცახს, ჭარაბალახს, ხარისძირას,
სელიჭას, სვინტრას, ტილჭირას,
სალბს, ურცს, ურიშას,
ფრინტას, ქარქვეტას, ღანძილს, ლენცოფას...
ყველას სწვდებოდა მისი თითების მარყუჟები,
ყველა მისი მოხელილი ჟალტამის იყო,
ყველა მისი ჟვერის ნახელთი,
მკვდარიც, დაჭრილიც, თვალდათხრილიც,
ხერხემალში გადამსხვრეულიც.

ომში იდგა ბებიაჩემი – ბალახს ხელავდა.
მთელი ცხოვრება ომებს შორის
ახამებდა ლამაზ კაბებს და თეთრ ტილოებს...
როგორც რკინის აბჯრის რგოლები, სათითაოდ
ამოჰყავდა ქსოვილზე ძაფი, ძაფზე ნასკვი,
მერე სითვი, გვირისტი, ფოჩი,
მერე ნიკბი, მერე რუში, ისევ ნასკვი,
საბადე ისევ,
ისევ ნაოჭი, რომ დიდი ომი გადაეხადა
ცხოვრებასთან ცალუღელშებმულს,
და არასდროს დამჩნეოდა დაღლა ბრძოლაში,
ასე ფესვით, ასე კალამით, ასე ბწკალით
წნიდა მიწას, ჰაერს, წყალს და ცეცხლს,
ერთმანეთში აწნიდა მკვრივად,
გვარლებს წნიდა სისუფთავისგან, სიცოცხლეზე
მოსაჭიდებლებს.
აბა, ერთი შეგეხედათ მის ნაქარგებზე
და მიწის გულშიც ჩაგეხედათ,
რომელი სჯობდა ან სიმკვრივით,
ან სიმწყობრით ან სილამაზით?!
ორთავენი თავს არ ზოგავდნენ,
მეტოქეობაც არ ერქვა ამას,
ორი სიტყვის, „სიცოცხლესა“ და
„ცხოვრებას“ შორის
რაც არსებობს, აი, ეგ იყო მთელი ომი,
მაგ ფესვის იყო.

და კრიალებდა მისი ეზოს მიწა ამაყად,
ვინ გაბედავდა ამ მიწაზე ამოსულიყო,
იცოდნენ, მაღლა ბებო იდგა,
დაუზარელი, გულოვანი, ხელცეცხლიანი,
ეზო-კარის მთავარანგელოზს

მისი ხელის მტევნები ება,
მის თითებში ჩაებღუჯა სამტრო ისარი –
ცოცხი, ნემსი, ყაისნაღი, ქვაბი, გობურა.
რისი თოხი, რისი ბარი, რისი კალამი,
რა გაუძლებდა ამ ქალის ხელებს,
შემაშინებლად მოუსვენრებს,
გამრჯეს, კეთილს და
ათასფერა ყვავილების
და ლექსების მქარგველს
თეთრ ტილოებზე და ქაღალდებზე
შავი მიწის გულის დამხატველს?!
მოკეთესაც ეშინოდა, განა მარტო მტერს?!
მის აბაჟურებს ღამის პეპლებიც
სულ სხვა კრძალვით ეხეთქებოდნენ.

მხოლოდ ვარდებს სწყალობდა იგი,
ჩაის თეთრ ვარდებს,
ვარდებს, მიმოზებს, მაგნოლიებს –
თავისი კარის ლამაზმანა ფროილაინებს
(ჩემი ბებო ხომ პოეტი იყო).

ჰოდა, ელოდნენ ბალახები თავიანთ დროს,
სიცოცხლის სიბრძნით განაკვებები.
იცოდნენ, მიწას ვერ ასცდებოდნენ,
ამ ეზოში, როგორც ომში,
უხილავიც ხილულის მხარეს
იდგა, იბრძოდა სისუფთავის ქიმერისათვის.
ან რა ვიცოდით, ამაოება რას ერქვა მაშინ?!

ელოდნენ მიწის დახავსილი გადაღმეთიდან,
დასცინოდნენ ვარდებს, მიმოზებს,
ბებიაჩემის ხელის შემყურე ფუქსავატებს,
სიველურის ნასახიც რომ არ ედგათ ტანში,
რომ არაფერი გაეგებოდათ
ბალახის ჯიშის გამძლეობის,
უნდობლობისა,
რომ ბალახს მხოლოდ ბებოჩემის
მსგავსი ქალები ეომებიან,
ეომებიან და ამარცხებენ და
სიცოცხლეს იხდიან ფასად.
ასწლიანი ომის არ იყოს,
ეს ომიც დიდხანს,
ძალიან დიდხანს გრძელდებოდა,
ბოლოს დასრულდა
და შერიგდნენ სამარადისოდ ჩემი ბებო და
ჩვენი ეზოდან გადათხრილი ყველა ბალახი.
მშვიდობა დადგა.
დადგა მშვიდობა.
ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

და რისი ვარდი, რისი მიმოზა,
რისი ვეება მაგნოლიები?!
ის ეზო უკვე იმათია, მხოლოდ იმათი!
მიწადქცევის ძველი ლოცვა
აღასრულა ისევ ბალახმა,
დაიბრუნა ფესვის ხსოვნაში
გადანახული სამოთხეები.
ჰეი, ლაზარევ, გინდა მოდი, გინდა, ნუ მოხვალ,
მაგათ საკუთარ სხეულში უდგათ
თავიანთი წვიმები და
აღარაფრის ეშინიათ –
მათ სიკერპეს ხომ ბებოჩემის სხეულიც კვებავს.
ან ვინ აჯობებს:

ავშანს, აკანთოს, მრავალძარღვას,
ომბალოს, შვიტას,
ხვართქლას, ალერდს, ანწლს, ანისონას,
მატიტელას, ასკილს, ფარსმანდუკს,
ბაბუაწვერას, სვიას, კალამას,
ჯიჯილაყას, სამყურას, გულბანდს,
დუგუმს, დუცს, ეკალს,
ენდროს, კაჭაჭს, ვარსამას, მაყვალს,
თავშავას, ნარს, ტუხტს, თოფჩას, ისარას,
ირემას, ჭინჭარს,
კალუნას, უცუნს, კრაზანას, ღვარძლას,
ლაფანს, მათირას,
ნაცარქათამას, ია-იას, ჭორტანს, რქათავას,
ყანისჭლექს, პიტნას, შაშვიპურას, ბაიას, ჩირახს,
ცახს, ჭარაბალახს, ხარისძირას,
სელიჭას, სვინტრას, ტილჭირას,
სალბს, ურცს, ურიშას,
ფრინტას, ქარქვეტას, ღანძილს, ლენცოფას...

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სადაც სიყვარულს კლავენ, იქ ბედნიერება ვერ დაივანებს

გარკვეულ მიზეზთა გამო გვარ-სახელები შეცვლილია

(ნამდვილი ამბავი)

„ქალაქი ჩემი – უბიწო ცხოვარი – აღარ იმწყემსება, წასულა მწყემსი მისი.
ხარს ჩემსას სადგომიდან აღარ დენიან, წასულა მეხრე მისი.
ცხვარს ჩემსას ფარეხიდან აღარ დენიან, წასულა მაძოვარი მისი.
არხები ჩემი ქალაქისა ქვიშით ამოივსო, მათ კალაპოტში წყალი აღარ ჩქეფს, წასულა მეურნე მისი.
ყანებში ჩემი ქალაქისა ხორბალი განქარდა, წასულა მუშაკი მათი.
ყანები ჩემი, ვითარცა ყამირი, ძეძვს აღმოაცენებს...“

„გუთიუში მთიანეთის ურჩხული ღმერთების მოშულარი, რომელმაც მტრობა ჩამოაგდო, მეულლეს მეულლე წაართვა, მშობელს შვილი წაართვა, შუმერის ქვეყნად მტრობა და სიბოროტე დაამკვიდრა.“

გურისგოდება, ძველი შუამდინარული პოეზია

ისინი ერთი ცის, ერთი მიწის და ერთი ქვეყნის შვილები იყვნენ. მათ ბავშვურ გატაცებას, ჩამოუყალიბებელ გრძნობას და ჯერ კიდევ ნორჩ, გაუფურჩქნავ სიყვარულს ლურჯი ცა დაჰნათოდა და მას არაფერი ემუქრებოდა.

ნათია სოფელ ბზიფის ქართული საშუალო სკოლის მეათე კლასში სწავლობდა. ასტამური კი, რომელიც ნათიაზე ერთი წლით უფროსი იყო, იმავე სოფლის რუსულ-აფხაზური სკოლის დამამთავრებელ კლასში. მათი ურთიერთობის შესახებ არც სოფელში და არც სკოლაში არავინ იცოდა. ისინი ამ სანუკვარ გრძნობას ქვეცნობიერად სათუთად ინახავდნენ და უფრთხილდებოდნენ. უფრთხილდებოდნენ ისე,როგორც დიდ რუსთაველს თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ აქვს ნათქვამი: „სიყვარულსა მალვა უნდა,ვითა ცხენსა ნაპარავსა...“

მათი ეს გრძნობა ბავშვობისას მდინარე ბზიფისპირა ჭალებში სოფლის გოგო-ბიჭებთან თამაშობიდან მოდიოდა და ზრდასთან ერთად იფურჩქნებოდა. გადიოდა ხანი. ბედნიერების ნექტარით დამტკბარნი სიცოცხლის უსაზღვრო ძალით ლაღობდნენ და ერთმანეთს ეფერებოდნენ...

მაგრამ ვაი, რომ ადამიანის ბედნიერება დაუსრულებელი არ გახლავთ და ისევ ადამიანები აუკუღმართებენ ბუნებისგან ბოძებული სიკეთის საოცრებას. ამ მეტამორფოზულ სინდრომს უამრავი ადამიანისთვის მაშინ მოუტანია უბედურება, როცა მას ყველაზე ბედნიერად მიაჩნდა თავი. სწორედ ამ სინდრომმა მოულოდნელად მაშინ შეაღწია ნორჩი გულების სასიყვარულო საუფლოში, როცა ისინი უფრო დიდ ბედნიერებაზე ოცნებობდნენ...

...მტარვალის ხელით ორ მომმე ხალხს შორის დანთებულ ცეცხლს აგვისტოს ხვატის მცხუნვარება უფრო აძლიერებდა. ყველა შიშის ძრწოლით იყო შეპყრობილი, ჰაერიც დენთის სუნით იყო გაჟღენთილი...

სოფელი ბზიფი, როგორც სხვა სოფლები და ქალაქები, ქართველებისაგან იძულებით იცლებოდა. უფრო ქალები და ბავშვები ტოვებდნენ საკუთარ კარ-მიდამოს. ფიზიკურად ძლიერი მამაკაცები და უმწეო მოხუცები სახლში რჩებოდნენ. პირველნი, საკუთარი კუთხისა და კერის დასაცავად, მეორენი კი ხელშეუხებლობის იმედით. თუმცა ორივეს იმედგაცურება ხვდა წილად. ძალ-ღონით სავსე და კუნთმაგარ ვაჟკაცებს ციხის შიგნიდან გატეხვა, ანუ საკუთარი ქვეყნის ვაიმამებისაგან და ძლიერთა ამა ქვეყნისათაგან ღალატი და განწირვა ელოდათ. ხოლო დაძაბუნებულთა უმრავლესობას – გადამთიელთა და მოძმის არმცნობი კაენის ხელით სიკვდილი. ირგვლივ სიკვდილ-სიცოცხლის კალო ილეწებოდა და განმკითხავი არავინ იყო.

ნათია და მისი ოჯახი სოფლის განაპირა სახლში ცხოვრობდნენ და ლუკმა-პურს ალალი შრომით მოიპოვებდნენ. დედა წინა წელს გარდაეცვალა. მამა კი

ომის დაწყებისთანავე მშობლიური კუთხის დასაცავად, ქართველ მებრძოლთა რაზმთან ერთად,ბზიფის მთებში და მის შემოგარენში იბრძოდა. სახლში მხოლოდ მოხუცი პაპა გიორგი და შვილიშვილი იყვნენ დარჩენილნი. მოხუცებულის იმედად მყოფ ნათიას გარეთ გასვლისა ეშინოდა. რადგან ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების გამუდმებული ხმა მას მოსვენებას არ აძლევდა. პაპა შვილიშვილს ამშვიდებდა. გულშემზარავი გრუხუნით შეშინებული გოგონა ხან კედლებს,ხანაც იატაკს ეკვროდა და შიშით ძრწოდა. ასტამური სოფლის ცენტრში ცხოვრობდა და მხოლოდ დღეში ერთხელ,ისიც მალულად,მოდიოდა. საჭმელი და წყალი მოჰქონდა მათთვის. თან ახალ ამბებს უყვებოდა. ამბები კი შემაშფოთებელი იყო. რადგან იმ ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ხმა, მუდამ რომ ისმოდა, სწორედ ორ ძმას შორის იყო ატეხილი და მათი უდანაშაულო სისხლი იღვრებოდა...

ასე გაიარა ორმა თვემ და დადგა ოქტომბერი. სოფელში ამბავი მოვიდა,გაგრა დაეცაო. და სოფლის გადასარჩენად ის ოდნავ მბჟუტავი იმედის ნაპერწკალი ჩაქრა, რომელიც მანამდე სოფელში დარჩენილი ქართველების გულებში ენთო. დაიწყო მოძმის უარმყოფთა და გადამთიელთა თარეში, გამუდმებული ეგზეკუციები,რაც ხშირად დახვრეტით მთავრდებოდა.

სწორედ სოფელ ბზიფში მოკლეს სამშობლოს უანგარო სიყვარულით გულანთებული ვაჟკაცი სოზარ ჩარქსელიანი, რომელიც გუდაუთის მთავარ შტაბში მიჰყავდათ დასაკითხად. იგი საზოგადოება „ლემის“ ლიდერი იყო.

ამ უსამართლობას და სისასტიკეს ბევრი აფხაზი აღუდგა წინ და თავიც გაწირა. სწორედ მსგავსი ამბავი უამბო ასტამურმა ნათიასა და პაპა გიორგის. სოფლის ცენტრში მაშინდელი სახელმწიფო ავტოინსპექციის საპატრულოს წინ ცხოვრობდა სოფელში და მთელ აფხაზეთში ცნობილი პიროვნება მიხეილ აშხარავა. ის გაუკუღმართებულ თანამომძეთ და გადამთიელ არაკაცებს ერთ-ერთი თავაშვებული ეგზეკუციის დროს აშკარად და მკაცრად დაუპირისპირდა,რისთვისაც იგი თავისი სახლის წინ დახვრიტეს. მსგავსი შემთხვევები ხშირად არა,მაგრამ მაინც ხდებოდა. უსწორდებოდნენ ყველას, ვინც მათ მზაკვრულ გეგმას ეწინააღმდეგებოდა.

ერთხელ,როცა ასტამურმა პაპას და შვილიშვილს კვლავ მალულად სურსათი და სანოვაგე მიუტანა და წყლითაც მოამარაგა, ყოველგვარი საფრთხის მოლოდინის გარეშე სახლში დაბრუნდა,სწორედ მაშინ მსტოვართა სახლს შეიარაღებული გადამთიელები მიადგნენ. მასპინძელს უხმეს. მოხუცმა ჭიშკარი გაუღო. დაუპატიჟებელ სტუმრებს ძალდატანებით, მაგრამ ტრადიციული წესით შეეგება და სახლში შეიპატიჟა. სასმელი მოიკითხეს. ღვინოცა და პურ-მარილიც მოგვეძებნებაო, – უპასუხა მოხუცმა და სახლში შეუძღვა. ვიდრე პაპა გიორგი ღვინოს მარნიდან გამოიტანდა, ნათია სუფრის გაწყობას შეუდგა. მოხუცმა ღვინით სავსე ხელადა სუფრაზე დადგა და „სტუმრები“ სუფრასთან მიიწვია. თუმცა დიდი მიწვევა და თავ-პატიჟი მათ არ დასჭირვებიათ. მგლებივით დამშეული მომხვდურთა ჯგრო სვავებივით დააცხრნენ გაშლილ სუფრას. მასპინძელს კი არა, ერთმანეთსაც აღარ ეკითხებოდნენ. კარგა ხანს შეექცეოდნენ ოჯახურ ნოვაგს უხმოდ. მერე, როცა დანაყრდნენ, ერთ-ერთმა, ბანდის უფროსის შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა, არაყი მოითხოვა. მასპინძელმა არაყი გამოუტანა. მეთაურად ცნობილმა ყველას ხალვათად ჩამოუსხა ჭიქებში არაყი, ფეხზე წამოდგა, ყველას მედიდურად გადაავლო თვალი და არაბუნებრივად ამაღლებული ტონით სადღეგრძელო წარმოთქვა: – ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოს! და სასმისი სწრაფად გადაჰკრა. სხვებმაც მიბაძეს. – აბა, მოხუცო,შენც ჩვენთან ერთად შესვი ეს სადღეგრძელო, გარწმუნებ, ეს ომი მალე ჩვენი გამარჯვებით დამთავრდება. აიღე სასმისი და გვითხარი ორი სიტყვა. პაპა გიორგიმ ჭიქა გვერდზე გასწია და „ბოევიკს“ შეხედა.

– რაო, არ გსურს ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელო დალიო?! – მაშინ თქვენი დამარცხებისა დალიე. – დამცინავად უთხრა მეთაურად ცნობილმა ახმახმა და ჭიქა პირთან მიუტანა. მოხუცმა თავი გვერდზე მიაბრუნა და შეურაცხყოფილი განზე გადგა.

– ავადაა პაპა, წამლებს სვამს და ექიმებმა სასმელი აუკრძალეს. – სიტუაციის განმუხტვის მიზნით გამოესარჩლა პაპას შვილიშვილი. – მაშინ მის მაგიერ შენ დალიე ცუგრუმელა. – ირონიულად მიმართა შემკრთალ გოგონას და ხელი ნიკაპზე უხეშად ამოუსვა. მეორე ხელით კი მის მკერდს შეეხო. უზომოდ შეძრწუნებული ნათია საშველად პაპის ზურგს უკან აიტუზა და ცახცახმა აიტანა. შეშინებულ გოგონას ახლა სხვებმა წაატანეს ხელი და მისი გაყვანა სცადეს მეორე ოთახში.

– ხელი არ ახლოთ ბავშვს,თორემ!.. – მრისხანედ შეუტია მოხუცმა მოძალადეებს.

– თორემ რა, რას იზამ, ვითომ? – დამცინავი და გამომწვევი ღიმილით კბილებში გამოსცრა ახმახმა და თავისიანებს თვალით ანიშნა,გაიყვანეთო. პაპა გიორგი მაინც შეეცადა მათ შეგონებას. – მასპინძლობას ვერ დამიწუნებთ, გულღიად დაგხვდით და თქვენთვის პურ-ღვინოც არ დამიკლია. მერე ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ ერთ-ერთი ბოლო სიუჟეტი მომხვდურთ წინ გადაუშალა და ერთხელ კიდევ მტარვალთა მოქცევას შეეცადა. მაგრამ ვაი, რომ მტარვალი გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანის“ პერსონაჟს უფრო ზუსტად განასახიერებდა, ვიდრე „სტუმარ-მასპინძლისას“. იმედგაცრუებულმა მოხუცმა მგლის თავზე სახარების კითხვას თავი ანება და ყოველი შემთხვევისათვის თავდაცვის მიზნით უბეში გადამალული დანა ელვისებურად ამოაძვრინა და თვალის დახამხამებაში მოძალადე ახმახს მთელი ძალით მკერდში აძგერა. სისხლმა შადრევანივით იფეთქა. ახმახი შეტორტმანდა და ვიდრე წაიქცეოდა, ერთხელ კიდევ და უკანასკნელად კბილებში გესლიანად გამოსცრა: – რას უდგახართ, ჩააძაღლეთ ეს ძაღლიშვილი!.. გვერდში მდგომმა ყაჩაღმა მაშინვე ავტომატის ჯერი მიუშვა უკვე გმირად შერაცხულ პაპას, რომელსაც საყვარელი შვილიშვილის დაცვა აღარ შეეძლო.

ზღვად დაღვრილი სისხლის მიუხედავად,მგლური კანონებისამებრ მიატოვეს სისხლში ამოსვრილი ხროვის წინამძღოლი და თავზეხელაღებული გარეწრები გულგახეთქილ ნათიას გაეკიდნენ, რომელსაც თავის ოთახში ჩაკეტვა მოესწრო.

კარები შეამტვრიეს და შიგნით შეცვივდნენ. გონებადაბინდულმა და გამხეცებულმა ნაძირლებმა თავისი ზღვარგადასული ცხოველური ჟინი აისრულეს და ცოცხალ-მკვდარი გოგონა ეზოში დააგდეს. შემდეგ ავტომატის ჯერით საბოლოოდ მოუსპეს სიცოცხლე.

ასტამური მორიგი მოვალეობის შესასრულებლად იმ დროს დაბრუნდა, როცა საშინელი მკვლელობა უკვე დამთავრებული იყო. სულისშემძვრელი სურათი დახვდა გაოგნებულ ჭაბუკს საყვარელი ადამიანების სახლში. უკიდურესად შეძრწუნებული და თავზარდაცემული ველარ აცნობიერებდა სად იმყოფებოდა, რა ხდებოდა მის თავს. როცა ოდნავ გონს მოეგო, სისხლში განბანილ უსიცოცხლო სატრფოს ცხედართან დაიხარა, „მძინარე მზეთუნახავივით“ რომ გამოიყურებოდა და მის ლამაზ სახეს ქვითინით დაეკონა. ტიროდა დიდხანს, მწარედ და თავდავიწყებით. ისევ გონზე მოსვლის შემდეგ, ბაგეებით ნაზად შეეხო მისთვის ძვირფას თვალებს, შუბლზე ეამბორა, თმა გაუსწორა...

ორი დღე მარტომ იგლოვა თავისი შეყვარებული და მისი გმირად დაღუპული პაპა. თუმცა ასტამური 17 წლისა იყო, მაგრამ უკვე კარგად იცოდა, მიცვალებულთა ცხედრებს რომ მიწისათვის მიბარება და ქრისტიანული წესით გაპატიოსნება სჭირდებოდა. სამეზობლო კი დაცლილი იყო და მწუხარების გაზიარებაც არავის შეეძლო. მითუმეტეს, რომ აფხაზეთის ტრაგედიის მომწყობნი მიცვალებულთა ტრადიციისამებრ უკანასკნელ გზაზე გაცილების ნებას კი არა, მათი უბრალოდ მიწისათვის მიბარებასაც არავის ჰპატიობდნენ.

ასტამურმა, ყოველგვარი საფრთხის მიუხედავად, გადაწყვიტა საყვარელი ადამიანების ცხედრებისათვის შემლებისდაგვარად პატივი მიეგო, მაგრამ ისიც კარგად უწყოდა, მარტო ამ საქმეს რომ ვერ შეძლებდა და დახმარებისათვის ვინმესთვის უნდა მიემართა. – მაგრამ ვისთვის? უცებ მის გონებაში ამოტივტივდა სოფელში პატიოსნებითა და სიდარბაისლით სახელგანთქმული ხანდაზმული პიროვნება დარაფეი ხიშბა, რომელსაც ჭირსა და ლხინში რჩევა-დარიგებას ეკითხებოდნენ. თანაც იგი ასტამურის მეზობელი იყო და იცოდა ეს მხცოვანი კაცი ქართველებისადმი აგრესიულად განწყობილ სეპარატისტებს არ თანაუგრძნობდა. ძალიან გაუხარდა ბატონ დარაფეის ასტამურის სტუმრობა, რადგან კარგი ახალგაზრდის ნახვა მას დიდ სიამოვნებასა ანიჭებდა.

როცა გაიგო მომხდარი უბედურების შესახებ, დიდად შეწუხდა და მკვლელების მიმართ განრისხებული შურისძიებისა და სიძულვილის გრძნობით განიმსჭვალა. ატსამურს კი დახმარება აღუთქვა. დარაფეი პაპამ და ასტამურმა მიცვალებულთა სახლის სარდაფში გამონახეს საჭირო მასალები, იარაღები და ჩასასვენებლები გაამზადეს. საღამოს 7 საათისათვის სადარბაზო ოთახში დასვენებულ ცხედრებს ორი მგლოვიარე მამაკაცი ეჯდა. ერთი – უზომოდ დამწუხრებული და თავზარდაცემული თავის სატრფოს და მის გმირ პაპას უკანასკნელად ეთხოვებოდა, ხოლო მეორე – სიდარბაისლითა და სიბრძნით აღსავსე განსვენებულთათვის წესის აგების რიტუალს ასრულებდა. შემდეგ მათ გვერდით ოთახში ტრადიციისამებრ პურითა და ღვინით სულის მოსახსენებელი შესანდობარი აღასრულეს და შებინდებისას ვენახის თავში, სახლთან ახლოს საფლავის თხრას შეუდგნენ. კარგად დაღამებული იყო, როცა ორმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა აფხაზმა პაპას და შვილიშვილს ერთ საფლავში მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი.

ასტამურმა თავისი ძვირფასი ადამიანების სულებს არც სანთელ-საკმეველი დააკლო. ვაჟკაცის ცრემლებით გააცილა მან ისინი სამარადისო სასუფევლის გზაზე...

იმ დროს ბიჭვინთის კონცხსა და ბზიფის შემოგარენს ცნობილი ტერორისტი შამილ ბასაევი, როგორც კომენდანტი აკონტროლებდა. სწორედ მისმა დაგეშილმა „ნაგაზებმა“ და განდგომილმა ვაიაფხაზებმა შეიტყვეს ასტამურის გლოვისა და პაპა-შვილიშვილის დასაფლავების ამბავი და მას სახლში ეწვივნენ. ჩვენთან უნდა წამოხვიდეო, – უთხრეს. იგი გუდაუთის შს განყოფილებაში წაიყვანეს. დაკითხვის შემდეგ იარაღი მისცეს და ერთ-ერთ სადამსჯელო რაზმში ჩარიცხეს.

გუდაუთასთან ახლოს ქართველთა საკონცენტრაციო ბანაკი იყო განლაგებული, სადაც, ძირითადად, მშვიდობიანი მოსახლეობიდან ჰყავდათ ტყვეები დაპატიმრებული. სწორედ ამ ტყვეების მეთვალყურეობა დაავალეს ასტამურს, რომელსაც ეს მოწამებრივი მისია უკიდურეს სულიერ ტანჯვას განაცდევინებდა.

ერთხელ, ასტამურს რაზმთან ერთად ტყვეების დახვრეტა უბრძანეს. ტყვეების რიგს რომ გაუსწორდა რაზმი და უფროსმა სროლის ბრძანება გასცა, ასტამურმა ავტომატის ჯერი ჰაერში დაცალა. თუმცა სიკვდილმისჯილნი მაინც დახვრიტეს და მან იძულებით ერთხელ კიდევ იხილა სიკვდილის კალო, რომელმაც უკიდურესი ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა მასზე. შემდეგ იგი დილეგში ე.წ. ოდინოჩკაში ჩააგდეს. ერთი თვე ჰყავდათ გამოკეტილი ნახევრად მშიერ-მწყურვალი. ამ ხნის მანძილზე იგი სულ გაქცევაზე ფიქრობდა. ბოლოს სიგიჟის სიმულაციის თავისებური მანერები დაისწავლა და, როგორც იტყვიან, საჭირო დროს და საჭირო ადგილზე მან თავისი შეურაცხადობა დაამტკიცა. თუმცა ასტამური სახლში მაინც არ გაუშვეს, მაგრამ შედარებით უმნიშვნელო საქმეზე იყენებდნენ. სწორედ ამგვარმა სამსახურმა და მის „შეურაცხადობაში“ უფროსობის დარწმუნებამ ასტამურს ხელ-ფეხი გაუხსნა. ერთ მშვენიერ დღეს, მან მილიციის შენობა და საერთოდ გუდაუთა დატოვა. ორი კვირის შემდეგ იგი დიდი ტანჯვა-წამებით დედაქალაქში ჩამოვიდა და საქართველოს უშიშროების სამინისტროში გამოცხადდა. ეს იყო 1995 წლის გაზაფხულზე.

ასტამურმა თბილისის შსს-ს სკოლა დაამთავრა და სამინისტროს ერთ-ერთ ქვედანაყოფში ჩაირიცხა. მაშინ თქვენს მონა-მორჩილს ბედნიერება მხვდა წილად ასტამურს შევხვედროდი და მისთვის ექსკლუზიური ინტერვიუ ჩამომერთვა. მან ჩემთან საუბარში განაცხადა: „მე არ შემეძლო მეცხოვრა იმ მიწაზე, სადაც უდანაშაულო ქართველთა ზღვა სისხლი დაიღვარაო.“

ასტამურმა თბილისში სოხუმელი ქართველი გოგონა შეირთო ცოლად და მასთან ერთად ღირსეული ოჯახი შექმნა. იგი დღეს საქართველოს სრულუფლებიანი და ვალმოხდილი მოქალაქეა.

ნომადი ბაჩთაია



ირანელი კლასიკოსები

ომარ ხაიამი
(1040-1123)

* * *

საზრუნავს ჩვენსას აღარ უჩანს თავი და ბოლო,
გვაკლდება შვება, გვემატება ტკივილი მხოლოდ,
დიდება უფალს, არასოდეს დარდი და ურვა
არა გვქონია არავისგან ჩვენ სამათხოვრო.

* * *

ფრთხილად იყავ, საწუთრო რადგან არის მზაკვარი,
ეცადე, ბედისწერით არ დაგებნეს გზა-კვალი.
ეს საწუთრო ასეა, პირში ჰალვას ჩაგიდებს,
მაგრამ შხამსაც გაურევს,
სიტკბო მისცეს სხვაგვარი.

* * *

არა ხამს, გულში მწუხარებამ დაიდოს ბინა,
სამხიარულო შენ დაიდე წიგნები წინა.
დალიე ღვინო, აისრულე წადილი გულის,
ამქვეყნად დიდხანს არ დაგარჩენს —
ვინც გაგაჩინა.

* * *

ბედისწერასთან კაციშვილი ვერაფერს გახდა,
ვერ გაძღა მიწა, საოცნებო მისი ვერ ახდა.
ნუ მოგაქვს თავი, რომ არსებობ, სულ მალე მტერი
თავს დაგადგება შესამუსრად, დარჩები სახტად.

* * *

ვიცი, რას ნიშნავს რაობა და არარაობა,
ვიცი ქვესკნელი და ზესკნელი, მათი სხვაობა.
და, ამავე დროს, ისიც ვიცი, რომ თრობის გარდა
არის ამქვეყნად ყველაფერი საცოდაობა.

* * *

სამყაროს რწმენა და მიზანი —
ჩვენა ვართ მხოლოდ,
გონიერების წყაროს წყალი —
ჩვენა ვართ მხოლოდ.
ეს წრე დიადი სამყაროსი ბეჭედია და
უძვირფასესი მისი თვალი — ჩვენა ვართ მხოლოდ.

* * *

შეხედე, როგორ დაგვმხობია ცარგვალი რისხვით,
მისგან ვერცერთი გონიერი თავს ვეღარ იხსნის.
აი, მე მესმის მეგობრობა დოქის და ჯამის,
მათ ბაგეთ შორის მიმოქცევა ნიადაგ სისხლის.

* * *

ხვალინდელ დღეზე ნუ შეგაკრთობს
დარდი და სევდა,
ამ თვითგვემაში სანუგეშოს, ნეტავ, რას ხედავ.
ილაღე, ძმაო, დასაწყისში რადგანაც საქმის,
მგონი, არავის არ ჰქონია თათბირი შენთან.

* * *

მარადისია ეს სამყარო — ჩვენ არ ვართ მყარი.
სვი ღვინო ამო, გვერდით გყავდეს ლამაზი ქალი.
თუკი მოვკვდები, მეგობარო, სამყარო მაშინ
გინდა ყოფილა მარადისი, გინდ წარმავალი.

* * *

როდესაც ვინმე თავს წამოჰყოფს,
იტყვის — ეს მე ვარ!
ოქრო და ვერცხლით იამაყებს,
იტყვის — ეს მე ვარ!
როცა მთლიანად მისი საქმე აეწყო თითქოს —
მოვა სიკვდილი, მიამიტად იტყვის — ეს მე ვარ!

* * *

რადგან არაფრად არ სჭირდება გონება არვის,
რადგან ბურთი და მოედანი დღეს ბრიყვის არის,
მომეცი იგი, განმაშორებს რაიც გონებას,
იქნებ საწუთრომ მოწყალების მომხედოს თვალით.

* * *

ხაიამ, ღვინით თუ ხარ მთვრალი, ბედს ნუ ემდური,
თუ გვერდით გიზის ტურფა ქალი, ბედს ნუ ემდური.
წარმოიდგინე ეს რაობა არარაობად,
სული რომ გიდგას, გაიხარე, ბედს ნუ ემდური.

საადი შირაზელი

(1203-1292)

* * *

თუ სასახლში არავის იცნობ,
ნუ მიადგები სასახლის კარებს.
თორემ ან ძაღლი, ან კარისკაცი,
უმალვე, როგორც შეგავლებს თვალებს,
ერთი ფეხებში გეცემა, ხოლო
მეორე გისვრის კინწისკვრით გარეთ.

* * *

ვნახე, შუადღე, ულმობელ მტარვალს
ძილისთვის ტკბილად მიეცა თავი.
ვთქვი, რომ ეს კაცი კარგია მაშინ.
როცა მკვდარივით მძინარე არის.
ის, ვინც კარგია მძინარე მხოლოდ,
უმჯობესია, რომ იყოს მკვდარი.

* * *

შენ შეგიძლია, უბრალო ქვითაც
მიჩეჩქვ-მოჩეჩქვო თვით ოქროს თასი,
თუმც, ამით ოქროს არაფერი დააკლდება და
არც მოიმატებს ამით ქვის ფასი.

* * *

თუ მეფემ სისხლი საკუთარი დაღვარა აღარ,
მისი სამეფო დაიღვრება სისხლისგან მაშინ.
უნდა ყოველდღე ერთი მაინც მოიკლას მგელი,
რომ მის ღრიალზე დანარჩენი შეძვრეს ბუნაგში.

* * *

მე ვარ ნაწყენი მეგობრებისგან –
წარმოაჩენენ ჩემს ცუდს რომ კარგად.
სიგლახე ჩემი რომ მოსწონთ ჩემში,
რომ მიიჩნევენ ჩემს ეკალს ვარდად.
სად არის, ნეტავ, ბინძური მტერი,
ჩემს თვალში ჩემს თავს ახადოს ფარდა.

* * *

შენ, ჰე, რომელიც სხვას ასწავლი, არიგებ ვითომ,
რასაც ჰქადაგებ, შეისმინო ის უნდა თვითონ.
თუ თვით არ იცი, როგორ უნდა გეჭიროს თავი,
მაშინ სხვის ნაკლზე ხმა გაკმინდე,დახუჭე თვალი.
სახე გიჩანსო, ერთი კაცი ჰკიცხავდა მეძავს,
თვითონ კი უკან გარღვეული შარვალი ეცვა.

* * *

უმჯობესია, მოთმინებით დალიო სული,
ვიდრე უღირსის წყალობისკენ გეჭიროს თვალი,
უმჯობესია, უდაბნოში წყურვილით მოკვდე,
ვიდრე ბინძურის გამოწვდილი დალიო წყალი.

* * *

თუ ვინმე მოვა, ღამე ძალით ჩაგიქრობს სანთელს,
გამოასალმე ყველას თვალწინ იგი დღის ნათელს;
ო, მაგრამ თუკი მოგეახლა, ლამაზი სატრფო,
გულში ჩაიკარ, თვით ჩააქრე სანთელი ამ დროს.

* * *

იმ სახლს, რომელსაც მეზობელი ჰყავს შენისთანა,
ათი დირემი თუ ექნება მხოლოდღა ფასი,
მაგრამ იმედი ვიქონიოთ, მოკვდები, როცა
ის ეღირება უსათუოდ – ასი ათასი.

* * *

თუკი დასჭირდა მეგობარს შენსას,
გაყიდე მამის ეზო და კარი.
მეგობრის ქვაბის ასადუღებლად
შენი ავეჯი ალალი არის.
სიკეთე უყავ მოსურნეს ავის,
ძაღლს პირს შეუკრავს პატარა ძვალი.

* * *

საჭმელი უნდა იმდენი ჭამო,
რომ იარსებო, ბოლოს და ბოლოს.
შენ კი იმიტომ არსებობ მხოლოდ,
ამოიყორო მუცელი მხოლოდ.

* * *

კაცი საწყალი და უქონელი
მსუბუქად მივა სიკვდილის კართან,
მაგრამ მდიდარი იხილო უნდა,
როს გაეცლება წყალობის კალთა...
ბატონისათვის ბორკილს ჰგავს ეს და
ხოლო მონისთვის – ბორკილის აყრას.

* * *

აღარ მიხვიდე მეგობართან მწუხარე სახით,
არ გაუფუჭდეს ხასიათი მას შენი ნახვით.
მეგობარს მუდამ ეახელი ღიმილის მჩენი,
რომ გაუხარდეს მას ორწილად დანახვა შენი.

* * *

ათასი ცუდი ჩაიდინოს დერვიშმა თუნდაც,
ამის შესახებ მეგობრებშიც არარა ისმის.
მაგრამ თუ მეფემ გაიხუმრა, საკმარისია –
უმალ ქვეყანას შემოირბენს ნათქვამი მისი.

* * *

სიხარულისთვის დახშულია იმ სახლის კარი,
წივილ-კივილი საიდანაც მოისმის ქალის.

* * *

უკვე რამდენი გავიდა წელი,
რაც არ გინახავს საფლავი მამის.
რაც შენ მიაგე სიკეთე მშობელს,
შვილი მოგაგებს – დადგება ჟამი.

ხაყანი შირვანელი

(1120-1191)

* * *

ტოტი ქვეყნისა, ხაყანის აზრით,
ნაყოფს ისხამდეს, არა ღირს იმად.
ტკბილეულობით გაშლილი სუფრა
ბუზს რომ უქშევდე, არა ღირს იმად.
ხოტბას ასხამდე მბრძანებელს შენსას,
ოქრო და ვერცხლი არა ღირს იმად.

* * *

ბევრ ქვაზე გადავიანკარე, როგორც მდინარემ,
ბევრი წავლეკე ნარ-ეკალი, როგორც მდინარემ.
როგორც მდინარემ, მშობლიური დავტოვე მხარე,
და ვერ ვიქციე პირი უკან, როგორც მდინარემ.

* * *

ო, რა უდროოდ გავჭაღარავდი,
ო, რა უდროოდ მეცვალა ფერი.
უძვირფასესი მეგობართ შორის
უსასტიკესი გამიხდა მტერი.

* * *

არაფერია, ჩვენი ყოფა, არაფერია,
ლამაზ ნოხებით სახლის მორთვა არაფერია.
ახალგაზრდობა – ერთადერთი არის ნუგეში,
ახალგაზრდობაც, ასე რომ ვთქვათ, არაფერია.

* * *

ნუ გაუწყრები ამ სამყაროს, მისმინე, ძმაო,
როგორიც არის, კმაყოფილი იყავი იმით.
ღამე თუ იგი შენ გასხურებს ვარსკვლავთა წვიმას,
ქვეყნიერების მანათობელს გიგზავნის დღისით.

* * *

ოი, ხაყანი, იგლოვო უნდა,
კაცი არ არის დღეს შენებრ ცოდვა.
მტვერზე მეტი ჩანს შენს ირგვლივ მტერი,
მეგობარი კი – ოქროზე ცოტა.

გოგონას გარდაცვალებაზე

ჩემმა ჭკვიანმა, შორსმჭვრეტელმა, პაწია ცირამ
ნახა, სიცოცხლე ამაოა, არა ღირს ჩირად.

და საჩუქარმა ნაბოძებმა იდუმალეთით
არ დააყოვნა, არ დაიდო სოფელში ბინა.

წმინდანად იყო მოვლენილი ამქვეყნად იგი,
უწმინდურება მცირე ხნითაც ვერ მოითმინა.

ნახა დაია მან თავისი, სუდარით ჩადრის –
ესეც კმარაო – გაიფიქრა – ოჯახში ჭირად.

ჯელალ ედ-დინ რუმი

(1207-1273)

ყაზალები

* * *

მომხედე, შენმა სიყვარულმა ხელად მაქცია,
ქალაქი ვიყავ, უკაცრიელ ველად მაქცია.

შენზე ოცნებამ განმაშორა სახლსა და ნივთებს,
დარდების თანამოსახლედ და მხევლად მაქცია.

ნუ იტყვი იმას, დავრდომილი ვიყავი ვითარ,
შენმა დანახვამ რაინდად და ქველად მაქცია.

შენმა არსებამ, შევიცანი როდესაც ჩემში,
მოყვასთა შორის უცხოელად გარდამაქცია.

მე სიყვარულზე დღე და ღამე ზღაპრების თხრობამ
თვითონ ზღაპრად და სიყვარულის ენად მაქცია.

* * *

წავედი ჩუმად, ჩემი სული ცას გაერია,
არ ვიყავ ალი, არც დემონი და არც ფერია.

თოვლი ვიყავ და დედამიწამ დამლია ჩუმად,
ტყვე გავიპარე, აწ საშიში არაფერია.

მე არ ვეკუთვნი წარმავალთა, სული ვარ ოდეს,
ჩემი სული ხომ მარადიულ სულის ფერია.

ვინც არ მელოდა, მე მივედი იმასთან სწორედ,
მივართვი გული უთვისტომოდ განათელია.

მივართვი გული, გარდავიქეც კაცი მიწადა,
ვიქეცი გლოვად და ცრემლები შემომელია.

ბაგეთა მისთა მე მაჩუქეს ათასი გული,
მაგრამ უენოს ერთი სიტყვაც ვერ დამცდენია.

უგონოდ გდებულს მომეახლა სატრფო და მითხრა:
ნუთუ გამხელა სიყვარულის ასე ძნელია?

ო, ამ სიტყვებით უდიდესი მიჯნური გავხდი,
მოვშორდი ყველას და საგზალიც შემომელია.

ᲙᲣᲠᲢ ᲢᲣᲮᲝᲚᲡᲙᲘ

კურტ ტუხოლსკი (1890–1935) მე-20 საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურის წარმომადგენელია. ის, მხატვრული ნაწარმოებების გარდა, აქტიურად გამოირჩეოდა იმ დროის ბერლინელ მოაზროვნეთა წრეში. ტუხოლსკი ებრაული წარმოშობის ოჯახიდან იყო და მასაც ისევე შეეხო ნაციზმი, როგორც თითქმის ყველა ებრაელს. მისი წიგნებიც მწერლის სიცოცხლეშივე დაწვეს (1933 წელს) და ქვეყნის მოქალაქეობაც ჩამოართვეს. ტუხოლსკი, ზოგადად, ომის წინააღმდეგი იყო;

იგი მეორე მსოფლიო ომს არ მოსწრებია, მაგრამ პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა, ზუსტად მაშინ, როცა სკოლა დაამთავრა და უმაღლესში, ბერლინის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა, მაგრამ გული ვერ დაუდო და ისევ ჟურნალისტობა არჩია. მხოლოდ 1915 წელს იენის უნივერსიტეტში დაამთავრა ზემოაღნიშნული ფაკულტეტი და დოქტორის ხარისხიც მიენიჭა.

იგი ფრონტის ხაზზე გაიწვიეს, სადაც სამ წელიწადზე მეტი დაჰყო. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა, რომ გამოსულიყო ყველანაირი შეიარაღებული დაპირისპირების წინააღმდეგ და საბრძოლო იარაღად კალმისტარი აირჩია. იგი იყო მრავალი ჟურნალისა თუ გაზეთის რედაქტორი. სტატიებს ქმნიდა ხუთზე მეტი ფსევდონიმით. გამოქვეყნებული აქვს 3 000-ზე მეტი სტატია თუ პუბლიკაცია. იგი წერდა ლექსებს, მოთხრობებს, გატაცებული იყო სატირით, ლიტერატურული კრიტიკის შესანიშნავ ესეისტს ხუთასამდე წიგნი აქვს განხილული.

მაშინ, როცა ნაცისტებმა გერმანიაში ხელისუფლება გადაიბარეს, ტუხოლსკიმ ჰიტლერის სახით დაინახა არადემოკრატიული მმართველი. მწერალი გაექცა რეჟიმს და 1929 წელს თავი შვედეთს შეაფარა. ევროპაში ცხოვრების მის უკანასკნელ წლებზე მოგვითხრობს მისი წერილები, რომლებიც ერთიანი სახით 1960 წელს გამოიცა.

კურტ ტუხოლსკი გარდაიცვალა 1935 წლის 21 დეკემბერს წამლის გადაჭარბებული რაოდენობით მიღების შედეგად. ვარაუდობენ, რომ იგი ამ ფორმით თავის მოკვლას შეეცადა.

მის შემოქმედებაში ერთიანდება მრავალი ჩანაწერი, ესე, ფელეტონი. არის რამდენიმე ვრცელი ნაწარმოების ავტორი. გერმანიასა და შვედეთში დაწესებულია მისი სახელობის ჯილდო წარმატებული ლიტერატორებისთვის.

სტუმრობანი პეტერ პანთერთან
ავტორი თავადვე

„სტუმარი, როგორი აბეზარიც უნდა იყოს ის,

მაინც იმსახურებს პატივგებას, ბატონო კრაუზე.“

„კარზე ზარია, ბატონო პანთერ“, – თქვა დიასახლისმა.

„მაგის საწინააღმდეგო ერთი კარგი საშუალება ვიცი, ქალბატონო ტრუელზენ, – გავძახე მე – გახსენით კარი!“

ქალმა უცაბედად ისე გამომხედა, თითქოს იადონს უმზერდა, რომელმაც მეორასეჯერ დატოვა ლაქა აბრეშუმის გადასაფარებელზე; მაგრამ ჩიტი ხომ არაფერშია დამნაშავე. ქალმა კარი გააღო. მე კი ვერ ვიტან, როცა მსტუმრობენ.

„ვიღაც მამაკაცია გარეთ!“ – თქვა დიასახლისმა.

„რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, ჰკითხეთ ხოლმე სახელი, თუ ვინაა, ან ბარათი მოსთხოვეთ“, – მივუგე მე.

ტრუელზენი წამსვე იქიდან გაუჩინარდა და შემდეგ ჩაისთვის განკუთვნილი ვეებერთელა ლანგრით უკან დაბრუნდა, რომელზეც მომცრო ბარათი იდო. ასეთი რამ მას ალბათ ფილმებში ენახა. ბარათზე სახელი ამოვიკითხე. „ოჰ, გეთაყვა! გთხოვთ, ბატონი შინ უნდა შემოვუშვათ!“ – სტუმარი შერლოკ ჰოლმსი ყოფილა.

გრძელი ფეხებით შემოაბიჯა მან, ცივი სალამი უძღვნა დამხვდურებს და ჩუმად ჩამოჯდა.

„სკამს მოგართმევდით“, – ცოტა კი დამიგვიანდა შეთავაზება. სანამ ლაპარაკს წამოიწყებდა, სტუმარმა ბაგეები შეათამაშა. ასეთი იყო მისი ჩვევა. შემდეგ კი წარმოთქვა: „შეგიძლიათ ჩემთვის რამე ხელსაქმე შეარჩიოთ?“

„მე... მე...“

„რა არის ახლა მაგაში ძნელი. უბრალოდ ვკითხულობ, ჩემთვის შესაფერისი ხელობა თუ მოგეძებნებათ-მეთქი.“

„ბატონო ჰოლმს, თქვენ ალბათ ხუმრობთ? თქვენ ხომ გამომძიებელი ბრძანდებით? აი, იქ, თაროზე, თექვსმეტი ტომია, სადაც თქვენ შესახებაა მოთხრობილი.“

მან მზერა წამით იქითკენ მიაპყრო. „მესამე ტომი, მაშინ როცა თქვენ სახლში არ იყავით, არც ისე დიდი ხანია, ხაბაზის შავტუხა ქალიშვილმა წაიღო, რომელსაც თმა ბიჭივით აქვს შეკრეჭილი... მას ერთი პატარა ძაღლი ჰყავდა თან და ორი კბილი კი გამოხრული ჰქონია.“

მე ადგილზე გავშეშდი.

„ხელობა რამე, კი. – განაგრძო მან – ხომ ხედავთ, ბატონო... რა გქვიათ თქვენ, ჩემო კეთილო? – დიახ, პანთერ! საქმე ისაა, რომ: უკვე ყელში მაქვს ამოსული. ოცდათხუთმეტი წელია მსოფლიოს გარშემო ვმოგზაურობ, ყველაფერი ვიცი, ყველაფერი შემიძლია, ყველაფერსაც გამოვიცნობ ხოლმე. თქვენ იქნებ არც გჯერათ, როგორ მეორდება ყოველთვის ყველაფერი. ადამიანებს ძალიან ცოტაოდენი ფანტაზია თუ გააჩნიათ. არც სარდაფის კედელში ჩაყოლებული სიდედრია რამე განსხვავებული, არც ნაქურდალი სამკაულები, ერთი კიდევ არც გაყალბებული ჩეკი, ბანკის გამომწვარი მფლობელიც არაა იშვიათობა – ერთი და იგივეა ყოველ დღე, ერთი და იგივე!“ – მან ამოიხვნეშა.

„ნება მომეცით, შემოგთავაზოთ სიგარა“, – მივუგე მოკრძალებით.

იგი უტყვად დააცქერდა სიგარებს, – „მე გამომძიებელი ვარ, – ჩაილაპარაკა ჩუმად, – მე სიგარების შიგთავსაც კი გამოვიცნობ ხოლმე. გმადლობთ...“

„ყელში გაქვთ, ჰო, ამოსული“? – ვკითხე და უფრო ახლოდან მივაშტერდი. კაცი გადაღლილად გამოიყურებოდა, თმა უკვე გაცვენოდა, პიჯაკი ცოტაოდენ გაქუცვოდა და უპრიალებდა. იქნებ მისი საქმე მართლა ვერ მიდიოდა კარგად?

„მე მადაგასკარზეც ვიყავი და ვილმერსდორფშიც, ესკიმოსებიც მინახავს და სხვა რჯულის გატყიურებულებიც. აი, მაგალითად, ფილმისას. ბატონო, მე მრავალ ფილმში მიხმობენ ხოლმე გადასაღებად – ხელში გამადიდებელი ლინზით, ფართო ქუდით, რომელიც ორი ზომით დიდი მაქვს ხოლმე და შარვლის მარჯვენა ჯიბეში გაჩრილი რევოლვერით. ათასჯერ მაქვს მოკვნეტილი ტუჩები, ორიათასჯერ აღმოვაჩინე გამცემი კვალი საფერფლეზე, სამი ათასი ლიფტი გადავსინჯე საგულდაგულოდ, კრიმინალური პოლიციის ოთხი ათასი მცდარი ქმედება გამოვააშკარავე. აღარ მინდა. გესმით? აღარ მინდა!“

„რა ხდება, რატომ? თქვენ ხომ ასეთი ცნობილი პიროვნება ხართ“!

„თავდაპირველად ოჯახიც მყავდა. ჩემი შთამომავლობა გამრავლდა. ნიკ კარტერს მრავალი შვილი ჰყავს – ყველა ქვეყანაში თავისი გამომძიებელი. და იცით, რატომ? ცხოვრება ისეთი მუხთალია ჩვენს დროში – წინასწარ სავარაუდოც – ხალხს რაღაც რომანტიკული უნდა, რაღაც გაუთვალისწინებელი, იყოს თუნდაც მხოლოდ ფანტაზია. აი, ამისთვის ვარ მერე მეც საჭირო და დამნაშავეებიც.“

„მერე?“

„მერე ის, რომ დამნაშავეები დღესდღეობით კარგი სახელით სარგებლობენ, იმპერიული კავშირის წევრებიც არიან, სახარბიელო შესამოსელითაც გამოირჩევიან და მოწესრიგებულადაც იჭერენ თავს. ჩვენ კი აღარავის ვესურვილებით, ჩვენ – მე და ჩემი ოჯახი! არსებობით კი ვარსებობთ და პატარა შემთხვევების დროს გვიხმობენ ხოლმე, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ის აღარაა, რაც იყო. ის დრო წასულია.“

დიადმა ბატონმა თავი ჩაღუნა, მას ტუჩები აუცახცახდა.

„პატივცემულო ჰოლმს, – ვუთხარი ხმადაბლა, – გწამთ სულის გარდასხეულების?“

„რა თქმა უნდა! რატომ მეკითხებით?“

„რადგან სხეულცვლა კი მოხდება, მაგრამ თქვენი უკვდავი ნაწილი სამუდამოდ დარჩება. გუშინ ყაჩაღობის ერთი შემთხვევა იყო, იარომირისა და რინალდო რინალდინის თანამონაწილეობით, რომელიც წარჩინებული ავაზაკია, დღეს კი გამომძიებელია, დიდი კაციც გამხდარა და დამნაშავე, როგორიცაა, მაგალითად, ფილიპ კოლინზი (ამის გაგონებაზე ჰოლმსი რამდენადმე შეიშმუშნა). აი, ზეგ კი... ზეგ უკვე სხვა რაღაც გაჩნდება. რადიომაუწყებლობა, საჰაერო მიმოსვლა, რაღაც მაინც გამოიძებნება ხოლმე.“

„რაღაც ყოველთვის გამოიძებნება...“ – ჩაილაპარაკა ჰოლმსმა თითქოს მეოცნებედ.

„რაღაც ყოველთვის გამოიძებნება ხოლმე... – ვბრძანე გადაჭრით. – მისმინეთ! ხალხს ყურადღების სხვა რამეზე გადატანა სურს, მათ გართობა მონდომებიათ, სწადიათ გაექცნენ საკუთარ ცხოვრებას და გამოძებნონ უსაფრთხო თავგადასავლები. არც კი დაეჭვდეთ. ისეთი ადამიანისთვის, როგორიც თქვენ ხართ, ყოველთვის მოიძებნება ხელსაქმე. მე ზეგ ისევ შეგხვდებით და თქვენ კი უკვე მოძებნილიც გექნებათ სამუშაო.“

„როგორი სხვანაირი გახდა ყველაფერი“. – ჩაილაპარაკა მან.

„ადამიანები არ იცვლებიან, – მივუგე, – ისინი ყოველთვის ერთი და იგივენი არიან.“

„მაგრამ ახალგაზრდებიც ხომ გამოჩნდებიან ხოლმე, – ახალი თაობა...“

„კი, ისინი ხომ მოსულებიც იყვნენ, ბატონო

ჰოლმს?! ყველაფერი მეორდება, ყველაფერი ერთ პატარა წრეზე ბრუნავს.“

სტუმარი შემსუბუქებული წამოდგა ფეხზე. – „გჯერათ?“ – იკითხა მან, თითქმის ნუგეშცემულმა.

„დარწმუნებული ვარ“. – ვთქვი თავდაჯერებით.

იგი კართან მივიდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გულაჩუყებულმა ცხვირი მოიხოცა.

„ჯობს თქვენს მეგობარ გოგონას მიხედოთ. – ჩაილაპარაკა სანახევროდ გასაგონად – დიდი ხანი არაა,რაც იგი ამ ოთახში ტელეფონზე აღელვებული საუბრობდა, ისე რომ თითქმის ტიროდა კიდეც, შემდეგ სიამოვნებისაგნ ხავილიც მოურთავს,ფეხებიც დაუბაკუნებია იატაკზე – ისე,მომიტევეთ გულღიაობა და კოხტა ფეხები კი აქვს თქვენს ქალბატონს.“

„კარგად იყავით,ბატონო ჰოლმს. ყველაფერ კარგს გისურვებთ“,– ვთქვი მე.

ტრუელზენი ოთახში შემოვიდა და დიდრონი თვალები იქაურობას მოავლო. – „მან მე უცხოური ფული შემომაჩეჩა. ახლა რა ვქნა?“ – თქვა შემდეგ.

„თქვენი კომოდის ქვეშ ამოდეთ,როცა ის რყევას დაიწყებს,ქალბატონო ტრუელზენ. – გავეცი პასუხი, – და როცა კი კარზე ზარს დარეკავენ, იცოდეთ, რომ არ ვარ შინ, ან სულაც ავად ვარ, ან ცოტა ხნის წინ გარდავიცვალე, ან წესისამებრ გამომწვეს კიდეც!“

ქალი განაწყენებული გამეცალა, მე კი ისევ დავფიქრდი, რომ ვერ ვიტან სტუმრობას.

კურტ ტუხოლსკის

(პეტერ პანთერ, თეობალდ ტიგერ, იგნაც ვრობელ, კასპარ ჰაუზერ)

სძულს:

სამხედრო საქმე

მოჭარბებული გატაცება, რომელიმე ორგანიზაციის წევრობით.

ბრიუსელის კომბოსტო

კაცი, რომელიც ტრამვაიში გამუდმებით სხვის გაზეთებს კითხულობს

ხმაური და ჟივილი

„გერმანია“

უყვარს:

კნუტ ჰამსუნი

თითოეული გულადი, მშვიდობისმყოფელი ჯარისკაცი

ლამაზად წვერწათლილი ფანქრები

ბრძოლა

იმ ქალის თმის ფერი, რომელზეც სწორედ რომ შეყვარებულია ხოლმე

გერმანია

ცოლ-ქმარი ანეკდოტს ჰყვება

– ბატონო პანთერ, გუშინ ისეთ გამომწვევ ანეკდოტს მოვკარით ყური, რომ არ მოგიყვეთ... ანუ მე მოგიყვებით. ჩემი ქმრისთვის ის ცნობილიც კი იყო, მაგრამ ანეკდოტი ძალიან თავშესაქცევია. აბა, ყურადღება მომაპყარით.

ერთ კაცს... ვალტერ, თუთუნს ძირს ნუ დაყრი. მთლიან თუთუნს ფარდაგზე აფენს... ასე რომ, ერთ კაცს, არა – ერთ მოგზაურს გზა აბნევია მთაში. ე.ი. მიდის მთაში და ალპებში გზას ვეღარ იგნებს, როგორია? ჰო, საუბარია დოლომიტებზე და არა ალპებზე, მაგრამ ახლა მაგას არ აქვს ისეთი მნიშვნელობა. ჰოდა რომ მიდიოდა იმ ღამეში, უცბად ნათება შეუნიშნავს და სწორედ შუქისკენ წასულა... დამაცადე მოყოლა! წასულა იმ სინათლისკენ და იქ კი ერთი ქოხი დგას, რომელშიც თურმე ვინმე გლეხი და მისი ცოლი სახლობს. გლეხკაცი მოხუცებულია, ხოლო მისი მეუღლე კი ახალგაზრდაა და თან მეტად – წარმტაციც. დიახ, ქალი არ იყო ხნიერი. ორივე თურმე უკვე დასაძინებლად დაწოლილიყო. არა, არა – ჯერ არ დაწოლილიყო...

– ჩემს მეუღლეს არ ეხერხება ანეკდოტების მოყოლა. ახლა მე მაცადე. შენ კი რომ მოვრჩები, მერე თქვი, მართლა ეგრე იყო თუ – არა. ე. ი. მე მოგიყვებით. ერთი კაცი ანუ დაეხეტება დოლომიტებში და გზა აერევა და მიადგება...

– ასე ხომ სულ დააბნევ მსმენელს, ეგრე არაა ეგ ანეკდოტი, ის სულ სხვანაირადაა. აი, მისმინე! დოლომიტებში... ცხოვრობს ერთი მოხუცი გლეხი, თავის ახალგაზრდა ცოლთან ერთად და მათ სახლში საჭმელი სულ აღარაფერი ჰქონდათ; მომავალ ბაზრობამდე საქონლის ხორცის ერთი კონსერვიღა თუ შერჩენოდათ. ჰოდა იზოგავდნენ იმ ხორცს. მაგ დროს კი მოდის...

– რა თქვი? დიახ, სრული სიმართლეა! გაჩუმდი, ერთი... ჰოდა იმ ღამეში ანაზდად გამოჩნდება თურმე ეს მოგზაური და კარზე დააკაკუნებს. ასე გამოდის: მგზავრი მოსულა კართან, რადგან გზა დაებნა და ითხოვს, ღამე გამათევინეთო. გლეხებს კი ზედმეტი ოთახი სად ექნებოდათ,მათ მხოლოდ ერთი საწოლი აქვთ, რომელშიც ორივენი ერთად წვებიან ხოლმე.

– რა თქვი? ტრუდე, ეს ხომ უაზრობაა... ეგ ძალიან თავაზიანობაც კი გამოვა. მე ეგეთ რამეს ვერ გავაკეთებდი. ვინმე ისეთი, ძილში ფეხებს რომ აფართხალებს, მე... მე... მოკლედ, ვერ გავაკეთებდი!

– არცაა საჭირო. ნუ შემაწყვეტინებ, გეხვეწები.

– შენ ამბობ, თავაზიანიც კი იქნებოდა მისი ეს ქმედებაო, ხოლო მე გეუბნები, არ იქნებოდა.

– ანუ...

– ვალტერ! ფერფლი! რა იყო, საფერფლეს ვერ აიღებ?

– ანუ... დგას ის კაცი უკვე ქოხში, წვიმისგან მთლიანად გალუმპულა და უნდა, რომ სადმე

დაიძინოს, ხოლო გლეხი კი ეუბნება, ჩემს ცოლს შეუწექი ლოგინშიო.

– არა, არა, ასე არ ყოფილა, ვალტერ! სრულებით არასწორად ჰყვები. მათ შორის, ცოლსა და ამ გლეხს შორის უნდა ჩაწოლილიყო მოგზაური.

– იყოს შუაში, კარგი, რა მნიშვნელობა აქვს.

– რანაირად არ აქვს მნიშვნელობა... ანეკდოტის მთლიანი აზრიც მაგაშია.

– ჰო, მაგაშია არა, ანუ სად დაწვება კაცი?

– კი-მეთქი! აბა, სხვანაირად ბატონი პანთერი, როგორ გაიგებს მაგ ანეკდოტს? მაცადე, მაცადე. მე მოვუყვები. ასე რომ, ის კაცი დასაძინებლად დაწვება, ხომ გესმით? მოხუც გლეხსა და მის ცოლს შორის დაწვება. გარეთ კიდევ ავდარია. დამაცადე ერთ წუთს!

– ეს ქალი ხომ სულ სხვანაირად ჰყვება ამ ანეკდოტს! ავდარი ჯერ არაა. ჯერ ყველას მშვიდად სძინავს. ანაზდად გლეხკაცს გამოეღვიძება და თავის ცოლს მიმართავს... ტრუდე, მიდი ტელეფონთან, ზარია! რა თქმა უნდა, სინამდვილეში კი არ ეუბნება ზარიაო... გლეხი ცოლს ეუბნება, რომ... ვინ არის? ვინ არის ხაზზე? უთხარი მერე დამირეკოს ხელახლა, ახლა დრო არ გვაქვს! ჰო. არა! არა! დაკიდე ყურმილი. დაკიდე, ბოლოს და ბოლოს!

– ბოლომდე მოგიყვათ ანეკდოტი? ჯერ არა, ჰო? – მიდი მერე, მოუყევი, რაღას უცდი?!

– გლეხი ასეთ რამეს იტყვის: გარეთ უნდა გავიდე, თხებს დავხედო, ასე მგონია, აიშვეს და ხვალ დილით რძე რანაირადღა გვექნებაო? უნდა შევამოწმო, ბოსლის კარი თუა კარგად ჩარაზულიო.

– ვალტერ, მომიტევე თუ გაწყვეტინებ, მაგრამ პაული ამბობს, მოგვიანებით ვერ დავრეკავ, საღამოს თუ მოვახერხე, მაშინ დავრეკავო.

– კარგი, საღამოს იყო. ასე რომ, გლეხი... – მიირთვით ცოტაოდენი ყავა,– ასე რომ, გლეხი გარეთ გადის, და ხეირიანად რომ არც გასულა, ცოლმა თურმე მუჯლუგუნი უთავაზა.

– ტყუილია, სულ ტყუილია. ერთხელ კი არა სამჯერ ჰკრა ხელი. გლეხი ხომ სამჯერ გავიდა გარეთ. აი, მაგის გამოა, სიცილით რომ ვკვდები.

– დამაცადე-მეთქი! ანუ კაცი გადის გარეთ; უნდა, რომ თხას შეხედოს, თხაც იქვე ადგილზეა; გლეხიც შინ ბრუნდება.

– არ არის ეგრე. ის იქ რჩება! თან დიდხანსაც რჩება. ამასობაში კი ქალი მოგზაურს ეტყვის...

– არაფერსაც არ ეტყვის! გლეხი ქოხში შევა.

– არა, ჯერ არ შევა!

– ანუ... ის შევა, ცოტას წაუძინებს, მერე კი უეცრად გამოერკვევა სიზმრიდან, წამოვარდება და იტყვის: „მე კიდევ ერთხელ უნდა დავხედო თხას!“ და ისევ გარეთ გავა.

– ამასობაში კი შენ სულ გადაგავიწყდა გეთქვა, რომ მოგზაურს საშინლად შია და მათ კი უთხრეს, ცოტა ყველი უნდა იყოს მანდო.

– და რძე?

– კი, რძეც და ცოტაოდენი დაკონსერვებული ხორციც, მაგრამ მაგ კონსერვს ვერ მისცემდნენ, რადგან სწორედ რომ მომდევნო ბაზრობამდე ინახავდნენ. შემდეგ ისინი ისევ დასაძინებად წასულან.

– და როცა გლეხი მომდევნო ჯერზე გარეთ გადის, ქალი ახლა მოგზაურს უჯიკებს და ეუბნება: „აბა...“

– არა! სრულებითაც, არა! ვალტერ, ეგ ხომ რასაც ამბობ სავსებით სიცრუეა! ქალს სულ არ უთქვამს „აბაო“.

– როგორ არა. სწორედაც რომ „აბა“ უთხრა! სხვა რა უნდა ეთქვა?

– მან თქვა: „ახლაა შესაძლებლობა...“

– პირიქით. „აბაო“, უთხრა და ფერდშიც წაჰკრა ხელი.

– ოჰ, როგორ აფუჭებ ხოლმე ყველა ანეკდოტს, ვალტერ!

– შესანიშნავია! მე თურმე ვაფუჭებ ყველა ანეკდოტს... შენ აფუჭებ. მე კი არა! ჰოდა, შემდეგ ის ქალი ამბობს...

– ახლა მაცადე ერთი და მე მოვყვები როგორცაა. შენ მთელი ინტერესი დაუკარგე ყველაფერს.

– ახლა არ გამაბრაზო, ტრუდე! როცა ანეკდოტის მოყოლას მე დავიწყებ, მევე უნდა დავამთავრო.

– შენ სულ არ დაგიწყია მაგის მოყოლა.

– რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაიწყო, უბრალოდ მინდა ეს ამბავი ბოლომდე მოვყვე, რადგან თან შენ არც გეხერხება თხრობა, დიდი–დიდი არასწორად თუ მოჰყვები რამეს.

– ჰოდა, მე ისე ვიტყვი ხოლმე ყველაფერს, როგორც მინდა და თუ არ გესიამოვნება, ნუ მომისმენ.

– არც მოგისმენ. მე მსურს, ბოლომდე მოვყვე ამბავი, თან ისე, რომ ბატონ პანთერს ეამოს მოთხრობილი.

– ოჰ, როგორ გგონია შენი მოსმენა რა დიდი სიამის მომგვრელია...

– ტრუდე!

– მაშ, თქვენ მითხარით, ბატონო პანთერ, შეიძლება ამ ქალის ატანა? და ასე აფორიაქებულია ხოლმე იგი მთელი კვირის განმავლობაში.

– მე...

– შენ ხარ...

– შენი თავშეუკავლობა უკვე...

– იგი ახლა მეტყვის, კომპლექსი გაქვსო. დედაშენი ამას უბრალოდ ცუდ აღზრდას ეძახის.

– ქცევის ჩემეული მანერა!..

– და ვინ შეატრიალა საქმე მოსამართლესთან? აბა, თქვი, ვინ? იქნებ მე? შენ ითხოვე გაყრა არ...

– არა, არა, ტყუილია!

ჯახ – მიჯახუნდა მარჯვენა კარი. ჯახ – გაჯახუნდა მარცხენა კარი...

და აი, ვზივარ დაუმთავრებელ ანეკდოტზე ფიქრით... ნეტავ, რა უთხრა იმ კაცმა იმ ახალგაზრდა გლეხქალს?

ადამიანი

ადამიანს აქვს ორი ფეხი და ორი თვითდაჯერებაც: ერთი მაშინ აქვს, როცა კარგადაა, ხოლო მეორე – როცა ცუდად. მაგ ბოლოს ეწოდება რელიგია.

ადამიანი ხერხემლიანთა ტიპის ცხოველია და აქვს უკვდავი სული, ისევე როგორც აქვს სამშობლო, რომ ქედმაღალი არ იყოს.

ადამიანი ბუნებრივი გზით მოევლინება ხოლმე ქვეყნიერებას, მაგრამ ზუსტად ამას თვლის ის არაბუნებრივად და არც ისე სიამოვნებით საუბრობს მასზე. იგი იბადება, მაგრამ არავინ ეკითხება საერთოდ, თუ უნდოდა, რომ დაბადებულიყო.

ადამიანი გამოსადეგი არსებაა, რადგან ჯარის-კაცების სიკვდილის შედეგად შეუძლია ბენზინის აქციებს ფასი მოუმატოს, ან როცა მემაღაროე დაიღუპება, მაშინ გაზარდოს შახტში მომუშავეთა სახელფასო დანამატები. ადამიანი ასევე გამოყენება-დია კულტურის სფეროში, ხელოვნებაში, მეცნიერე-ბაში. ადამიანს გამრავლების მისწრაფებასთან და „რა ჭამოს და რა სვას“-თან ერთად აქვს ორი რამის მოთხოვნილება: მოაწყოს ალიაქოთი და ვინმესაც არ დაუგდოს ყური. ამრიგად, შეგვიძლია კიდეც ადამიანი ისეთ არსებად დავახასიათოთ, რომელიც არავის უსმენს. თუ იგი ბრძენია, მაშინ სწორადაც იქცევა, რადგან რის შესახებაც უნდა იმსჯელოს, ძალიან იშვიათად თუ მოესმის ხოლმე მის ყურს. განცხრომით კი ადამიანები შემდეგს აყურადებენ: როცა მათ რამეს ჰპირდებიან, როცა ეპირფერებიან, როცა რამედ აღიარებენ და როცა ქათინაურს უძღვ-ნიან. მლიქვნელობა ყოველთვის სასურველია სამჯერ მეტიც კი იყოს, ვიდრე ვინმე ამას მოელის. ადამიანი თავის მოდგმას არაფრის ნებას არ რთავს, ამიტომაც გამოიგონა მან კანონები. მას თუ რამე ეკრძალება, ისე უნდა იყოს, რომ სხვასაც აეკრძალოს.

თუ გვინდა, რომ მივენდოთ რომელიმე ადამიანს, უმჯობესია, მას თავზე დავაჯდეთ. აი, მაშინ კი, სულ მცირე, მაგ დროის განმავლობაში მაინც დარწმუნებულები ვიქნებით, რომ ის ვერსად გაგვექცევა. ზოგიერთი კი ადამიანების შინაგან ბუნებაზე ამყარებს ხოლმე იმედს.

ადამიანები ორ ნაწილად იყოფიან: ერთნი არიან მამრები, რომელთაც არ სურთ, რომ იაზროვნონ, და მეორენი – მდედრები, რომელთაც არ შეუძლიათ, რომ იაზროვნონ. ორივე ჯგუფს გააჩნია ე. წ. გრძნობები: გრძნობას ისინი მეტად დარწმუნებით იმით აღძრავენ, როცა ორგანიზმში გარკვეულ ნერვულ ცენტრებს გაახელებენ. ასეთ შემთხვევაში, ზოგიერთი ადამიანი ლექსებსაც კი წერს.

ადამიანი მცენარე და ხორციჭამია არსებაა. ჩრდილოეთ პოლუსზე მოგზაურობისას ის თავისი მოდგმის წარმომადგენლებსაც კი შეექცევა ხოლმე, მაგრამ ეგ ხომ ფაშიზმის ტოლფასი შემთხვევაა.

ადამიანები პოლიტიკური ქმნილებანი არიან, დაჯგუფდებიან ხოლმე ერთად და მთელი მონდომებით, ასე გაჰყავთ ცხოვრება. თითოეულ ჯგუფს სძულს სხვა ჯგუფი, რადგან იქ განსხვავებულები არიან და ასევე სძულს საკუთარიც, რადგან იქ მისიანები არიან. ამ ბოლო შემთხვევას ისინი პატრიოტიზმს ეძახიან. ყველა ადამიანს გააჩნია ღვიძლი, ელენთა, ფილტვები და ბაირაღი. აი, ეს ზემოჩამოთვლილი ორგანოებია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. შეიძლება ადამიანი არსებობდეს ღვიძლის, ელენთის, თუნდაც ერთი ფილტვის გარეშე, მაგრამ დროშის გარეშე ის არ არსებობს.

გამრავლების შეფერხებულ უნარს ადამიანი საგულდაგულოდ დამალავდა კიდეც, რისთვისაც მას მრავალგვარი საშუალება გააჩნია: ხარებთან შერკინება, დანაშაულებრივი ქმედება, სპორტი და კანონების დაცვაც. ერთმანეთისადმი ადამიანები ადამიანურნი არ არიან. არსებობენ მხოლოდ ისეთები, რომლებიც სხვებს მართავენ და არსებობენ ისეთები, რომლებიც სხვებისგან იმართებიან. მაგრამ, ამავე დროს, ჯერ არავის გაუბედავს უფლებანი საკუთარ თავზე, რადგან მოწინააღმდეგე მონა უფრო ძლიერი ჩანს, ვიდრე მძლავრობის მსურველი ბატონი. ადამიანი საკუთარი არსების ქვეშევრდომია.

როცა იგი გრძნობს, რომ მეტად ვეღარ ამაღლ-დება, ღვთისმოსავი და ბრძენი ხდება. ის ამ დროს უარს ამბობს მსოფლიოს სიმწრის ნაჟურზე, რასაც გონისმიერ თვითჩაღრმავებას ეძახის. განსხვავებული ასაკი, განსხვავებულ ფიქრებს მოიტანს ხოლმე თან: მოხუცებს ჩვეულებრივ ავიწყდებათ, რომ ისინი, ერთ დროს, ახალგაზრდები იყვნენ, ან სულაც იმას ივიწყებენ, რომ ახლა ხანშიშესულები არიან, ხოლო ყმაწვილებს ის ვერ გაუთვიცნობიერებიათ, თუ რო-გორ შეიძლება, რომ დაბერდნენ.

ადამიანს გულით არ სურს სიკვდილი, რადგან არც იცის გარდაცვალების შემდეგ რა იქნება. თუნ-დაც დაეყრდნოს მოსალოდნელის ცოდნას, მაინც უნდა, რომ ამ ქვეყნად რამდენიმე ხანი დაჰყოს, ეს რამდენიმე ხანი კი ნიშნავს: „სამუდამოდ!“

სხვა მხრივ კი, ადამიანი ის არსებაა, რომელიც რახარუხობს, უგვან მუსიკას ქმნის და თავის ძაღლს აყეფებს ხოლმე. ხანდახან იგი ჩუმდება კიდეც, მა-გრამ ეგ ის შემთხვევაა, როცა მკვდარია.

ადამიანების მიღმა კიდევ არსებობენ საქსები და ამერიკელები, მაგრამ მათზე საუბარი ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონია და ზოოლოგიაში მათ, მომავალ კლასში რომ გადავალთ, მაშინ განვიხილავთ.

გერმანულიდან თარგმნა **დავით კირკიტაძემ**

ძველი ოების ნიგნაკიდან

ჯუმბერ ჯიშკარიანი

სათქმელი უთქმელი არ მწამს...

ამას წინათ ტელევიზიის მუსიკალური და გასართობი პროგრამების მთავარმა რედაქციამ ჩინებული გადაცემა შემოგვთავაზა... თუმცა ერთგვარი სინანულიც დამეუფლა გადაცემის შემდეგ – ჩვენს უფროს კოლეგას და ძვირფას მასწავლებელს, უბერებელ გიზო ნიშნიანიძეს თურმე სამოცდაათი შესრულებია....

1981 წლის 28 დეკემბერი იყო. ხალხით გადაჭედილ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ბატონმა გიზომ წარმოადგინა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „პაემანი ვერაზე“, - სიცოცხლისა და მარადიული სიჭაბუკის, გულითადობისა და კაცურ-კაცობის, სიკეთედ და სიყვარულად „დაღვრილი“ მზეჭაბუკების პატიოსანი ცხოვრების საგალობელი... (მორის ფოცხიშვილი).

თამამად შეიძლება ითქვას! მსგავსი წარმატება ამ მრავლისმომსწრე დარბაზსაც არ ახსოვს ალბათ... დოკუმენტური პოემა თბილისზე ფირფიტების ალბომადაც გამოვიდა ფირმა „მელოდიაში“, მრავალგზის გადაიცა ტელევიზიით და მუდამ უჩვეულო ინტერესი სდევდა....

ათი წლის შემდეგ, 1991 წელს, გამომცემლობა „მერანმა“ მკითხველს შესთავაზა მხატვრულ-დოკუმენტური ფოტომასალით უხვად ილუსტრირებული წიგნი. თხუთმეტი ათასი ეგზემპლარი უმალ გაქრა, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

ბატონო გიზო! ბედნიერი ვარ, ეს დიდებული წიგნი ჩემს ბიბლიოთეკასაც რომ ამშვენებს თქვენეული ავტოგრაფით. უფრო ზუსტად, წიგნი ჩემად ითვლება, თორემ კარგა ხანია „გამიუცხოვდა“ – კარდაკარ „მოგზაურობს“ მეზობლებსა თუ ნაცნობ-მეგობრებში.

მომიტევეთ, ცოტა შეილახა ხშირი ფურცვლისგან, მაგრამ უარს ვერ ვეუბნები მთხოვნელთ. მორიგი გამოცემის იმედი მაქვს. მერე ამ ეგზემპლარს „დავასვენებ“ და თვალის ჩინივით გავუფრთხილდები.

ბატონო გიზო! იმ დღეს, გადაცემის დასასრულს, თქვენ ბრძანეთ – სათქმელი უთქმელი არ მწამსო... სწორედ ამ სიტყვებმა გადამაწყვეტინა სათქმელი უთქმელი არ დამრჩეს და ჩემთვის ახლობელი გაზეთის – „შანსის“ ფურცლებიდან საჯაროდ გადაგიხადოთ მადლობა იმ თანადგომისთვის, თქვენ რომ გამოიჩინეთ ამ რამდენიმე წლის წინ...

1995 წელი იდგა. იმ წელს გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ლევან გოთუას დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი არავის გახსენებია. თუმცა, რასაკვირველია – მძიმე ჟამი იდგა მაშინ საქართველოში, ურთიერდაპირისპირების, ძმათაკვლის, ნგრევისა და ქაოსის ჟამი... უჭირდა საქართველოს, უჭირდა ისე, როგორც ალბათ არასდროს. მაგრამ მტკიცედ მწამდა! – სწორედ ლევან გოთუას მსგავსი, ჯოჯოხეთგამოვლილი, მაგრამ გაუტეხელი, გაუბზარავი, ზნეკეთილი ადამიანების გახსენება გვჭირდებოდა იმ უმძიმეს ჟამს...

თებერვალიც გავიდა, მარტიც, აპრილიც, მაგრამ პრესა ჯიუტად დუმდა ადამიანზე, რომელმაც თითქმის მეოთხედი საუკუნე გაატარა სიკვდილმისჯილთა საკანშიც, არაერთგზის იყო ჩაბორკილი. მაგრამ ყველაფერს გაუძლო, რათა ტანჯული სული და ძვირფასი ხელნაწერები სათაყვანო სამშობლოში ჩამოეტანა... პრესა ჯიუტად დუმდა ადამიანზე, რომელიც ამ განსაცდელის ჟამს თითქოს ჩვენს გვერდით იდგა და თუ ყურს მივუგდებდით, ჩვეული სიბრძნით გვმოძღვრავდა...

„ზნეობის მოპოვებას თაობები სჭირდება, დაკარგვას კი ერთი ქალამნის დაცვეთის დროც ჰყოფნის....“

„შინაგათიშულობის დროს ერი მუდამ ჰკარგავს რაღაც არსებითს, და მერე თაობებია საჭირო ამ ხარვეზის ამოსავსებად...“

სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ერთჯერადი გაზეთის – „ლევან გოთუა 90“-ის დასტამბვა, რომ ქვეყნის ხელისუფლებაში მოსული ზოგიერთი ზვიგენისთვის შემეხსენებინა ლევან გოთუას ცხოვრებისეული კრედო.

„არავითარი ბედნიერება არც მწადს და არც მწამს, უკეთუ ჩემი სამშობლოს ხარჯზე იქნება...“

მსურდა, ჩემს თანამემამულეებსაც გაეთავისებინათ ბატონი ლევანისეული სიბრძნე:

„ვარამბედობის ჟამს თავიანთი მარნებიდან ნუ გახედავთ საერთო საქმეს, თორემ ყველას გაგიმწარდებათ ზედაშე...“

„დაქსაქსული ერის შვილებს, ალბათ, არა გვაქვს პირადულზე ამდენი ფიქრის ნება...“

„მრავალმა აგურობა უნდა გასწიოს, ჩვენში კი ყველას დედაბოძობა სწადს...“

მავანთათვის მაღალი ტრიბუნებიდან „ერის მამებად“ და „ქვეყნის გადამრჩენებად“ რომ გვაჩვენებდნენ თავს,– მსურდა შემეხსენებინა, რომ „ერისა და ოჯახის ბედნიერება თითქმის თანხვედრია, ხოლო თუ შენი ოჯახი ბედნიერია და ერი კი არა – სადღაც ვერ ყოფილხარ უანგარო...“

იმ დღეს გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ ჩემი განზრახვა რომ გაგანდეთ – უმალ მომიწონეთ, დახმარებაც აღმითქვით...

– ნუ გეშინია! ყველაფერს მოევლება, შენს გვერდით მიგულეო! გაზეთის რედაქტორობაზე კი უარი მითხარით...

– შენი დაწყებული საქმე შენვე მიიყვანე ბოლომდე! სიყვარული შეუძლებელს შეგაძლებინებსო! მეორე დღეს კი თქვენი მეგობარი, ფრიად პატივცემული პიროვნება, ბატონი ბონდო, ხობელავა შეგვეხმიანა, გაზეთისათვის საჭირო ქაღალდი მოგვიგვარა... ღმერთმა დალოცოს! ჩემმა ახალგაზრდა მეგობარმა, ნოდარ სუმბაძემ ბრწყინვალედ დააგვირისტა გაზეთის სათაური... ბ-ნი ლევანის ახლო ნათესავის – გოგი გოთუას, მოსკოველი ვიქტორ არჩილის ძე გელოვანის, სოჭელი ავთანდილ შამათავას, თბილისელი ლევან დავითაშვილის, ივანე ჯაფარიძის თანადგომა და საქმეს სწრაფად მოება თავი... ერთჯერადი გაზეთის დასტამბვას რეგისტრირებული ორგანოს ნებართვა სჭირდებოდა. „ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი,“ დახმარების ხელი „ნერგის“ რედაქტორმა მარინე თექთუმანიძემ გამოგვიწოდა. გაზეთში დაისტამბა ქალბატონების – დოდო ჭიჭინაძის, ელენე აბაშიძის, დენიზა გოზალიშვილის, ბატონების – ვახტანგ ტაბლიაშვილის, ელგუჯა მაღრაძის, ოტია იოსელიანის, ვახტანგ გურგენიძის, სოლომონ ხუციშვილის, ვახტანგ ბერიძის, ოთარ გიგინეიშვილის, გურამ სოფრომაძის, რევაზ ტყავაძის, ლევან ფრუიძის, გიორგი შათირიშვილის, ვანიკო და სიმონ ჯაფარიძეების მოგონებები, სიმონ ჯანაშიას, დავით კვიტაიშვილის, იგორ დობროშტანის წერილები, სოლოვეცკელი და ვორკუტელი პოლიტმატიმრების უნიკალური ფოტოსურათები, გაზეთის პირველ გვერდს კი გურამ თიკანაძის მიერ არმაზის სანახებში აღბეჭდილი ბატონი ლევან გოთუას დიდებული პორტრეტი ამშვენებდა.

იმ დღეს გაზეთის პირველი ეგზემპლარი თქვენ მოგართვით. დიდხანს ფურცლავდით გაზეთის საღებავშეუმშრალ გვერდებს... კეთილად დამებედა თქვენი დალოცვა და წინასწარმეტყველებაც – გაზეთს გამოეხმაურა: „ალიონი“, „მოამბე“, „პიკის საათი“, „ირაო“, გაზეთები – „თბილისი“, „ლიტერატურული საქართველო“, „იბერია-სპექტრი“, „შვიდი დღე“, „ნერგი“, „სამშობლო“, „აღორძინება“, „ქუთაისი“, „წყალტუბო“, რადიოსადგური „თავისუფლება“, ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატებიდანაც მივიღე ბარათი, პროფესორი დოდონა კიზირიასგან...

რა დამავიწყებს, რა თბილად დამლოცეთ თქვენ ოჯახში, უძვირფასესი ქართული კონიაკით, მეუღლესთან, ქალბატონ ლიასთან ერთად. მაშინ ბრძანეთ – ბუმბერაზი კაცია ლევან გოთუა, რომელსაც მომავალ საუკუნეში უფრო დააფასებენო... ღირსეული კაცის გახსნება კი პატივს მიაგებსო არა მარტო მას, ვისაც იხსენებენ, არამედ მათაც, ვინც იხსენებსო – მკითხველს...

ჭონქაძის ქუჩიდან ამაღლებულ განწყობილებაზე გამოვედი და მწერალთა კავშირისაკენ გავფრინდი. თავმჯდომარესთან შევედი და გაზეთი წინ დავუდე. მან გაზეთი გადატრიალა. ეტყობა რედკოლეგიის შემადგენლობა არ „ეპიტნავა“, მომაჩერდა...

გაზეთი სიხარულით მივიტანე, მეგონა მეტყოდა, რა კარგია, მწერლები სირცხვილს გადაგვარჩინეო. კეთილი სიტყვების მოლოდინში ვარ. ამ დროს თავმჯდომარე მეკითხება: „კი, მაგრამ, ქაღალდი საიდან?“

ამ სრულიად უადგილო შეკითხვით გაოგნებულმა „ტუმბოჩკიდან“- მეთქი,– მივუგე. ვიცი, ცუდად მოვიქეცი, მაგრამ იმ წუთას სხვაგვარად არ შემეძლო.

იქვე, ბატონი ელგუჯა მაღრაძის კაბინეტში ნირწამხდარი შევედი. ოთახში სამნი იყვნენ. გაზეთი მორიდებით გავუწოდე. ბატონმა ელგუჯამ ჩემი თავი მეგობრებს წარუდგინა, არც საქებარი სიტყვები დაიშურა...

გმადლობ, ბატონო გიზო!

გმადლობ, იმ მძიმე ჟამს, ქვეყნის უბედურებით გულშეძრულს, სრულიად უსახსროს, გაზეთის დასტამბვა რომ შემაძლებინეთ ჩემთვის სათაყვანო ადამიანზე, გაზეთისა, რომელმაც ამდენი სულიერი შვება და ბედნიერი წამები განმაცდევინა.... მრავალჟამიერ!

1998 წ.

„მცირე პროზა" „ანეულის" ფორკლებზე...

მერვე წელია, რაც თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ–მუზეუმის თაოსნობითა და ორგანიზებით ტარდება ლიტერატურული კონკურსი სტუდენტებისთვის „მცირე პროზა".

იდეის წარმოშობა თავად სტუდენტების თხოვნამ და განსაკუთრებულმა სურვილმა განაპირობა. თავიდან მოთხოვნები იყო მოკრძალებული მუზეუმის მესვეურთა მხრიდან ამ პროექტისადმი, ანუ წიგნიერი, წიგნის მოყვარული ახალგაზრდების წარმოჩენა, მათი წახალისება. მსგავს შედეგებს არ ველოდით. წლიდან წლამდე იზრდებოდა ახალგაზრდების ინტერესი ამ კონკურსის მიმართ, იზრდებოდა მათი ჩართულობა და შემოტანილი ნაწარმოებების მხატვრული დონე.

„მცირე პროზის" კონკურსმა გვაჩუქა ახალი სახელები ქართულ მწერლობაში. მათ სახელებს ვხვდებით სხვა ლიტერატურულ კონკურსებშიც. ისინი ყველგან წარმატებულები არიან. მათი ნაწარმოებები იბეჭდება ცნობილ ლიტერატურულ ჟურნალებში („ლიტერატურული პალიტრა", „ჩვენი მწერლობა"); წელს კი გამარჯვებული ნაწარმოებები დაიბეჭდა ჟურნალ „ანეულში", დიდი მადლობა ჟურნალის ხელმძღვანელობას ამ შემოთავაზებისთვის.

ჟიურის მკაცრი მოთხოვნით საკონკურსო ნაწარმოებები წინასწარ გამოქვეყნებული კონკურსის პირობების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ნაწარმოები უნდა იყოს მცირე პროზაულ ჟანრში შესრულებული მოთხრობა, ესსე, ნოველა ან ჩანახატი. ამ ყველაფერს თავად კონკურსანტი ირჩევს. თემა თავისუფალია, შეზღუდვების გარეშე.

ნათია ფაილოძე

ლილი გლურჯიძე

თამარ გელაშვილი

ბოლო ორი წელია, ამ ლიტერატურულ ჟანრს დაემატა პუბლიცისტიკა, რაც ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბების კარგ შესაძლებლობას გვაძლევს.

გამარჯვებულთა დაჯილდოების დღეს ტრადიციად იქცა კონკურსანტების მონაწილეობით გამოფენების, კონცერტების მოწყობა, რასაც ისინი დიდი ენთუზიაზმით აკეთებენ.

დაბოლოს, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ამ კონკურსის მხარდამჭერებს: თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურს, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრს დაფინანსებისთვის, კომპანიებს – „გალფს" და „სილქნეტს", პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკას, მხატვარ ნატო სირბილაძეს, ჟურნალ „ანეულს" – მის მთავარ რედაქტორს თამარ შაიშმელაშვილს.

ყველამ ერთად ვაკეთოთ კეთილი და საშური საქმე.

გთავაზობთ კონკურს „მცირე პროზის" სამი გამარჯვებული ავტორის ნაწარმოებებს:

ლილი გლურჯიძე „ნიკო და ბერტი", I ადგილი;

ნათია ფაილოძე, „ადენოზინტრიფოსფორმჟავა", II ადგილი;

თამარ გელაშვილი, „საყვარელი შენ და ობობა ქილაში, ანუ მამაჩემი ტერორისტია", III ადგილი.

ნანა ელიზბარაშვილი,
პროექტის ავტორი, მუზეუმის დირექტორი

ᲚᲘᲚᲘ ᲑᲘᲣᲩᲯᲘᲫᲔ

ნიკო და ბერტი

ნიკო ახველებს. ბერტი მხრებს იჩეჩავს.

ნიკოს შიმშილის გრძნობა ძველ ნივთებთან აბრუნებს.

ბერტი კი უდარდელად ზის ფანჯრის რაფაზე და ფეხებს ათამაშებს.

გაცვეთილი სიჩუმე.

ვიწრო ქუჩიდან ჟანგიანი, ხვეულა კიბით პატარა სხვენში მოხვდებით. აქ არც ზედმეტი საგნებია,არც ზედმეტი ჩრდილები. ადამიანის ცხოვრების კვალსაც ვერ შენიშნავთ. მტვრიანი თაროები. ყვითელი ფურცლები უცნაური ნახაზებით და სქემებით. ცარიელი ბოთლები, თუთუნი. ორი ხის სკამი, ერთი მაგიდა და რკინის საწოლი. კიდევ რამდენიმე თუნუქის ყუთი და უსახური ნახატი კედელზე. ერთადერთი ფანჯარა, რომლიდანაც სინათლე მოკრძალებულად იფილტრება მიძინებულ ოთახში.

— ბერტ, ცივა. ჩაი უშაქროდ. იდეალური დილაა.

ბერტი ცალ ფეხზე ხტუნაობს და ნაბიჯებს ზომავს.

— გველოდებიან, სირცხვილია... მალე გაემზადე...

ბერტი რაღაც მელოდიას ღიღინებს. სიცარიელეს აშტერდება.

— ალბათ იწვიმებს.

ნიკო და ბერტი წლებია აქ ცხოვრობენ. თითქმის შეუმჩნევლად. ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ, ვერც გაიტანენ ნალექიან დღეებს და შეშლილ ღამეებს. იშვიათად საუბრობენ, უფრო იშვიათად ოცნებობენ. ფულსაც ასე შოულობენ. ერთად,ცოტას... თვიდან თვემდე სამყოფს... ზოგჯერ თეატრში ბოლო რიგის ბილეთებზე ყოფნით კიდეც... უფრო იშვიათად ტკბილეულით სავსე პარკს ყიდულობენ და იზოგავენ... ასე იწყობენ პატარა დღესასწაულებს...

ნიკოს მუდამ ერთი ხაკისფერი კოსტიუმი აცვია და წელში ოდნავ მოხრილი დადის. ვიწრო მხრებზე ეტყობა შიში და მარტოობა. ბერტი ჭრელ-ჭრელ პერანგებს და ვიწრო ჟილეტებს ატარებს. უცნაური სიარულის მანერა აქვს. შორიდან პატარა ბავშვი გეგონებათ. ახლოდან კი ჯუჯა, რომელიღაც ზღაპრიდან ან ხალხური თქმულებიდან დროებით გამოპარული.

— დროა.

ნიკო ქუდს იხურავს. ბერტი მორჩილად უდგება გვერდით. მიდიან.

დარბაზი სავსეა. ხალხი ჩურჩულებს. ბორგავს. მოუსვენრად ტრიალებს უამრავი ბგერა და სურნელი. მოლოდინით გაჟღენთილი ჰაერი მძიმეა.

— აქ ბერტის გამო მოვედით. ამბობენ, შეუდარებელიაო.

— ნიკოზე რას იტყვით?

— უცნაური კაცი ჩანს... პირქუში. მაგრამ, დამეთანხმებით, ბერტი... ნამდვილი სენსაციაა... აღმოჩენა! ერთი სული მაქვს, ჩემი თვალით როდის ვნახავ!

— ჩუმად. იწყება...

— წარმოუდგენელია. როგორ გვიყურებს...

ნიკო და ბერტი არტისტები არ არიან. არც ახალ ფოკუსებს იგონებენ, არც შთამბეჭდავ როლებს თამაშობენ. ჩუმად სხედან სკამზე და უჩვეულო ჟესტებით ყვებიან უბრალო ამბებს. ხალხი სულგანაბული უსმენს, თან ბერტს არ აშორებს შეცბუნებულ მზერას. ზოგჯერ პიანისტი ქალი ახლავთ. მშვიდ მელოდიას უკრავს. ცივი, მელანქოლიური ფონი. ნიკო ზურგით ზის და მხრებით გრძნობს მის არსებობას. ყველაზე ახლოს ამ მაგიურ სივრცეში არიან. ყველას თვალწინ.

აპლოდისმენტები. ცოტაც და ბერტს წრეს შემოარტყამენ. რაზე არ წავლენ, ოღონდ კი ხელი შეახონ ან რაიმე უთხრან. უფერული აუდიტორია და მასობრივი ისტერია. კარიკატურული სახეები. წყვეტილი ხმაური. ნიკო კუთხეში იცდის.

— მშენიერი იყავით, ნიკო. ძალიან გულწრფელი და სევდიანი.

— თქვენი მუსიკა ქმნის მთავარ ისტორიას. მე... ბედნიერი ვარ... რომ აქ ხართ.

ქალი იღიმის. ნიკო ბერტს უყურებს. სულ მთლად დაპატარავებულა. მალე დატოვებენ ამ უცხო სივრცეს.

— ბერტ, წასვლის დროა...

ბერტი სკამიდან ჩამოდის. ნიკოს ხელს კიდებს.

სხვები თვალს აყოლებენ კონტრასტულ ნაბიჯებს.

ნიკო და ბერტი ქუჩა-ქუჩა დაეხეტებიან.

ბერტი კენჭებს აგროვებს.

ნიკო ჯიბიდან პატარა წიგნს იღებს.

ნიკო კითხულობს.

ბერტი უსმენს.

შელოცვების წიგნი

ლურჯი ზღაპრები. მოხუცი ქალის თვალების ჩრდილი.
ჩრდილების თეატრიდან ღმერთები გაიქცნენ.
დაკარგული სიტყვები. დამსხვრეული ტოტები.
ადექი და იპოვე სიკვდილის ქურუმი.
მარტოობის ფერი.
მუდამ ამ წყეულ გაჩერებაზე ვხვდებით და მაინც ვერ ვისწავლეთ სხვა გზებით სიარული.
თავისუფლების ბოლო ესკიზი, ხედით ზღვისკენ.

საბავშო მოედანს უახლოვდებიან. თითქმის ცარიელია. წვიმს.

ბერტი საქანელაზე ჯდება და ნელა ირწევა.

ნიკო ჩანახატებს აკეთებს.

— ბერტ, რომელ ვარსკვალვს ინატრებდი? შემიძლია სქემა დაგიხაზო. კოსმოსური ხომალდით გავფრინდებით. სინათლის სიჩქარით სხვა გალაქტიკისკენ... ახალი აღმოჩენები... სიცარიელე... პირობითი უსასრულობა. გცივა?

ბერტი მხრებს იჩეჩავს.

— ბერტ, რატომ ვართ აქ? რისი გვეშინია...

იქვე ახლოს მამასთან პატარა ბავშვი მირბის.

— იქ მოჩვენებაა...

— არა, ეს ბერტია... ნახევრად ცოცხალი სათამაშო... გახსოვს მის წარმოდგენაზეც ვიყავით თოჯინების თეატრში...

— თვითონ მითხრა, რომ მოჩვენებაა...

— ჯადოსნური სათამაშოა... არაფერს დაგიშავებს...

ბავშვი ეჭვით უყურებს ბერტის მხრებზე ჩამოკიდებულ თითქმის გამჭვირვალე ძაფებს. რაღაც საიდუმლო იცის. არავის გაუმხელს.

— ბერტ, რატომ გამოგიგონე? ჩემზე ცოცხალი ხარ... ჩრდილები ცეკვავენ...

წერილი

ალბათ გგონიათ, რომ შეშლილი ვარ.

ზოგჯერ სიჩუმეში ალქაჯები ცხოვრობენ და გასაქანს არ გვაძლევენ. ჩვენც შიში გვიპყრობს. ასე ვიგონებთ ცოცხალ არსებებს და ვემეგობრებით. შეიძლება უარესიცაა.

სახლში ვბრუნდები. უკვე გვიანია.

იმედია ბერტს გაუფრთხილდებით.

უბრალო სათამაშო არ გეგონოთ. ყველაფერი ესმის.

შელოცვების წიგნი წაუკითხეთ ზოგჯერ. სხვა მხრივ თავად იპოვის ცხოვრების გამართლებას. ერთი კუთხე მიუჩინეთ სახლში პატარა ხის სკამით და ზედმეტად ნუ შეეჩვევით... საშინლად მომენატრება. იქნებ თქვენ მაინც გითხრათ რამე.

მიყვარხართ, მაპატიეთ.

პატარა ადამიანის შავ-თეთრი სიზმარი და თქვენი ხელები. შიშველი ბგერები.

ხისგან გამოთლილი ქალაქი და კაცუნები. ჩვენი დრო.

მშვიდობით.

ნიკო მიდის. ბერტი რჩება.

ნიკო ტირის. ბერტი იცინის.

ნიკო ზღაპრებს იგონებს. ბერტმა ყველა მითი ზეპირად იცის.

ნიკო.

ბერტი.

ნათია ფაიღოძე

ადენოზინტრიფოსფორმჟავა

1.

ღამეული მოჩვენებები და ყრუ ხმაური. როგორ მინდა ახლა ჩემი ტუჩიდან ანათალი თხელი კანის გემო გავიგო. ვიგრძნო, როგორ მომდის სისხლი.

ზემოთ გაუთავებლად ეხეთქება რაღაც იატაკს. მე მეშინია. პირი ვერ გამიღია. ვიცი, ზედმეტი ჰაერი არ უნდა შევისუნთქო. ველარც ცხვირით ვსუნთქავ და... აი! მორჩა! ჩავიძირე. ვიცოდი, ვიცოდი. სულ ვგრძნობდი წყალში დავიხრჩობიმეთქი. და აჰა! მივდივარ და მივდივარ. საწოლიდან პირდაპირ წყალში აღმოვჩნდი. ქვემოთ ბნელა. ზემოთ გამჭვირვალე წყალია. თვალებს ძლივს ვახელ, მაგრამ წითელ წინწკლებს მაინც ვხედავ. რა ჯანდაბაა? აააა.... დრო ვიხელთე და კბილები ტუჩში ჩავარჭე. ჩემი სისხლია. გემოსაც ვგრძნობ. კარგია, მომწონს. მხოლოდ ამ გემოს მართლა ვგრძნობ. გეგონება ცხადია. ზვიგენმა პირი გააღო ჩემს გადასაყლაპად და გამეღვიძა. ტუჩიდან სისხლი მომდიოდა. რა თქმა უნდა.

შიშის გრძნობას არ გავუღვიძებივარ, სულაც არა. შიმშილმა გამაღვიძა. ზვიგენიც ამის ბრალია, ალბათ. საათს დავხედე. შვიდის ჩვიდმეტი წუთია. გარეთ მალე მზე იქნება. მამალიც ყივის ალბათ სადმე. ნელი ქარი ჩემს ცაცხვის ხესთან ერთად ქრის. „დღეები რბიან, დრო მიდის და მე მაინც ვცხოვრობ“. *

2.

სადღაც, გულის ღრმა კუნჭულში, პირველი სექტემბრის ამ არაჩვეულებრივ დილას, საბნიდან ფეხის გამოყოფას სიკვდილი მირჩევნია. მაგრამ რა ვქნა, უნდა ვიცხოვრო ეს ძაღლური ცხოვრება. ძალიან დრამატული კია, მაგრამ არა უშავს.

„ტრამალის მგლის გაძაღლებული ცხოვრება“... თავში ამოტივტივდა, რატომღაც. აჰ! იმიტომ, რომ ვკითხულობ. ერთის ხათრით. ის კიდევ ვენესუელურ ფოლკლორს უსმენს. გაგიჟდება კაცი.

ეს დილა მშვენივრად დაიწყო. ზვიგენი, ტრამალის მგელი, სადმე ახლო-მახლო გოძილაც იქნება. უი , ყოფილა. გაუმარჯოს!

სამზარეულოში გავედი.

ყავა დავისხი. არ დამილევია, მაგრამ კარგი იყო, მომეწონა.

სახლიდან გავედი.

ყოველ დილას პირველ სართულამდე ყირამალებით ჩავდივარ. ძალიან კი მიკვირს, ამ დროს ჩემი ფეხები რატომ არ შორდება კიბეებს, მაგრამ არა უშავს. ალბათ არის რაღაც, რაც არ ვიცი.

ჩემს ქუჩას გავუყევი. მზე უკვე ამოსული იყო და მე მანათებდა. მივდიოდი. უცებ მარჯვნივ გავიხედე და ვიტრინაში ჟერარ დეპარდიე დავინახე. ოდნავ გავიცინე და გზა განვაგრძე. სადღაც ათი ნაბიჯის შემდეგ მივხვდი, ეს ჩემი სილუეტი იყო. ხარხარი მომინდა, მაგრამ ვიცოდი, არ ღირდა.

ჟერარის სილუეტი კარგა ხანია არ მშორდება, თუმცა ასე ცხადად არასდროს დამინახავს. რას ვიზამთ. შევეგუე. უკვე. საზიზღარი გრძნობაა, რაღაცას რომ ეგუები.

ასე მივაღწიე გაჩერებამდე და შევუერთდი თითქოსდა ასტეროიდის ან უცხოპლანეტელთა ხომალდის მომლოდინე სახეთა გუნდს. ავტობუსი რომ ცარიელი იქნება, ან იმდენად ცარიელი მაინც, რომ დავჯდე, მაგის იმედი არასდროს არ მაქვს, მაგრამ დღეს ეტყობა Magic in the air ** იყო. ვიჯექი და ვფიქრობდი, აი ახლა ჩამოვხტები და გავიჭრები ველად, კი არადა ტრასად. ვირბენ და ვირბენ. ვიყვირებ. ვიტირებ. ვიცინებ.

ავტობუსიდან ფეხი გადმოვდგი და პირდაპირ უნივერსიტეტში შევედი. მაგრამ თუ გეოგრაფიული მდებარეობით ვიმსჯელებთ, ბევრად მერჩივნა, ერთი ორი ქანით ზემოთ ვყოფილიყავი. ან თუნდაც ბრაზილიაში. არ ვიცი, რომელიღაც. ოღონდ სადმე სიყვარული ყოფილიყო. და არაფერი სიყვარულის გარდა. ცოტა შოკოლადიც.

3.

ეს გრძნობა (ისევ სიყვარულზეა ლაპარაკი) ჰაერში დაფრინავს.

და თან გაფრთხილება სჭირდება.

ტყუილს ვერ იტანს.

ოჰ, ეგ ხომ ვიცით არა?

კი ვიცით.

ნეტა რა ხეირი...

კაცმა რო თქვას, შეიძლება უმაგისოდაც გაძლება...

Oh no!***

ზოგჯერ ვფიქრობ, არა უშავს, თუ ნამდვილ სიყვარულს ვერ ვიპოვი...

ჩემზე ერთი ორი ქანით ზემოთ, ჩემ გასწვრივ და ალბათ ოდნავ ქვემოთაც არის ის, რაც მე მჭირდება, საქმე ისაა, რომ მე არავის ვჭირდები. არცაა გასაკვირი. მე მატყუარა ჟერარ დეპარდიე ვარ. ტყუილი და სულელური საქციელიც რომ არ იყოს, ჟერარ დეპარდიეს სილუეტი ხომ უეჭველი მაქვს.

არადა სიყვარული რომ არ არსებობდეს, ჩემი აზრით, არაფერი გვეშველებოდა. ძალიან მოვიწყენდით. ბედნიერებაა, როცა დგება ჟამი გამოყრუების. ყველასგან მიტოვებული იწყებ განუწყვეტელ ცემინებას (ალერგიული ვარ) და ვიღაც ცხენთევზებზე ფიქრს. არცერთი სხვა გრძნობა არ ჰგავს ამ სულელურ მდგომარეობას.

4.

ზარია.

წამოვედი სახლისკენ.

– ერთი თეთრი დაჭრილი პური, თუ შეიძლება?!

– ბატონო?

(ვაი! უნდა გავიმეორო)

პური ამოვიტანე. შევჭამე.

– Tu va grossir toi!****

რაო? ვინ არი? რა არი? ვინ ლაპარაკობს? აა, ჟერარ, თქვენ ხართ? ეჰ, თქვენ რა იცით, ჟერარ. ან იქნებ იცით. ერთი თვეა ვეშაპივით ვცხოვრობ. მასავით ვლაპარაკობ და ჩემი ერთი თვალი არ ხედავს იმას, რასაც მეორე. იცით მე... მე, მე მგონი, შეყვარებული ვარ. თქვენ ალბათ... ჟერარ, ჟერარ...? ჟერარ?!! მისმენთ? გძინავთ? კარგი აზრია!

5.

პირველი ოქტომბრის ამ დილასაც ჭირივით მეზარება ადგომა. სახლიდან გასულმა ზეამაღლებულად გენიალური გადაწყვეტილება მივიღე, ასტეროიდის მომლოდინე ხალხს გვერდი ავუქციე და მეტროში ჩავედი. სადგურები იცვლებოდა, ჩემი იდეა კი ნელნელა კარგავდა ბრწყინვალებას. მარჯანიშვილზე ვეღარ გავუძელი და ჩამოვედი. გადავწყვიტე თოლიებისთვის მეყურებინა. ამას ხშირად ვაკეთებ, მაგრამ დილაადრიან ასეთ ხასიათზე ჯერ არ ვყოფილვარ. გალაკტიონის ხიდზე ვდგები, არ აქვს მნიშვნელობა, რომელ მხარეს და მდინარეს ვუყურებ. მერე ზემოთ ვიხედები. თოლიები თავზე გადამიფრენენ და მეც სულელივით ვიღიმი. მეცინება კიდეც. რატომღაც თავს ბედნიერად ვგრძნობ. თან ვიცი, ეს ყველაფერი ერთ დღეს დამთავრდება. თოლიებიც დამთავრდებიან, ჩემი მზეებიც თან მიჰყვებიან, გამხმარი ფოთლებიც და ისე მენანება. ძალიან.

...ის კარგი ადამიანია. სულ არ მინდა, რომ ვნახო. ასეთი ნათლითმოსილი როდის გავხდი, არ ვიცი, მაგრამ აშკარად ვგძნობ, ჩემთვის საკმარისია ბედნიერი იყოს. თუნდაც შორს. აი, როგორც სერიალებში ამბობენ.

ხიდიდან რომ მესკუპა, მტკვარს გავყვებოდი სახლამდე, მაგრამ ისევ „მარშრუტკა“ ვარჩიე.

თეთრი პური აღარ ჰქონდათ.

შავი არ მიყვარს.

თონის ვიყიდე.

ცხელი იყო.

იყო.

რამდენიმე წუთი.

სანამ სამოცდაათსანტიმეტრიანი ყვინთვა განახორციელა ჩემს მუცელში.

ჟერარმა თქვა: oh la la!*****

6.

ისევ დაღამდა და რაღაც მტკივა. დღეს ვათენებ. არ მეძინება. სახლში ისე ცივა, პირიდან ბოლს ვუშვებ და ესეც მიხარია.

ადრე ღამე არ მიყვარდა.

ჩემმა ფიქრებმა ისევ გამყიდეს და ისევ დავრჩი მარტო.

ისევ აქეთ-იქით ვირწევი და ვფიქრობ... რა კარგია ნატო.

„შეგვიშვით ნატოშიი... ლა ლა ლა“...

ჩვენ ხო ბედი არ გვაქვს რა.

მაინც დავიძინე ცოტა ხნით.

7.

პირველი ნოემბრის დილას ჩემი ფეხები საწოლზე იდო, მაგრამ ჩემი თავი იატაკზე. ვერ მივხვდი, რომ ავმდგარიყავი, ამისთვის ფეხები უნდა დამედო იატაკზე თუ თავი ლოგინზე. საკმარისად დიდი ხანი ვიფიქრე და ბოლოს ის მოქმედება შევასრულე, რაც

ჩემს სხეულს ყველაზე მარტივად მოეჩვენა, ანუ მიწაზე ზღართანი მოვადინე.

სახლიდან წელის ტკივილით გავედი და მთელი დღე დავიკლაკნებოდი. უაზროდ ვიარე. რაღაცებს ვათვალიერებდი. ვერაფერი ვიპოვე. არაფერმა გამახარა.

მერე ქარმა დაუბერა. მიწამ მიწის ერთი ნაწილი ჰაერში დაატრიალა და ცემინება დავიწყე. დავიწყე და ვეღარ დავამთავრე. როცა ვაცემინებ,ჩემი გულმკერდიდან რაღაც უცნაური და გამაღიზიანებელი მეტალის ექო ამოდის. დღემდე ვერ გამიგია,რა არის.

ცემინება დავამთავრე და თვალები ცრემლიანი მქონდა. ჩემკენ ერთი გოგო და ორი ბიჭი მოდიოდა. გოგო ვიცანი, ერთი ბიჭიც და მივხვდი, მეორე ის უნდა ყოფილიყო. შენელებულ კადრში აღმოვჩნდი და ძლივს გავაპარე თვალი სულ მარჯვნივ.

ოხ, ჯანდაბა! (აი, კარამბა!) მართლა ეგ ყოფილა. უცებ ვერ გავიგე,რა უნდა გამეკეთებინა. ორ წამში ყველაფერი ისე დატრიალდა თავში, ბავშვობაც კი გამახსენდა. კი გამიკვირდა, რა შუაში იყო, ეგ ხო სიკვდილის წინ ახსენდებათ, მაგრამ ეტყობა, ჩემს სხეულს მსგავსი შეგრძნება ჰქონდა.

ვიფიქრე, მოპირდაპირე ქუჩაზე გადავირბენ-მეთქი, მაგრამ უეჭველად ავტობუსი გამჭყლეტდა. მერე მარჯვნივ გავიწიე, მაღაზიისკენ. თან ვფიქრობდი, ახლა რაიმე ექსტრემალური რომ მომხდარიყო, მაგალითად, მანქანა ამოვარდნილიყო ტროტუარზე, მე ვისკუპებდი და მას ჩემი ჟერარ დეპარდიეს კორპუსით გადავეფარებოდი (ღმერთმანი, თუნდაც ბოინგი დაგვეცეს, მაინც დავიფარავ)... ის კი მეტყოდა – თქვენ მოჰკალით ძერა? კი არადა, ეგ სხვაა. – რამე ხომ არ იტკინეთ? და ბოლოს... ბოლოს.... ბოლოს იმათ გაიარეს და მე დავრჩი დებილივით.

დავდექი ამ ქარში ასე. სულელი. დიდი ხანი ვიდექი. თხუთმეტი წუთი ან მეტი. გაუნძრევლად. პულსი მომატებული მქონდა. სახე გაშტერებული. თვალები გაბრწყინებული. ეს ოხერი მართლა შეყვარებული ვიყავი. ძალიან მიხაროდა. ჩემს დეპარდიეს სილუეტსაც უხაროდა.

ჰოდა, გავუდექით მე და ჟერარი გზას. პური ვიყიდეთ, სახლში ავედით, ლოგინზე წამოვწექით და დიდხანს ვიცინოდით.

---

* „დღეები რბიან, დრო მიდის და მე მაინც ვცხოვრობ“ – გიიომ აპოლინერი „მირაბოს ხიდი“ (ლელა მეტრეველის თარგმანი).

** Magic in the air – მაგიური წუთი. – მაგიური, საოცარი დრო (სიტყვასიტყვით – მაგია ჰაერში).

*** Oh, no! – ო, არა! (ინგლ.).

**** Tu va grossir toi! – გასუქდები! (ფრანგ.).

***** oh la la – შეძახილი, რომელიც გაკვირვებას, ხშირად კმაყოფილებასაც გამოხატავს.

თამარ ბელაშვილი

საყვარელი შენ და ობობა ქილაში, ანუ მამაჩემი ტერორისტია

„განსხვავებას ტერორისტსა და თავისუფლებისათვის მებრძოლს შორის პერსპექტივა ქმნის: ყველაფერი დამოკიდებულია დამკვირვებელზე და ისტორიის მიერ გამოტანილ ვერდიქტზე“.

პენტი ლინკოლა

„ჰო...

დიახ...

არა... ჰო....

ჰო...

ჰო... ეგრეა...“

ფანჯრის მინასთან მდგომი ზაკი თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა... არავინ იცოდა, ასეთ მომენტებში რაზე ფიქრობდა, ან რა სურდა... უბრალოდ ასეთ დროს უნდა დაგეცლია მისთვის მარტოობა და უაზრო ლაპარაკი... პრინციპში, ზაკს ისედაც არ უყვარდა ხალხმრავლობა....

გასაკვირია, რომ მიუხედავად ამ ყველაფრისა, ის მაინც მუშაობდა ბედლამში...

ბედლამში ხომ ყოველივე ის იყო, რასაც ზაკი ბავშვობიდან ებრძოდა...

* * *

ფრიად უცნაური ბავშვი იყო ზაკი... ვერასდროს ვერავინ გაუგო, რა უნდოდა და რას მოელოდა საერთოდ ცხოვრებაში... სულ დედამისთან ერთად იყო... სახლშიც და გარეთაც და, მიუხედავად იმისა, რომ საოცრად ჰგავდა მამამისს, როცა ის მოდიოდა ,ზაკი სხვენში არბოდა იქ იკეტებოდა და სანამ ის არ წავიდოდა, არ გამოდიოდა...

დედამისი ძალიან მშვიდი და წყნარი ქალი იყო... მამამისი კი პირიქით... ვერავინ ვერასდროს გაიგო, ეს ორი რატომ დაქორწინდა და ყოველთვის იმას ამბობდნენ: „სიყვარულს რას გაუგებო“, თუმცა ზაკი ბოლომდე დარწმუნებული იყო, რომ მამამისის შემთხვევაში სიყვარული არაფერ შუაში იყო... მას უბრალოდ სხვა ქვეყანაში სურდა ცხოვრება და ამის გამო დაქორწინდა დედამისზე... აი დედამისს რა სურდა, ეგ უკვე ზაკმა აღარ იცოდა...

დედამისს მოგზაურობა უყვარდა... და საოცარი თავგადასავლები... ზაკს ასეთი დრო აღარ ახსოვდა, თუმცა დედამისი ყოველთვის უყვებოდა თავისი პირველი და უკანასკნელი მოგზაურობის შესახებ ეგვიპტეში... ეგზოტიკურ და ცხელ ეგვიპტეში... ფარაონების ეგვიპტეში... პირამიდების ეგვიპტეში... მეფეთა ველის ეგვიპტეში... ეგვიპტეში, რომელიც ერთდროულად ხიბლავდა და აშინებდა მას... ეგვიპტეში, სადაც მზე იმაზე ცხელია ვიდრე ახლად ადუღებული წყალი... ეგვიპტეში, სადაც ის შეხვდა მას...

* * *

ბედლამი...

მანჰეტენში მდებარე ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ბარია...

აქ ხალხი შებინდებიდან გათენებამდე არ წყდება... და აქ არც სიმყუდროვეა და არც სიჩუმე...

ზაკი კი ბარმენია... დგას დახლთან და ათასგვარ კოქტეილებს უმზადებს აქ მისულ საზოგადოებას, თუმცა ამ ყვირილსა და ხმაურში ის მაინც მარტოა... სრულიად მარტო... და არც ხმაური არსებობს მისთვის...

ბედლამის კედლებზე ათასი ცხოველის ფიტულია ჩამოკიდებული, და სწორედ ის ეგზოტიკაა, რაც ასე იზიდავთ აქ მოსულ ადამიანებს... და ისაა, რასაც ვერ იტანს ზაკი... მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად,მაინც ბედლამში ურჩევნია ყოფნა,ვიდრე სახლში.... სახლში ხომ მამამისია.... და ბედლამში უბრალოდ უცხო ხალხი... აი მამამისს მოეწონებოდა აშკარად ბედლამი... და ცხოველთა ფიტულები... რადგან ზაკის აღქმაში მამამისი სისხლისმსმელი და ბოროტი ადამიანია... დედამისსაც მოეწონებოდა ბედლამი,ალბათ... რადგან ბედლამიც სწორედ ისეთი ეგზოტიკური იყო, როგორც ეგვიპტე... სადაც ის შეხვდა მას...

* * *

შემოდგომა იყო, როდესაც ის ეგვიპტეში წავიდა... მიუხედავად იმისა,რომ ყველა აფრთხილებდა,მარტო საშიშია,სად უნდა წახვიდეო,მაინც თავისი გაიტანა და წავიდა... ყველაფერი თავიდანვე დაგეგმილი და მოფიქრებული ჰქონდა... იცოდა, სად წავიდოდა და რას ნახავდა... ბავშვივით უხაროდა ეგვიპტეში წასვლა... თუმცა ისედაც პატარა იყო... ორი კვირით ადრე ამ მოგზაურობამდე ის თვრამეტი წლის გახდა... მაგრამ სასტიკად ჯიუტი იყო... თუ რამეს აიჩემებდა, ვერავინ გადაათქმევინებდა...

ასევე მოხდა მაშინ, როდესაც ეგვიპტიდან ერთი კი არა, ორნი ჩამოვიდნენ... ის და მისი ახლად გაცნობილი ქმარი... რომლის შესახებაც არაფერი იცოდა... არაფერი, მ ისი სახელისა და გვარის გარდა... და იმის გარდა, რომ მას უყვარდა ნადირობა... და რომ ის ჯიჰადისტი იყო...

* * *

ჯიჰადი...

ანუ საღვთო ომი...

ჯიჰადისტი...

საღვთო ომში მებრძოლი...

მაგრამ რას ებრძვიან ჯიჰადისტები და საერთოდ რა სურთ მათ?

ეს მან არ იცოდა... მაგრამ სწორედ ეს ხიბლავდა მასში... იყო ჯიჰადში რაღაც რომანტიკული და მიმზიდველი პატარა,თვრამეტი წლის გოგონასათვის... მაშინ, როდესაც მისი თანატოლები მომავალსა და კარიერაზე ფიქრობდნენ... ის... ის თავს იწონებდა იმით, რომ მისი ქმარი თავისუფლებისათვის მებრძოლი იყო... თუმცა, როდესაც ზაკი გაჩნდა... ის მიხვდა, რომ მშვიდობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თუნდაც რაიმე იდეალებისათვის ბრძოლა... მისთვის ერთადერთ საზრუნავს ახლა პატარა ზაკი წარმოადგენდა, რომელიც საოცრად დაუცველი იყო... ამიტომაც სულ რაღაც ცხრამეტი წლის ასაკში ის გაიზარდა...

მოჰკიდა ხელი პატარა ზაკს და ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად... ისწავლა... და სკოლაში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა... თუმცა არც მისი ქმარი არ ჩამორჩა მას და ისიც წამოჰყვა... მით უმეტეს, რომ ნიუ-იორკში თავად რაბი მეირ კაჰანე იყო... ნოსარის ნომერ პირველი მტერი... და მიზეზი იმისა, თუ რატომ ეზიზღებოდა ზაკს ასე მამამისი...

* * *

ბედლამში რომ დაიწყო მუშაობა,ზაკმა გადაწყვიტა, რომ ფული მოეგროვებინა და სადმე ძალიან შორს წასულიყო სამოგზაუროდ... ისე შორს, რომ არასდროს დაბრუნებულიყო უკან... ოკეანის მიღმა... და კიდევ უფრო შორს... ამიტომ ერთი პატარა ქილა აიღო... ქილა, რომელსაც დააწერა ,,ზაკის თავგადასავლისათვის'' და ბართან ახლოს დადგა... იმ ფიქრით, რომ ბედლამში მოსული ადამიანები თითო დოლარს მაინც გამოიმეტებდნენ მისთვის და ბედლამში იმდენი ვინმე დადიოდა ყოველ საღამოს, თითოეულს თითო დოლარი რომ მიეცა, ორ კვირაში ვილას იყიდდა მალდივებზე... თუმცა ამაო იყო ზაკის ეს წამოწყება... ერთი დოლარი კი არა, ცენტებსაც კი არავინ უყრიდა... ზაკი კი მაინც არ ნებდებოდა და ედგა ბართან ეს ქილა... რამოდენიმე წელი გავიდა ზაკის ამ წამოწყებიდან და ქილა მაინც იქ იდგა... ისეთივე ცარიელი... არა, ისეთივე ცარიელი არა.... მასში პატარა ობობა დასახლდა... ობობა... რომელსაც ბედლამის არცერთ კუთხე-კუნჭულში არ აჩერებდნენ,სწორედ ზაკის ქილაში დასახლდა... და ზაკიც არ ცდილობდა მის აქედან გაგდებას... არავის არაფერს უშავებდა ეს პატარა არსება და თან ყოველთვის, როდესაც ზაკი თავს მარტო გრძნობდა, დადგებოდა ქილით ხელში ფანჯრის მინასთან და რაღაცას ბუტბუტებდა... თავისთვის და გაურკვევლად...

,,ჰო...

დიახ...

არა... ჰო...

ჰო...

ჰო... ეგრეა...''

* * *

,,ჰო საზიზღარი კაცია ეგ რაბი კაჰანე... უსაზიზღრესი და ყოვლად აუტანელი...''

,,მეც გეთანხმები...''

,,შენი დათანხმება დიდი შეღავათია რა...''

,,დიახაც...''

,,რატომ გგონია ასე?''

,,მე ებრაელი ვარ და თუ ჩემთვისაა ის მიუღებელი, მაშინ შენთვის ის ასმაგად მიუღებელი იქნება''...

* * *

მეირ კაჰანე ამერიკელი ებრაელი რაბი იყო, ულტრა-სიონისტი, პოლიტიკური ფიგურა, მასწავლებელი და მწერალი, რომლის სწავლებამ თუ წიგნებმა პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ხელი შეუწყეს თანამედროვე ებრაული სამხედრო და ექსტრემალური მემარჯვენე პოლიტიკური დაჯგუფებების წარმოქმნას.

1968 წელს ნიუ-იორკში ებრაელთა დამცველი ლიგა ჩამოაყალიბა, რომლის თანახმადაც ებრაელები უნდა გაერთიანებულიყვნენ და ცალკე ყოფილიყვნენ ყველა სხვა დანარჩენი ერებისაგან. ებრაელები მისი წარმოდგენით უმაღლესი რასა იყო, რომლებიც უნდა დაქორწინებულიყვნენ მხოლოდ ებრაელებზე, რადგან სხვაგვარად მას მიაჩნდა, რომ ებრაული ღირებულებები დაკნინდებოდა შერეულ ოჯახებში. ის ებრძოდა ყველას, ვისაც შერეული ოჯახი ჰქონდა... მის მიერ დაარსებული ლიგა ხუთ ძირითად პრინციპს ემყარებოდა, თუმცა ეს პრინციპებიც ისეთივე რადიკალური და რასისტური იყო,როგორც კაჰანეს შეხედულება სამყაროს მოწყობაზე... სამყაროზე, სადაც ებრაელები დომინირებენ და ყველა სხვა მის დაქვემდებარებაშია... რადგან ყველა დანარჩენი ებრაელებზე დაბლა მდგომია... კაჰანე განსაკუთრებით ებრძოდა არაბებს და მის მთავარ ამოცანას მათი განადგურება წარმოადგენდა... კაჰანე ებრძოდა დემოკრატიასაც და აცხადებდა, რომ ისრაელი და ებრაელები არასდროს გახდებოდნენ დემოკრატიული სამყაროს მსგავსნი... რადგან დემოკრატიას რელიგია არ გააჩნია... და ისრაელი რელიგიის გარეშე უბრალოდ არ არსებობს...

კაჰანეც მებრძოლი იყო...

ნოსირის მსგავსად...

ოღონდ ორივე მათგანს თავისი სიმართლე ჰქონდათ...

და ორივენი თავიანთი თავისუფლებისათვის იბრძოდნენ... თავისუფლებისათვის, რომელსაც მხოლოდ ისინი ხედავდნენ... და თავისუფლებისათვის, რომელიც არ არსებობს... და თავისუფლებისათვის, რომელიც მხოლოდ თავისუფლების ქანდაკებაშია... იქ... ამერიკაში...

არც ერთი იყო ამერიკელი და არც მეორე...

ერთი ალაჰის სახელით იბრძოდა ხოლო მეორე — ისრაელის სახელმწიფოსათვის....

ასე ეგონათ სხვებს...

აი ნოსარმა კი იცოდა... იცოდა არა... დარწმუნებული იყო... დარწმუნებულზე მეტიც იყო... ის ალაჰისათვის არ იბრძოდა... ის იბრძოდა პატარა ზაკისათვის... და უფლებისათვის, რომ ყოფილიყო მის გვერდით, თუნდაც პატარა ზაკს ის შეზიზღებოდა...

* * *

ობობა ქილაში მშვიდად ცხოვრობდა... და მის მყუდროებას არავინ არღვევდა... თუ არ ჩავთვლით ზაკს, რომელიც რაღაცას გაურკვევლად ებუტბუტებოდა ხოლმე... ეს სხვებისათვის გაურკვევლად, თორემ ობობა დინჯად და აუღელვებლად უსმენდა ხოლმე ზაკს...

ზაკს კი ბევრი რამ ჰქონდა ობობისათვის მოსაყოლი...

პირველ რიგში კი, ნოემბრის სუსხიანი ღამე...

და შემდეგ იმავე ნოემბირს სუსხიანი დღე...

დღე,როდესაც პატარა ზაკს შეზიზღდა მამამისი...

მიუხედავად იმისა, რომ მამამისმა ეს ყოველივე მისთვის გააკეთა და არა ალაჰისათვის,როგორც ეს ყველას სწამდა...

ნოსარს კი პატარა ზაკის სიყვარულისა უფრო სწამდა, ვიდრე ალაჰის...

* * *

„ჰო საზიზღარი კაცია ეგ რაბი კაჰანე,უსაზიზღრესი და ყოვლად აუტანელი...“

„მეც გეთანხმები...“

„შენი დათანხმება დიდი შეღავათია რა...“

„დიახაც...“

„რატომ გგონია ასე?“

„მე ებრაელი ვარ და თუ ჩემთვისაა ის მიუღებელი, მაშინ შენთვის ის ასმაგად მიუღებელი იქნება“...

„გუშინ მასთან ვიყავი...“

„მასთან იყავი?“

„ჰო...“

„მერე?“

„არაფერი...“

„იტყუები... როგორ თუ არაფერი?“

„აი ასე ჩვეულებრივად... არაფერი...“

„არ მჯერა შენი... რისთვის დაგიბარა...“

„ისე უბრალოდ...“

„რაბი ისე უბრალოდ არავის ელაპარაკება...“

„აი, მე დამელაპარაკა...“

„არ მჯერა...“

„არც მე...“

„რა გითხრა...“

„არაფერი...“

„მაგიჟებს ეს არაფერი და შენი დუმილი“

„რა მნიშვნელობა აქვს?“

„როგორ თუ არ აქვს?“

„მან მითხრა, რომ თქვენ უნდა შეგეშვათ...“

„ჩვენ?“

„ჰო... შენ და ზაკს... მან მითხრა, რომ შერეული ოჯახები დანაშაულია და მით უფრო ებრაელისა და არაბის ოჯახი...“

„ასე გითხრა?“

„ჰო...“

„და შენ რა უთხარი?“

„ მე? მე ვუთხარი, დანაშაული ჩვენი სიყვარული კი არ არის, არამედ ის, რომ თქვენისთანა ადამიანები არსებობენ-მეთქი და წამოვედი...“

„მერე?“

„რაღა მერე? ავდექი და წამოვედი...“

„და მან შენ ასე გამოგიშვა?“

,,სხვა რა გზა ჰქონდა...''

,,ხომ შეიძლება მოეკალი...''

,,არა...''

,,რატომ?''

,,იმიტომ, რომ ეს ჩემი ბედისწერაა, მოვკლა იგი და არა მისი...''

,,გაგიჟდი, ზაკი გადაირევა...''

,,ზაკი ვერაფერს გაიგებს...''

ზაკს კი ყველაფერი ესმოდა... მართალია მის მშობლებს ეგონათ, რომ ზაკს ეძინა, მაგრამ ზაკს საშინელი სიზმარი ენახა და გაეღვიძა... მშობლების მოსაძებნად გამოსულმა, მათ საუბარს მოჰკრა ყური და კიბის თავზე იდგა გაშეშებული და გახევებული... შვიდი წლის პატარა ზაკი... რომელმაც არ იცოდა, რა იყო სიკვდილი... და ვერ ხვდებოდა რას ერჩოდა რაბი მათ ოჯახს... ან მამამისი მეირ კაჰანეს...

,,ხვალ დილით ათზე მერიოტის სასტუმროში გამოდის ეგ ბებერი ძაღლი სიტყვით...'' — თქვა ნოსარმა და ოთხიდან გასვლა დააპირა... მერე უეცრად მოტრიალდა და დააყოლა: ,,ეგ მისი უკანასკნელი სიტყვა იქნება...''

მისი შეჩერება არც უცდია...

ხოლო პატარა ზაკი დილით სკოლის ავტობუსს რომ არ გაჰყვა, დედამისსმა უკვე ზუსტად იცოდა, სად იქნებოდა ზაკი...

და როგორ არ ეცადა, მაგრამ ვერ დაიცვა იგი...

როდესაც დედამისი ,,მარიოტის'' სასტუმროში შევარდა, ხალხი უკვე პანიკას მოეცვა... ზოგი სად გარბოდა და ზოგიც სად... პატარა ზაკი იდგა უბრალოდ გაშტერებული... აქეთ რაბი კაჰანე ეგდო ,სისხლში ამოსვრილი და მეორე მხარეს მამამისი... თუმცა მამამისი უკეთესი მსროლელი აღმოჩნდა და რაბი კაჰანესაგან მხოლოდ მოგონებაღა დარჩა... ზაკს კი იმ დღის მერე ეზიზღებოდა მამამისი...

* * *

ობობას ქილაში ალბათ არ სიამოვნებდა ყოველ საღამოს ამ ისტორიის მოსმენა, მაგრამ მასაც ზაკივით არჩევანი არ გააჩნდა... ათასჯერ უნდა ესმინა ისტორია, თუ როგორ მოკლა მამამისმა მის თვალწინ რაბი კაჰანე... და ისიც უნდა დაემატებინა, რომ გაუგებარია მისთვის, რატომ გამოუშვეს ის ციხიდან... და ალბათ ათასჯერ მაინც ექნებოდა მისთვის ნათქვამი, რომ მამამისი მართალი იყო, თორემ ისე არავინ გამოუშვებდა ციხიდანო,რაზედაც ზაკი ბრაზობდა და ქილაში მოთავსებულ ობობას გვერდზე მიდებდა ხოლმე... ობობა კი გაიფიქრებდა ხოლმე: ,,ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს სუნთქვის უფლება, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მათგანს ლაპარაკის...'' და ზაკი მათ რიცხვს ნამდვილად არ მიეკუთვნებაო...

* * *

საღამო იყო და როდესაც ზაკი ბედლამში მივიდა... გაშეშდა... ვიღაც გოგოს აეღო ობობით დასახლებული ქილა და ესაუბრებოდა მას: ,,იცი, რა საშინელი გრძნობაა, ობობავ... აბა, წარმოიდგინე.... ღამეა, ოთახის კედლებზე ფანჯრიდან შემოსული ლამპიონების შუქი ირეკლება ზოლებად. სიჩუმე ყვირის. შენ კი ფიქრობ, ფიქრობ უსასრულოდ. აანალიზებ განვლილ დღეს, ზოგადად, შენს ცხოვრებას, ქმედებებს და საქციელებს. ხვდები შეცდომებს, ცდილობ, გაერკვე შენს თავში და გზა მოძებნო, გზა, რომელიც სწორი მიმართულებით წაგიყვანს. შემოდგომა იწურება, ცივი ჰაერი და ზამთრის სურნელი უფრო შესამჩნევი ხდება. უცებ გცივდება და ცხვირამდე საბანში ეხვევი. გათბი. მყუდროდ ხარ და თავისუფლებას გრძნობ... თავისუფლებას... თავისუფლება ხომ მოჩვენებითია... თავისუფლება არ არსებობს... თავისუფლება მხოლოდ თავისუფლების ქანდაკებაშია...''

ზაკი მიუახლოვდა მას...

,,ეს ქილა ჩემია...''

,,და ობობაც?'' — ჰკითხა გოგომ...

,,ობობაც....''

,,ობობა თავისუფალია... ის ერთადერთია ჩვენ ორს შორის თავისუფალი...''

,,არა, ობობა ჩემია...''

,,ობობა არ არის შენი, შენი მხოლოდ ეს ქილა შეიძლება იყოს...''

,,ობობა ქილაშია,შესაბამისად, ობობაც ჩემია... და ძალიან გთხოვ, დამიბრუნო უკან ჩემი მეგობარი...''

,,ახლა ის ჩემი მეგობარიცა...''

,,მოდი, ობობას ვკითხოთ... ვისთან ურჩევნია ყოფნა, ჩემთან თუ შენთან...''

და აი აქ უკვე მობეზრდა ობობას ამდენი სისულელის სმენა ადამიანებისაგან და სანამ ზაკი ობობას კუთვნილებას იჩემებდა... ობობა ადგა და წავიდა....

ობობას საკუთრებაზე ჩხუბი ხურდის ჩხრიალმა შეაჩერა...

ზაკის ქილაში პირველი ხურდა ჩავარდა...

გოგომ გაიღიმა და უთხრა: ,,ობობა წავიდა...''

ზაკმაც გაიღიმა...

,,როგორი საყვარელი ხარ, როცა იღიმი...''

,,შენ რა, ჩემი სახელი იცი?''

,,ყოველ საღმოს აქ დავდივარ...''

,,და მერე, მე რატომ არ მახსოვხარ?''

,,იმიტომ, რომ შენ ობობას ელაპარაკებოდი...''

,,ზაკ...''

,,გისმენ...''

,,ზაკ, მამაშენი არ არის მკვლელი...''

,,არ მინდა ამაზე საუბარი....''

,,ზაკ, მამაშენს უბრალოდ უნდოდა თქვენთან ერთად ყოფნა...''

,,ეს არ ამართლებს...''

,,არა, ზაკ მე მას არ ვამართლებ... მაგრამ,აბა,შენი თავი წარმოიდგინე მის ადგილას... წარმოიდგინე, რომ ვინმე შენ ობობას გართმევდეს ქილაში... რას იზამდი?''

,,მოვკლავდი...'' — წამოიძახა ზაკმა...

„ჰოდა, შენ თუ ობობის გამო კლავ, მამაშენი შენს დასაცავად კლავდა...“

სანამ ზაკი ფიქრებიდან გამოერკვეოდა, გოგონა სადღაც გამქრალიყო... ზაკს ისევ ხელში ეჭირა ქილა, რომელშიც პატარა ობობა ისევ გულმოდგინედ ისმენდა ზაკის ბუტბუტს....

„ჰო...

დიახ...

არა... ჰო.....

ჰო...

ჰო... ეგრეა...“

* * *

არ ახსოვს, როგორ გამოვარდა ბარიდან... არც ის ახსოვს, მანჰეტენის ქუჩები როგორ გადაკვეთა და არც ის, როგორ მივარდა გიჟივით სახლში...

დედამისი დასაწოლად წასულიყო, რადგან იცოდა, რომ ზაკი გათენებამდე არ მოვიდოდა...

მამამისი კი თუთუნს ეწეოდა და თან თავის თავს ებუტბუტებოდა... რაღაცას გაურკვევლად....

„ჰო...

დიახ...

არა... ჰო....

ჰო...

ჰო... ეგრეა...“

„ეგრეა მამა“, — გააწყვეტინა აზრები ზაკმა...

„ზაკ...“

„ჰო... ეგრეა, მამა...“

„რა არის ეგრე...“

„თუ მუჰამედი არ მიდის მთასთან....“

„მაშინ მუჰამედი გაბრაზებულია...“ — დაასრულა მამამისმა და გაიცინა...

„არ გშია, ზაკ?“

„მგელივით...“

დედამისი ჭურჭლის წკრიალმა გააღვიძა... წკრიალმა არა, უფრო რახა-რუხმა... შეშინებული ჩავარდა ქვედა სართულზე და სამზარეულოში სწორედ ის სურათი დაუდგა თვლალწინ, რაც ზაკის ბავშვობაში იყო...

ზაკს საოცრად უყვარდა ბლინები... და მამამისი ხშირად უკეთებდა ბლინს... შუაღამისას... მაშინ, როცა დედას ეძინა... თუმცა ისეთ ხმაურს ქმნიდნენ, რომ დედას აუცილებლად აღვიძებდნენ...

და აი ახლაც, დილის ხუთ საათზე ზაკი და მამამისი სამზარეულოს მაგიდასთან იდგნენ და ურევდნენ იქაურობას...

დედა ოთახში არ შესულა... დასაძინებლად ავიდა... და ისევე უხაროდა, როგორც ეგვიპტეში პირველი მოგზაურობა... და იმის მიუხედავად, რომ იცოდა , დილით სამზარეული ბრძოლის ველივით ანგრეული იქნებოდა, მაინც საოცრად ბედნიერი იყო... რადგან იცოდა, რომ ზაკი და მამამისი იმ ღამით ყველაზე მაგარ ბლინებს გააკეთებდნენ...

ეროთი ლექსი

ჯუბა ლებელი

* * *

ასე ტირიან
მერე ნისლებიც,
როცა
მშობლიურ ქედებს
ტოვებენ,
სამშობლოს
მხრებით ვერ ვეზიდებით,
სამშობლო
მხრებით დაგვაქვს პოეტებს...

რაც უკან მომდევს,
ჩემზე წინაა,
მე უხმლოდ ვარ და
ლექსით ვყაჩაღობ,
ჩემი სხეულის
თბილი მიწაა
აყვავებული სისხლი — ყაყაჩო!

რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი

* * *

„მწერლობა მაინც სხვა არის, ნამდვილი მწერლობა. მას ყოველთვის თან ახლავს ღვთიური შუქი, რომელშიც ხარობს, ჯეჯილიც, შვლის ნუკრიც და ჩვენი სულიც“.

რევაზ ინანიშვილი

გრძელდება ნაწარმოებების მიღება „ერთი მოთხრობის“ კონკურსზე რევაზ ინანიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

საკონკურსო ნაწარმოები (ერთი მოთხრობა, ან ნოველა)
2015 წლის 15 ნოემბრამდე უნდა გაიგზავნოს
ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ რედაქციის
ელექტრონულ ფოსტაზე: aneuli@mail.ru
რევაზ ინანიშვილის სახელობის
ერთი მოთხრობის კონკურსში გამარჯვებულებს
პრემია გადაეცემათ ყოველწლიურად, 20 დეკემბერს,
რევაზ ინანიშვილის დაბადების დღეს.
მხარდამჭერია თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი.

მანანა ჩიტიშვილის ახალი ლექსები

კობა ცხაკაია — „სხვა საქართველო“...

ერეკლე სალღლიანის ლექსები

კურტ ტუხოლსკის პროზა —
თარგმნა დავით კირკიტაძემ

„ხევსურული ბალადიდან“
„ხევსურულ სუიტამდე“ —
თენგიზ უთმელიძის ერთი ლექსი

თამარ მიქაძე —
გია ფერაძის გახსენება

მაია ცერცვაძე — პაოლო იაშვილი
გიორგი გამყრელიძის ხსოვნაში

ლიტერატურული კონკურსი
სტუდენტებისთვის —
„მცირე პროზის“ გამარჯვებულები

ანეული — ვეფხვიანის ხნული